# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 9 ივნისი 1998 №85 (620) ფასი 50 თეთრი


## ჩივაძე — ანდრიაძის დუეტმა კვინიკაძე თამაშგარედ დატოვა



რას ფიქრობს ნოდარ ანდრიაძე?

...მე და ალექსანდრე ჩივაძემ მოვილაპარაკეთ, შემდგომი მუშაობის გეგმაც დავსახეთ. ახლა კი პირობას გაძლევთ, რომ თუ ყველაფერი ისე არ გაკეთდა, როგორც ჩვენ გვსურს, არც მე, არც ჩივაძე ფედერაციაში აღარ ვიმუშავებთო — განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ.

კვირას, „პრეს-კლუბში" შეხვედრის ბოლოს, ცოტა გვეუცნაურა, ბატონმა ნოდარმა გენერალური მდივნის გვარი რომ არ ახსენა და კითხვებითაც მივმართეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა — ყველაფერს მოგვიანებით ვიტყვი, ეგებ ყრილობაზეცო — ვიცე-პრეზიდენტმა კონკრეტულ საუბარს თავი აარიდა. ვინ იცის, მასა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს გულში რა უდევთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნოდარ ანდრიაძე უსიტყვოდ დაგვეთანხმა, ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაში უამრავი ხარვეზის არსებობაში, იმასაც დაგვპირდა, ბევრი რამ შეიცვლებაო. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო. თუმც ჯერ ისიც საკითხავია, ფედერაციის ახლანდელი ხელმძღვანელობა კვლავ გააგრძელებს მუშაობას თუ არა. — ყოველ შემთხვევაში, ანდრიაძემ ისეთი ტონით თქვა, ჩემი და ჩივაძის ჩანაფიქრი თუ არ შესრულდა, ფედერაციაში აღარ ვიქნები, სხვა სამუშაოს მოვძებნიო, რომ სარწმუნოა, ასეც მოხდეს.

ნოდარ ანდრიაძემ ისიც აღნიშნა, ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი საეჭვო თამაშებიაო და იქვე დასძინა, მე ნაკრებთა მატჩების ორგანიზება, გამგზავრება, მასპინძლობა მაბარია, ეროვნული ჩემპიონატი კი გენერალური მდივნის საქმეაო. ესე იგი, რა გამოვიდა? მიმხვედრი მიხვდება.

ჩანს, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის მომავალ გეგმებში ახლანდელი გენმდივნის, დავით კვინიკაძის გვარი არ წერია.

კორუფციაზეც ჩამოვარდა სიტყვა, მაგრამ გვარ-სახელი არავისი დასახელებულა, ამას დამტკიცება და სათანადო საბუთები სჭირდებაო. კი იგრძნობოდა, ნოდარ ანდრიაძესაც რომ არ აკმაყოფილებს დღეს შექმნილი ვითარება, მაგრამ ამისი მიზეზიც უმალ თქვა: დაფინანსების გარეშე წარმოუდგენელია რაიმე მიზნებზე საუბარი. თუ სახელმწიფომ არ მოგვხედა, ამჟამინდელი მდგომარეობა მონაგონი იქნებაო.

იხილეთ მესამე გვერდი



REUTERS პარიზიდან

## იოზეფ ბლატერი ფიფას მერვე პრეზიდენტია!

როგორც იქნა, დასრულდა დიდი ხნის მომქანცველი, დაძაბული ბრძოლა ფიფას პრეზიდენტობისათვის. მარტიდან მოყოლებული 62 წლის ფიფას გენერალურ მდივან შვეიცარიელ იოზეფ ბლატერსა და 68 წლის უეფას პრეზიდენტ შვედ ლენარტ იუჰანსონს შორის მეტად დაუნდობელი პაექრობა მიმდინარეობდა, რომელიც რიგითი გულშემატკივრებისთვის ნამდვილ ტანჯვა-წამებად იქცა. ყოველ მეორე დღეს პრესითა თუ ტელევიზიით ხან ერთ, ხან მეორე კანდიდატზე სხვადასხვა, წინააღმდეგობებით აღსავსე ინფორმაციის მოსმენა არცთუ ისე სასიამოვნო გახლდათ. მაგრამ 8 ივნისს პარიზში გამართულ ფიფას 51-ე კონგრესზე ამ საკითხს ერთხელ და სამუდამოდ თუ არა, ოთხი წლით მაინც დაესვა წერტილი. მსოფლიოს უძლიერესი სპორტული ფედერაციის ახალი, რიგით მერვე პრეზიდენტად ზეპ ბლატერი აირჩიეს!

მოგეხსენებათ, საბოლოო გამარჯვებისთვის თითოეულ კანდიდატს მთელი საარჩევნო ხმების ორი მესამედი მაინც უნდა დაეგროვებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგლამენტი ხელახალი კენჭისყრის მოწყობას ითვალისწინებდა, სადაც ახალი პრეზიდენტის გამოსავლენად ხმების უბრალო უმრავლესობაც საკმარისი იქნებოდა. გუშინდელი სხდომაც სწორედ ასეთი სცენარით წარიმართა. ფიფას გენერალურმა მდივანმა 186 შესაძლებლიდან 111 ხმა მიიღო. მაშინ, როცა შვედ იუჰანსონს ოდენ ოთხმოცმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი.

იხილეთ მეორე გვერდი



მათ ასახელეს სამშობლო: კარლოს მოია და არანჩა სანჩესი

REUTERS პარიზიდან

## ევროპამ ხელბურთელები გამოგვიძევა

### მიზეზს დღეს შევიტყობთ

მტრისას, ამბავი გაიგეს ჩვენმა ხელბურთელმა ვაჟებმა. ევროპის ჩემპიონატის სამზადისში მყოფებმა ამ დღეებში შეიტყვეს, ტურნირში მონაწილეობის უფლება ჩამოგვერთვათო.

— შეჯიბრებიდან რომ მოგვხსნეს, ეს ფაქტია. ჩვენმა წარმომადგენელმა ალქსანდრე ანპილოგოვმა იტალიიდან დაგვირეკა და ეს სამწუხარო ამბავი დაგვიდასტურა — გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ — მიზეზს ხვალ შევიტყობთ, ევროპის ხელბურთის ფედერაციიდან ფაქსით ოფიციალურ ცნობას ველით.

## გავედით!

### იტალიამ არ გვიღალატა

არის! შაბათს ხორვატიის საკურორტო ქალაქ მაკარსკაში იტალიელმა მორაგბეებმა მასპინძლებს 39:27 სძლიეს და 1999 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოგვიპოვეს. სტუმრები საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ეწვივნენ ხორვატიას, მაგრამ მასპინძელთა დამარცხება მაინც არ გასჭირვებიათ.

ბოლო ეტაპის წილისყრა პარასკევს კარდიფში მოეწყობა. შეჯიბრის ცხრა მონაწილე გუნდი სამ ჯგუფად დაიყოფა. წილისყრამდე გუნდები სამ კალათში გაანაწილეს. პირველში ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია მოხვდნენ, მეორეში — იტალია, რუმინეთი, ესპანეთი, მესამეში ჩვენთან ერთად ჰოლანდიელები და პორტუგალიელები არიან. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები პირდაპირ მოხვდებიან ფინალურ სტადიაზე, მესამეზე მოხვედრილები კი სხვა ზონებში ხელმოცარულ ოთხ გუნდთან ერთად გაარკვევენ დარჩენილი ორი საგზურის მფლობელის ვინაობას.

ლუნელში, საშვიდკაცო ევროპის პირველობაზე წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ნაკრები. ბორჯღალოსნებმა ჯგუფში ანდორას, ბელგიას, ბოლოს კი ფრანგებსაც სძლიეს და პირველი ადგილიც დაიკავეს. ქართველი მორაგბეები ახლა ჩემპიონობისთვის ბრძოლას ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ.

## ახალი კონკისტადორები

კვირას დასრულებული საფრანგეთის ღია პირველობა ბოლო ხუთ წელიწადში მეორე ესპანური დუბლით დასრულდა — სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირი, 1994-ის მსგავსად, ქალებში ისევ არანჩა სანჩეს ვიკარიომ მოიგო, კაცებში კი აწ უკვე ლამის ჩამოწერილი სერხი ბრუგერა ესპანური ჩოგბურთის ახალმა მედროშემ — კარლოს მოიამ შეცვალა.


## დღეიდან სარბიელი ყოველდღე გამოვა

# იოზეფ ბლატერი ფიფას მერვე პრეზიდენტია!

## ლენარტ იუჰანსონი კი მისი ოპოზიციონერი ხდება



შვეიცარიელი იოზეფ ბლატერი ფიფას მერვე პრეზიდენტად არჩევას გამარჯვებულის მედიდური იერით ხარობს

REUTERS პარიზიდან

დასაწყისი პირველ გვერდზე

თუმცა 80 ხმა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ძალაში რეგალმენტი ჩარეულიყო და გამარჯვებულის ვინაობა ხელახალ კენჭისყრას გამოევლინა. ბლატერს სულ რაღაც 17 ხმა დააკლდა სანუკვარ 128-მდე, ანუ იმ შედეგამდე, რომ ყოველგვარი დამატებითი სჯა-ბაასის გარეშე იგი პრეზიდენტად ეკურთხებინათ.

ახლა კი ვითარება დაიძაბა და როგორც თავიდანვე იყო მოსალოდნელი, განმეორებითი კენჭისყრის ჩატარება გახდა საჭირო. დარბაზიც კიდევ ერთი შეტაკებისთვის მოემზადა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად იუჰანსონმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და თავი დამარცხებულად ცნო.

— თამაში დასრულდა. ვფიქრობ, დროა, სასადილოდ წავიდე — განუცხადა კონგრესს დამწუხრებულმა შვედმა.

...და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მსოფლიოს ფეხბურთს ახალი მეპატრონე ჰყავს. ბრაზილიელი ჟოაო აველანჟის 24-წლიანი ჰეგემონიის შემდეგ მსოფლიოს უპოპულარეს და უპირველეს თამაშს ამიერიდან ოთხი წლით შვეიცარიელი იოზეფ ბლატერი ჩაიბარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთი სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეაბიჯებს 21-ე საუკუნეში.

— მისტერ იუჰანსონი მართლაც უძლიერესი ოპონენტი იყო, თუმცა იმედი მაქვს, დღეიდან იგი ჩემი უახლოესი მეგობარი გახდება. ჩემს გამარჯვებაზე კი რა უნდა ვთქვა. მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე 23 წელიწადია, ფიფას ერთგულად ვემსახურები, დღეს დამარცხების შემთხვევაში ყველა ჩემი მიღწევა გაუფასურდებოდა. ეს საშინელი დასასრული იქნებოდა და მოხარული ვარ, რომ ასე არ მოხდა — ახალგამომცხვარი პრეზიდენტი სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს.

ბლატერი მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიფას გენერალური მდივანი და იმავდროულად ჟოაო აველანჟის განუყრელი ქვეშევრდომი იყო, თუმცა დღეიდან დიქტატორ ბრაზილიელს პოზიციების დათმობა მოუწევს.

— გამოგიტყდებით, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. გამარჯვებამ უდიდესი სიამოვნება მომგვარა, თუმცა არც ის მავიწყდება, რომ ურთულესი სამუშაო სწორედ ახლა იწყება. ახლა ეყრება საფუძველი იმ პროგრამას, რომელიც ჩემი პრეზიდენტობის დროს უნდა განვახორციელო — გახარებული ბლატერი გრძნობებს მაინც არ აჰყოლია და ჩვეული ცბიერებით აგრძნობინა ყველას, თუ ვინ იბატონებს შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში.

ემოციები არც იუჰანსონს დაუმალავს:

— მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და შესაბამისად მეტად მტკივნეულად აღვიქვი მარცხი. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ძალიან ბევრი, ვინც არჩევნებამდე ერთგულებას მეფიცებოდა და კუთვნილ საარჩევნო ხმას აღმითქვამდა, არაკაცურად მომექცა და მხარი ბლატერს დაუჭირა. ამას ნამდვილად არ ველოდი. თუმცა ახლა მოღალატეებზე საუბარი არ მსურს და მხოლოდ იმ ადამიანებს მინდა ვუთანაგრძნო, რომლებმაც არ მიმტყუნეს და არჩევნების ბოლო წუთამდე ჩემი გამარჯვების სჯეროდათ. პელე, პარლი დემპსეი (ოკეანეთის ზონის ლიდერი), ისა ჰაიატუ (აფრიკის ზონის ლიდერი) და კიდევ 77 კონგრესმენი სწორედ ის ხალხია, ვინც მე მემხრობოდა. თუმცა მათ მინდა ვუთხრა, რომ ამით ცხოვრება არ დასრულებულა. მე კვლავაც უეფას პრეზიდენტად ვრჩები, ფიფაშიც ჩემი განსაკუთრებული ადგილი მაქვს და ბლატერის საქმიანობას ამიერიდან გაცილებით მკაცრად მივადევნებ თვალს. ფაქტობრივად, მე პრეზიდენტის უპირველესი ოპოზიციონერი ვხდები — განაცხადა შვედმა.

მიუხედავად იმისა, რომ იუჰანსონმა თავის მოხსენებაში აფრიკელთა ლიდერი თავის მოკავშირეთა შორის მოიხსენია, ექსპერტების აზრით, არჩევნებში გადამწყვეტი უპირატესობა ბლატერს სწორედ შავი კონტინენტისაგან წამოსულმა ხმებმა მიანიჭა. თუმცალა ჰაიატუ და მისი ამალა თავდაპირველად უეფას პრეზიდენტის მხარეს იყვნენ და არაორაზროვან დაპირებებსაც იძლეოდნენ. თავად კამერუნელმა ჰაიატუმ ასე შეაფასა მომხდარი:

— მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო. მთელ მსოფლიოში დემოკრატია სუფევს და ყველას სრული უფლება აქვს, მისთვის მისაღებ პიროვნებას დაუჭიროს მხარი. მართალია, პირადად მე ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ რას იზამ. აფრიკული ქვეყნების უმრავლესობამ (და არა მხოლოდ მათ) ბლატერის კანდიდატურა არჩია და ჩვენ ყველანი იძულებული ვართ, ისე ვიცხოვროთ, როგორც უმრავლესობას სურს."

თავიანთი აზრი სხვა პატივცემულმა პირებმაც გამოთქვეს.

ნორვეგიელი პერ რავნ ომდალი, უეფას ვიცე-პრეზიდენტი და იუჰანსონის მოკავშირე: „არჩევნების შედეგებმა ძალიან გამაკვირვა. ბევრმა ქვეყანამ, რომლებიც თავდაპირველად ჩვენს მხარეზე იყვნენ, სიტყვა გატეხა. სამწუხაროა, რომ ამის თქმა მიხდება, მაგრამ რეალურად თუ ვიმსჯელებთ, სხვა ახსნას, უბრალოდ, ვერ გამონახავთ."

ჟორჟ ვეა, ლიბერიის სპორტის ელჩი და იტალიის „მილანის" თავდამსხმელი: „უზომოდ ბედნიერი ვარ. ბლატერი და აველანჟი 23 წლის განმავლობაში მხარდამხარ მუშაობდნენ და არცთუ წარუმატებლად. ჰოდა, რატომ არ უნდა მიმეცა ხმა ზეპისთვის?"

კორინ ბლატერი, საარჩევნო კომპანიის დირექტორი, იოზეფ ბლატერის ქალიშვილი: „მე თუ მკითხავთ, იუჰანსონს ხერხემალი ისევ მისმა რჩეულმა აფრიკამ გადაუმტვრია. არჩევნებში მამაჩემის გამარჯვება სწორედ აფრიკელთა ხმებმა გადაწყვიტა და ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან შავი კონტინენტის შვილთ, ისევე როგორც სხვებს, ძალიან არ მოსწონთ, როცა ჭკუას არიგებენ და საკუთარ აზრს თავს ახვევენ."

სენეშ ერზიკ, უეფას ვიცე-პრეზიდენტი: „ასეთ სასტიკ მარცხს არ ველოდი. ახლა არ მსურს, ისეთ რამეებზე ვისაუბრო, რაც, შესაძლოა, კულუარებში ხდებოდა, მაგრამ ერთი ფაქტია: მავანნი მთელი წლის განმავლობაში ერთს გვეუბნებოდნენ და მეორე კი გააკეთეს."

საფეხბურთო სამყაროში ამ უდიდეს მოვლენას დიდი მითქმა-მოთქმა რომ მოჰყვებოდა, ძნელი მისახვედრი არ იყო. არჩევნების უშუალო მონაწილეები თუ რიგითი გულშემატკივრები ცხელ კვალზე ცოტა არ იყოს არაობიექტურად მსჯელობენ მომხდარზე და ყველაფერს მხოლოდ მათთვის სასურველი კუთხით აშუქებენ. აზრთა გაცვლა-გამოცვლა კვლავაც არ წყდება და დარწმუნებული ვართ, ამაზე, ალბათ, კიდევ დიდხანს იდავებენ, მაგრამ რამდენიც უნდა ილაპარაკონ, ერთი რამ ნათელია. ბლატერმა, რომელმაც მაქსიმალურად დააყოვნა თავისი კანდიდატურის ოფიციალურად წარდგენა და სულ ბოლო მომენტში, 13 მარტს, ფიფას საგანგებო კონგრესზეღა გათქვა პრეზიდენტობის სურვილი, გაცილებით მეტი ფხა გამოიჩინა და ამ ოთხიოდ თვეში იმაზე მეტის გაკეთება შეძლო, რასაც შვედი იუჰანსონი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვერ აუვიდა.

ფიფას 94-წლიანი არსებობის ისტორიაში ბლატერი მხოლოდ მერვე პრეზიდენტია. ამასთანავე იგი პირველი შვეიცარიელია, ვინც ამ საპატიო პოსტს, სულ მცირე, ოთხი წლით დაეპატრონა. თუმცა ოფიციალურად ზეპს პრეზიდენტად მხოლოდ მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის გასრულების მომდევნო დღეს — 13 ივლისს აკურთხებენ. აი, ამ დღეს კი მართლაც საბოლოოდ დასრულდება 82 წლის აველანჟის ბატონობის ერა, რომელიც 1974 წლის 11 ივლისიდან მოყოლებული დღემდე თავისი რკინის ხელით მართავდა მსოფლიოს ფეხბურთს. ორშაბათიდან კი ბებერი ჟოაოს ეგრეთ წოდებული ფიფას საპატიო პრეზიდენტის ტიტული მიენიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი აღარ იქნება ჩართული გადაწყვეტილებების მიღებათა რთულ პროცესში, მაგრამ რაღაც გარკვეულ გავლენას ბრაზილიელი ალბათ მაინც შეინარჩუნებს.

უმთავრესი ცვლილება, რომელსაც ბლატერი განახორციელებს, „შიდა კაბინეტური" ანუ აღმასრულებელი საბჭო იქნება, რომელიც დღევანდელთან შედარებით ოდნავ სახეცვლილი ფორმით მოგვევლინება. ამიერიდან ნაცვლად თხუთმეტკაციანი აღმასრულებელი კომიტეტისა, ფიფაში შვიდკაციანი „შიდა კაბინეტი" იმუშავებს, რომელსაც გაცილებით მეტი ძალაუფლება ექნება.

ძველი თხუთმეტკაციანი აღმასრულებული საბჭო კვლავინდებურად იარსებებს, მაგრამ თავისი უფლებამოსილების დიდ ნაწილს ახლადშექმნილ აპარატს დაუთმობს. ბლატერი თავის წინასაარჩევნო მანიფესტის წარდგენისას დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ მისეული მიგნება გაცილებით ეფექტური იქნება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესსაც ერთი-ორად დააჩქარებს. თუმცა ზოგიერთი ოპონენტის აზრით, ბლატერის წამოწყება კარგს არაფერს მოიტანს, რადგან ანტიდემოკრატიულ საწყისებზეა დაფუძნებული.

ბლატერი დიდად განათლებული და შინაგანად არანაკლებ მომხიბვლელი ადამიანია. მან ბრაზილიელ დიქტატორ აველანჟთან ერთად ფიფა იმ ფულისმკეთებელ მანქანად გადააქცია, რომელიც დღესდღეობით მყარად დგას პირველ ადგილზე მსოფლიოს ყველა სპორტულ ფედერაციას შორის. მიუხედავად არაერთგზის მიღწეული წარმატებისა (რომელსაც გვირგვინი ფიფას ახალ პრეზიდენტად არჩევით დაადგა), ბლატერის ყველა წამოწყება დიდი აღფრთოვანებით როდი მიიღებოდა. მაგალითისთვის ისიც გამოდგება, ერთი პერიოდი შვეიცარიელმა საფეხბურთო მატჩების მსვლელობისას დანიშნული აუტის ძველებურად ხელით ჩაწოდების ნაცვლად ამ მდგომარეობის ახლებურად გადაჭრის იდეა რომ შესთავაზა ფეხბურთის მამებს. ზეპის აზრით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ფეხბურთელები გვერდითი ხაზიდან ბურთს კუთხურის მსგავსად — ფეხით ჩააწოდებდნენ. ამ მოსაზრებამ დიდი უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია და ბლატერიც იძულებული შეიქნა, უმრავლესობის აზრს დაჰყოლოდა.

შვეიცარიელის ორშაბათისეულ წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა იმ საარჩევნო პლატფორმამ, რომელიც ბლატერმა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტ და წარსულში სამფეროვანთა ნაკრების კაპიტან მიშელ პლატინისთან ერთად შეიმუშავა. ზეპი ფრანგს დაჰპირდა, რომ საარჩევნო კომპანიაში გამარჯვების შემთხვევაში პლატინის ფიფაში სპორტის დირექტორის თანამდებობაზე დანიშნავდა.

62 წლის ბლატერმა, რომელიც ახალგაზრდობაში შვეიცარიული საათების ფირმის დირექტორი გახლდათ, მშვენივრად წარმართა საარჩევნო კომპანია და იგი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. ზეპი ფიფაში 1975 წელს მივიდა, ტექნიკური განვითარების პროგრამათა დირექტორად. აქედან მოყოლებული მან წარმატებით ააწყო თავისი კარიერა და 1981 წელს აველანჟის გენერალური მდივნის სავარძელსაც გამოჰკრა ხელი. ამ ორი პატივცემული პირის ერთობლივ მუშაობას მუდმივად აკრიტიკებდა მათი დაუძინებელი მტერი, უეფას პრეზიდენტი იუჰანსონი. იგი იქადნებოდა, რომ ფიფას პრეზიდენტად მოსვლის შემთხვევაში ძირფესვიანად შეცვლიდა აველანჟისეულ ძირგამომპალ სისტემას. მაგრამ დღეს უკვე გამარჯვებული ბლატერი ალბათ არ დაუშვებს მისი ოპონენტის ზრახვების განხორციელებას და აქედან გამომდინარე, ფიფა და უეფა მომავალში უფრო და უფრო დაშორდება ერთმანეთს. ამ ორი არამეგობრულად განწყობილი ორგანიზაციის დაახლოება უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში (სწორედ ამ პერიოდით იქნება ფიფას სათავეში იოზეფ ბლატერი) ალბათ არ მოხერხდება.

**ირაკლი ხმელიძე**



რამაზ გოგლიძე ძველი მეგობრების, ფიფას ყოფილი და ახალი პრეზიდენტების გარემოცვაში ჟოაო აველანჟისა და იოზეფ ბლატერის თბილისში 1985 წელს სტუმრობისას

## გოგლიძემ ბლატერი წინასწარ დალოცა

ფიფამ კი აირჩია ახალი პრეზიდენტი, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა წინ არის. ყრილობა, რომელმაც სფფ-ს ახალი თავკაცი უნდა დაასახელოს და „ადგილობრივი მასშტაბის" ცვლილებები მაინც უნდა მოჰყვეს. ძნელი სათქმელია, რა გავლენას იქონიებს პარიზის კენჭისყრის შედეგები ჩვენს საშინაო საქმეებზე, თუმცა, ვფიქრობთ, არც უამისობა იქნება. ყოველ შემთხვევაში, ბლატერის მომხრეებს, სხვა თუ არაფერი, გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა მაინც ექნებათ.

რამაზ გოგლიძე, სფფ-ს პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატი, პარიზის შედეგებით ფრიად კმაყოფილი ჩანდა და ეს არც დაუმალავს. ეგ კი არა, ბატონი რამაზი ხუთიოდე დღის წინ ფაქსით შეხმიანებია ბლატერს — თავის ძველ ნაცნობსა და მეგობარს და გამარჯვება უსურვებია მომავალ არჩევნებში:

ძვირფასო ბატონო ბლატერ!

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი საუკეთესო სურვილები საქართველოდან. არასოდეს დაგვავიწყდება შეხვედრები თქვენთან და ბატონ ჟოაო აველანჟთან. ძნელია, სიტყვებით აღწერო ის ტიტანური შრომა, რაც თქვენ გასწიეთ მსოფლიოში ფეხბურთის განსავითარებლად...

ძვირფასო ზეპ! პირად ბედნიერებას და არჩევნებში წარმატებას გისურვებთ.

ჩვენი ხმა თქვენ გეკუთვნით და ამასვე მოვუწოდებთ ყველა ჩვენს მეგობარს, ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს. მოვუწოდებთ, რომ ხმა მისცენ იოზეფ ბლატერს — ფიფას ახალ პრეზიდენტს — ადამიანს, რომელიც ყველაფერს აკეთებს ფეხბურთის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისთვის, მისი საყოველთაო პოპულარიზაციისთვის.

*საუკეთესო სურვილებით, თქვენი რამაზ გოგლიძე*
*3.06.1998*

ფედერაცია

პრეს-კლუბის სტუმარი კვირას ნოდარ ანდრიაძე იყო

# ჩივაძე — ანდრიაძის დუეტმა კვინიკაძე თამაშგარეშ დატოვა

დასაწყისი პირველ გვერდზე

თან აღშფოთებით დააყოლა, საქართველო — რუსეთის მატჩზე სულ 21 ათასი ბილეთი გაიყიდა, არადა, სტადიონი სავსე იყო, ბილეთის ფასი რომ სულაც ლარამდე დავწიოთ, დარწმუნებული ვარ, უწინდებურად იქნება ყველაფერი, ხალხი მიეჩვია სტადიონზე უფასოდ შეღწევას. ყოველივეს ხელს ძალოვანი სტრუქტურები უწყობენ. წარმოიდგინეთ, გორიდან რუს სტუმრებთან ერთად ეროვნულზე დავბრუნდი, ჩივაძე და კვინიკაძეც შემოგვიერთდნენ, თამაშის დაწყებას წუთებიღა აკლდა, ჩვენ კი სტადიონზე არ გვიშვებდნენ, სტუმართან ასეთი სირცხვილი არასოდეს მიჭამია. თამაში საერთოდ რომ არ დაგვეწყო, გამართლებული ეგ უფრო იქნებოდა.

ნოდარ ანდრიაძემ შარშან პოლონეთიდან უკან მომავალ ფეხბურთელთა თვითმფრინავში ღრეობაზეც თქვა ორი სიტყვა:

— დიახ, ზოგიერთი ფეხბურთელი უმსგავსოდ იქცეოდა, ყოფიანს კი წინა სალონიდან გამოსვლა და ამათი შეხედვა არ სურდა, თავს იმძინარებდა. უკან შეგნებულად დავიხიე, დამნაშავე ფეხბურთელებმა მთხოვეს, სატრანსფერო საქმეები გაგვიფუჭდებაო, მეც გავჩერდი, ხმა აღარ ამომიღია. მთელი ცხოვრება სიმართლეს ვამბობდი, არასოდეს არავისი შემშინებია — განაცხადა ანდრიაძემ. შეხვედრა მთავრდებოდა, ვიცე-პრეზიდენტს რომ ჰკითხეს, ჩივაძე პრეზიდენტად დარჩენის შემთხვევაში მავანთა გავლენის ქვეშ ხომ არ მოექცევაო. მან კი კატეგორიულად განაცხადა, საშა საკმაოდ გონიერი, პრინციპული და კაცური კაცია, ამას წამითაც ნუ გაივლებთ გონებაში, ჩივაძე არავის ლაქია არ იქნებაო. ბოლოს ერთხელაც გაიმეორა ანდრიაძემ, მე და ჩივაძემ ერთმანეთში ვისაუბრეთ, მოვილაპარაკეთ და თუ ჩვენი მოთხოვნები პრაქტიკულად არ შესრულდება, სხვა სამუშაოს ვეწევიო.

მოკლედ, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გულახდილად მოსაუბრის შთაბეჭდილება დატოვა, თავის თანამშრომლებზე კარგიც თქვა და... ჩვენ თავს ვიკავებთ, რადგანაც თვითონ ანდრიაძესაც არაფერი დაუკონკრეტებია. ზოგადად თქვა, რაღაცეები არ მომწონს და გამოსწორებაა საჭიროო. ჰო, ერთიც გამოგვრჩა, მსაჯებზე. გუნდების წარმომადგენლები თავიანთი სურვილის შესაბამისად რომ ითხოვდნენ, ამ თამაშზე ესა და ეს მსაჯი დაგვინიშნეთო, ამგვარი ფაქტები შემდგომში გამოირიცხება. დაახლოებით 200 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკით შეგვეწივნენ და სეზონის წინ ყველა მსაჯის გვარს კომპიუტერი დაიმახსოვრებს, შესაბამისად თამაშებსაც წინასწარ დანიშნული მსაჯი მოემსახურებაო — დაამთავრა ნოდარ ანდრიაძემ.

რაღა ითქმის? შეხვედრის მოკლე შინაარსი კი გადმოგეცით, მაგრამ მაინც უკმარისობის გრძნობა გვაქვს. ეგებ უფრო დაწვრილებით ალექსანდრე ჩივაძესთან და დავით კვინიკაძესთან შეხვედრების შემდეგ მოგვიხდეს დაწერა.

**კობა ინასარიძე**

სამგურალი ორწლიანი მუშაობის შემდეგ გივი ბაბუნიძე წყალტუბოური კლუბის დატოვებას აპირებს

# საით, გივი?

მეცხრე გათამაშებას „სამგურალის“ მესვეურნი ოპტიმიზმით შეჰყურებდნენ — „აი, ნახავთ, ახალ ჩემპიონატში რა გუნდი გვეყოლება, ათეულს ქვემოთ რომ არ დავეშვებით, ეჭვიც არ მეპარება. ის კი არა, შესაძლოა, ხუთეულში მოსახვედრადაც ვიბრძოლოთო“... ეს სიტყვები კლუბის პრეზიდენტ გრიგოლ ქათამაძეს ეკუთვნის („სარბიელი“, 1997 წლის 7 აგვისტო).

ათეულისა და მით უფრო ხუთეულის რა მოგახსენოთ და ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად წყალტუბოელებს მართლაც დიდი ბრძოლა დასჭირდათ. მათ რომ ბოლო ტურში არ გამოელოთ ხელი, მე-12 ადგილიც სანატრელი გაუხდებოდათ. „სამგურალის“ სუსტ გამოსვლას არასტაბილურობა უნდა მივიჩნიოთ. ასე განსაჯეთ, ძირითადში არც მეტმა, არც ნაკლებმა, 30-მა (?!) ფეხბურთელმა ითამაშა. ასეთ პირობებში რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი, დაგვეთანხმებით, ზედმეტია. ასეა თუ ისე, „სამგურალმა“ გივი ბაბუნიძის მთავარი მწვრთნელობისას მეორე ჩემპიონატიც ათეულს მიღმა დაასრულა და... აგერ, ხმა დაირხა გუნდიდან მიდისო. ეს ამბავი ერთდროულად რამდენიმე მოთამაშემ დაგვიდასტურა, მაგრამ ჩვენ მაინც გრიგოლ ქათამაძეს ვთხოვეთ კომენტარი.

— მაისის ბოლოს კლუბის საერთო კრება გვქონდა, გუნდის ჩემპიონატში გამოსვლის შედეგები განვიხილეთ. ვერ გეტყვით, რა მიზეზით, მაგრამ ბაბუნიძე კრებაზე არ მობრძანდა. ისე რომ, იცოდეთ, ჩვენ მისთვის ოფიციალურად საყვედური არ გვითქვამს.

არც მას მოუმართავს ჩვენთვის განთავისუფლების თხოვნით. დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. 25 ივნისს ვიკრიბებით და მაშინ გაირკვევა ყველაფერი. თუ მოხდა და ბაბუნიძე წავიდა, მთავარი მწვრთნელს მოვალეობას ბაბუნიძის თანაშემწე როლანდ ცუცქირიძე შეასრულებს. შრომისმოყვარე კაცია. ვაცალოთ და ვნახოთ...

**იუზა კაციტაძე**



ბაბუნიძეს წასვლა გადაუწყვეტია

სანქტ პეტერბურგი ბურნაძეს ბელგიური „აალსტი“ ეპატიჟება

# ბურნაძემაც ბელგია ირჩია

ამ დღეებში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ლიბერო სანდრო ბურნაძე ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს ბელგიის უმაღლესი დივიზიონის „აალსტთან“.

1995 წელს, როდესაც გივი ნოდია რუსთავიდან სანკტ პეტერბურგში გადავიდა და რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე „ლოკომოტივ-სატურნში“ განაგრძო სამწვრთნელო მოღვაწეობა, ყოფილი შეგირდებიც თან იახლა. ასე ჩაირიცხა ალექსანდრე ბურნაძე, ძმებ კილასონიებთან ერთად, „ლოკომოტივ-სატურნში“.

1990 წლიდან რუსთავის „გორდაში“ მოთამაშე ყმაწვილი ნაკრების ხელმძღვანელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბურნაძემ ახალგაზრდული ნაკრების მაისურიც მოირგო.

ნევისპირელებთან დადებული ორწლიანი კონტრაქტი იანვარში ამოიწურა, ხოლო სტავროპოლის „დინამოში“ გადასვლას უკეთესი ფინანსური პირობების გამო ფეხბურთელმა ბელგიური ვარიანტი არჩია.

თუ რაიმე გაურკვევლობა არ მოხდა, ბურნაძე ჯაკობიასთან, შეყილაძესთან და დემეტრაძესთან ერთად ბელგიაში ქართული ლეგიონის მეოთხე წარმომადგენელი იქნება.

**პაატა კვანტალიანი**

ახალგაზრდული ნაკრები

იტალიური ტურნეს წინ 21-წლამდელებმა ბოლოჯერ ნაიბურთავეს და „ვაკე 91“ 5:0 დაამარცხეს

# ნაკრები რომ არა...

ძნელია, ისაუბრო ისეთ თამაშზე, რომლის ცქერაც, მიუხედავად ხუთი გატანილი გოლისა, ერთობ მოსაწყენია, როცა ერთი გუნდი მეორეზე გაცილებით ძლიერია და არა არსებობს საბრძოლო განწყობილება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისადმი ინტერესი რომ არა, ალბათ, „ვაკე 91“-თან მატჩს ბოლომდე არავინ უცქერდა...

შეხვედრის პირველსავე წუთზე ალექსიძის წამოწყებული შეტევა მუჯირმა გააგრძელა, აშვეთიას ზუსტი პასი მისცა და მიხოსაც ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. ამის შემდეგ თამაში საშუალო ტემპში წარიმართა. ერთობ აქტიურად მოქმედებდა ალექსიძე— მისი შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. რაც შეეხება მთლიანად გუნდს, ტაიმში აშკარად იგრძნობოდა არაკომბინაციური თამაში, ფეხბურთელები ძირითადად ინდივიდუალურად ახერხებდნენ მეტოქის კართან სახიფათო მომენტების შექმნას. უნდა აღინიშნოს მცველების რამდენიმე პოზიციური შეცდომაც, როგორც სათამაშო, ასევე სტანდარტულ სიტუაციებში. იმნაძის შეგირდები ძირითადად ფლანგებიდან უტევდნენ, მაგრამ ბოლო ფაზაში საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთებს მიზანმიმართული ნამდვილად არ ეთქმოდა. მიუხედავად ჯაკობიას, ალექსიძის, მუჯირის ეფექტური შორეული დარტყმებისა, ახალგაზრულ ნაკრებს ამ მხრივ ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი.

შეხვედრის მეორე ნახევარში რამდენიმე ცვილება მოხდა, თუმცა ალექსიძე და აშვეთია კვლავ დაბრუნდნენ მინდორზე, ხოლო მენთეშაშვილი „ვაკე 91“-ში გადაბარგდა. მოკლედ, იმნაძემ ექსპრიმენტებს მიმართა და თამაშიც სწრაფად და სანახაობრივად საინტერესოდ წარიმართა.

მეორე ტაიმის პირველი შეტევა მარჯვენა ფლანგიდან შენგელიას ზუსტი გადაცემით მეგრელაძემ დააგვირგვინა. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ შენგელიას შეეძლო მესამე ბურთის შეგდება, მაგრამ მეკარეს მოარტყა. ვინ მოთვლის, ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელებმა კიდევ რამდენი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს... 75-ე წუთზე კვლავ შენგელია დარჩა ხელსაყრელ პოზიციაში. მისი დარტყმული მცველმა ხელით მოიგერია. პენალტი აშვეთიამ ძელს მოახვედრა, მაგრამ დამატებისას მესამე ბურთი აღმოჩნდა ვაკელთა კარის ბადეში.

83-ე წუთზე მეგრელაძემ კარგად გაუთამაშა კედელი შენგელიას, რომელმაც როგორც იქნა, მოახერხა გოლის გატანა. სამიოდე წუთის შემდეგ „ვაკე-91“-ის მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და თამაშიც მალე მორჩა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სოლოლაშვილი (გაბელია 46), რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, ლომიძე, მუჯირი (შენგელია 46), გემეზაშვილი, კვარაცხელია (გიორგაძე 46), ალექსიძე (ჩხეტიანი 46), ჯაკობია, აშვეთია (მეგრელაძე 46), მენთეშაშვილი (დავითნიძე 46)

**ხვიჩა სანიკიძე**

ლეგიონი ლაშა ჯაკობია ბელგიური „სტანდარდის“ დუბლებიდან ძირითად გუნდში გადაიყვანეს

# ლაშა ჯაკობია: ჩემი იდეალი შირერია



თამაშით დაღლილი და გახარებული

— ბელგიაში მოხვედრა საბერძნეთში ჩემმა კარგმა თამაშმა განაპირობა, როდესაც 16 წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში გამოვდიოდი და საბერძნეთის ანალოგიურ ნაკრებს სამი ბურთი გავუტანე. თბილისში მობრუნებულს ერთ-ერთი მენეჯერი დამიკავშირდა და მისი მეშვეობით აღმოვჩნდი „სტანდარდში“.

— ცოტა რამ კლუბზეც გვიამბეთ...

— „სტანდარდი“ მშვენიერი წარსულისა და ამბიციების მქონე გუნდია. თუმცა, წლევანდელი სეზონი, შეიძლება ითქვას, ჩაუვარდა — მეცხრე ადგილი აიღო და ხელმძღვანელობა შედეგით უკმაყოფილო დარჩა. ამას, ალბათ, მთავარი მწვრთნელი შეეწირება, რომელთანაც, უნდა ვთქვა, რომ მშვენიერი დამოკიდებულება მქონდა.

— როგორც ცნობილია, კლუბმა ინტერტოტოზე უარი განაცხადა...

— მართალია, მეცხრე ადგილი ინტერტოტოს თასზე გამოსვლის უფლებას იძლეოდა, მაგრამ გადაწყვიტეს, არ ესპარეზათ. შარშანაც დუბლები გაიყვანეს.

— გუნდის მეპატრონეებს თუ ჰქონდათ უკმაყოფილების საბაბი, შეეძლო კი „სტანდარდს“ ამ შემადგენლობით მეტის მიღწევა?

— შეეძლო. თავად განსაჯეთ, გუნდში სამი ფეხბურთელია ბელგიის ეროვნული გუნდიდან, სამი — 23 წლამდელთა და ამდენივე ახალგაზრდული ნაკრებიდან. გარდა ამისა, „სტანდარდში“ ოთხი ბრაზილიელია. მეორე გუნდსაც არ აკლია მაღალი კლასის ფეხბურთელები. დუბლებში ჩემს გარდა ორი ნიგერიის, ორი განის და ერთიც იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

— ახლა თქვენზეც ვისაუბროთ...

— მე იმას გეტყვით, რომ უკვე პირველ შემადგენლობასთან ერთად ვვარჯიშობ, ძირითადი გუნდის მაისური №34 მარგუნეს, თამაში კი მეორე შემადგენლობაში მიწევს. თანაგუნდელებთან და მწვრთნელებთან მშვენიერი დამოკიდებულება მაქვს. არც ანაზღაურებას ვემდური — ერთი სიტყვით, კმაყოფილი გახლავართ.

— მოდით, ბელგიური და ქართული ფეხბურთის დონეც შევადაროთ...

— განსხვავება, უპირველესად, პირობებშია. საქმის სხვანაირი ორგანიზაცია აქვთ, სხვანაირი მიდგომა. ფეხბურთის დონეს რაც შეეხება, პირობებიდან გამომდინარე, ჩვენი ფეხბურთი ჯერაც ჩამორჩება იქაურ, უფრო სწრაფსა და ათლეტურს.

— ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების შესახებ რას იტყოდით?

— ჩვენმა ნაკრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა რუსებთან თამაშის შემდეგ. განსაკუთრებით პირველი ტაიმი იყო კარგი. რაც შეეხება მეორეს, აქ დაღლილობამ იჩინა თავი. სეზონი ახლა დამთავრდა და ჩვენი ბიჭების გამოსვლას ალბათ ამანაც დაასვა დაღი. მჯერა, ეს თამაში სხვა დროს რომ ჩატარებულიყო, რუსებს დიდი ანგარიშით მოვუგებდით.

— იტალიური ტურნესათვის როგორ ემზადებით?

— მონდომებით. გვყავს კარგი ფეხბურთელები და მშვენიერი მწვრთნელები, რომლებიც გვთავაზობენ თანამედროვე, სწრაფ ფეხბურთს. თუკი მათი დავალებების შესრულება მოვახერხეთ, ჩინებული გუნდი გვეყოლება. ტურნეს რაც შეეხება, მგონი, მოვახერხებთ ღირსეულად გამოსვლას და მეტოქეთა დამარცხებას.

— ბელგიას დავუბრუნდეთ. ქუთაისის „ტორპედოს“ ინტერტოტოს მეორე ეტაპზე ბელგიის „ლომელი“ ელის, როგორ დაახასიათებდით ამ გუნდს?

— „ლომელი“ არ არის ბელგიური გრანდი, საშუალო გუნდია, რომელიც ძირითადად სწორედ ინტერტოტოზე გამოდის. მან წელს მეათე ადგილი დაიკავა. სეზონის ბოლოს გუნდი ძირითადის ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა და ამჟამად სუსტად გამოიყურება. ქუთაისელები თუ მოინდომებენ, შეძლებენ ამ ბარიერის გადალახვას.

— თანამედროვე ფეხბურთისთვის შესაშური მონაცემები გაგაჩნიათ, ახალგაზრდული ასაკი, 179 სმ სიმაღლე, 72 კგ წონა. მიწვევები გექნებათ...

— კონტრაქტის თანახმად, კიდევ ერთი წელი უნდა დავყო „სტანდარდში“, ამიტომ არანაირი მიწვევა და ტრანსფერი არ მაინტერესებს.

— რომელი საფეხბურთო ქვეყანა და სტილი მოგწონთ?

— ინგლისი და ინგლისური ფეხბურთი მირჩევნია სხვებს. მსოფლიოს ჩემპიონატზეც ინგლისს ვქომაგობ, თუმცა ვფიქრობ, ბრაზილიელებს დიდი შანსი აქვთ...

— რაკი ჩემპიონატი ვახსენეთ, როგორ გგონიათ, ვინ გახდება საუკეთესო ფეხბურთელი? ბარემ ბომბარდირის თქვენეული პროგნოზიც გაგვიმხილეთ.

— ვფიქრობ, ბომბარდირი შირერი გახდება, საუკეთესო კი ალბათ — რონალდო.

— იგივე კითხვით ქართულ ფეხბურთში გადმოვინაცვლოთ. ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად, დაასახელეთ იდეალური გუნდი და ახალგაზრდული ნაკრების ლიდერად ვის თვლით, ესეც გვითხარით.

— ქართულ ფეხბურთში არველაძეები, ქინქლაძე და ქეცბაია მიმაჩნია საუკეთესოებად, იდეალური გუნდი — 1981 წლის თბილისის „დინამო“, ჩვენი ნაკრების ლიდერი კი უდავოდ იაშვილია, ხუმრობა საქმეა? ბუნდესლიგაში აღზევდა კაცი.

— იდეალი ხომ გყავთ ფეხბურთში?

— ჩემი იდეალი ალან შირერია.

— როგორ გგონიათ, სუსტი წერტილი თუ გაქვთ და რაზე გმართებთ ყურადღების გამახვილება?

— არ არსებობს ფეხბურთელი ნაკლის გარეშე. საკუთარ თავზე კი იმას გეტყვით, რომ მარცხენა ფეხზე მუშაობა მმართებს. სასურველია, თავით თამაშიც გავაუმჯობესო.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ლატვია ჯელაძე — რუსეთში, გვარამაძე — თურქეთში

# არმაზი — მოსკოვში კოშკა — ტრაბზონში

როგორც ლატვიის ნაკრების მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვაცნობა, „ვენტსპილსის“ ქართველი ჰავბეკი არმაზ ჯელაძე რამდენიმე კვირით მოსკოვის „დინამოში“ ყოფილა გასასინჯად, რუსთათვის თავიც მოუწონებია და მოსალოდნელია, რომ დეკემბრიდან იქვე ჩაირიცხება.

საქართველოს ნაკრების მეკარე დავით გვარამაძისთვის კი თვალი თურქულ „ტრაბზონს“ დაუდგამს. თურქი აგენტები საქართველო — რუსეთის მატჩსაც დაესწრნენ, რათა კოშკა საქმეში ეხილათ, მაგრამ გუცაევმა იმ დღეს ტოგონიძის მეკარეობა ამჯობინა.

**კობა ინასარიძე**

რუსთავი გოგა ჟვანიამ გუნდის საჭე კოტე ჯალიაშვილს ჩააბარა

# რუსთავი სიურპრიზს გვპირდება



„რუსთავის“ ახალ მწვრთნელად აქამდე ბავშვთა ფეხბურთში მუშაობით ცნობილი კოტე ჯალიაშვილი დაინიშნა.

— სერიოზული მუშაობა ჯერ არ დაგვიწყია. პრეზიდენტ გოგა ჟვანიასთან კი მოლაპარაკება დასრულებულია. ორი კვირის შემდეგ ინტენსიურ საქმიანობას დავიწყებთ გუნდში ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების მოსაყვანად. ყოველივე ერთ წელიწადში დამთავრდება. გაისად მეტად დიდი პრეტენზია და მიზანი გვექნება. ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, უსიურპრიზოდ სეზონი არ მითამაშია, რა თქმა უნდა, სასიამოვნო სიურპრიზს ვგულისხმობ — გვითხრა ბატონმა კოტემ.

**ხვიჩა სანიკიძე**

დარჩა FRANCE 98 1 დღე

# ფუტიქსის დროშით

## ხომ არ აჭარბებს შუკერი?

ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩს ბოლო ხანებში სანერვიულო ბლომად ჰქონდა. ჯერ იყო და გუნდის ლიდერი და ძირითადი დამრტყმელი ძალა „ლაციოს" ალან ბოქშიჩი მძიმედ დაშავდა და დიდი თავსატეხი გაუჩინა. ამ თავდამსხმელის სრულფასოვანი შემცვლელი ხომ არათუ ხორვატიაში, მთელს მსოფლიოშიც ძნელად მოიძებნება. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაში ბლაჟევიჩის კიდევ ერთი შეგირდი დავორ შუკერი თავის აჩრდილს ჰგავდა და მოედანზე ღირსშესანიშნავი არაფერი შეუქმნია. ჰოდა, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მძიმე დროებაში მყოფი რჩეული ფორვარდების შემყურე ნაკრების მწვრთნელი რაღა გასაკვირია, რომ სასოწარკვეთილი ყოფილიყო. თუმცა...



დავორ შუკერი

გასულ კვირას ხორვატიის ეროვნული გუნდი სასაფრანგეთოდ მზადების ციკლის უკანასკნელ ამხანაგურ მატჩში ავსტრალიის ნაკრებს შეხვდა და 7:0 გაანადგურა. მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი დავორ შუკერი კი იმ საღამოს მართლაც შეუდარებელი გახლდათ. მან, გარდა იმისა, რომ ჰეთ-თრიქი შეასრულა, საგოლე პასებიც ბლომად არიგა, რითაც აღტაცებაში მოიყვანა მწვრთნელიცა და სტადიონზე მისული გულშემატკივარიც.

— თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. ჩემს თამაშში ძველი ჩავარდნის ნატამალიც კი არ შეინიშნება და ეს უდიდეს სიამოვნებას მგვრის. ვფიქრობ, სრულიად მზად ვარ საფრანგეთში მაღალ დონეზე თამაშისათვის და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩემი სახელი სამუდამოდ ჩაიწეროს არა მარტო ხორვატიის, არამედ საერთოდ მთელი მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში — მატჩის შემდეგ მშვენიერ ხასიათზე მყოფმა ფეხბურთელმა გაზეთ „ვეჩერნი ლისტისთვის" მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ ცამდე აიყვანა თავისი თავი.

არადა, შუკერი გასული შემოდგომიდან მოყოლებული არც თუ მთლად სახარბიელო ფორმაში იმყოფებოდა და ესპანურ სამეფო კლუბში სუსტად ნათამაშევ შეხვედრებს რომ თავი დავანებოთ, არც მის სანაკრებო გამოსვლას ეთქმოდა მთლად საუცხოო. ის კი არა, ეროვნული გუნდის მაისურით ბოლოჯერ მეტოქეთა კარის ბადე 1997 წლის ოქტომბერში შეარხია. მაგრამ თავდამსხმელი უბედობას არ შეეგუა და რამდენიმე დღის წინ ირანელების წინააღმდეგ ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში ბურთის გატანით შეწყვიტა მისთვის ასე სამარცხვინო რამდენიმეთვიანი უგოლო პერიოდი.

შუკერის აზრით, ხორვატიის ნაკრებს მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია თვით ბრაზილიელების ჩათვლით, თუმცა თავდამსხმელი იმასაც აღიარებს, რომ ექს-იუგოსლავიელებს არც თუ ისე შესაშური მიზანსწრაფვა და ბრძოლის უნარი აქვთ, რის გამოც იქნებ მათზე უფრო გაცილებით სუსტ მეტოქესთანაც კი შერცხვნენ.

ჩვენ გვსურს, რომ მთელს მსოფლიოს დავუმტკიცოთ ხორვატიის ნაკრების სიძლიერე და კარგი თამაშით ღირსეულად წარმოვადგინოთ ჩვენი პატარა ქვეყანა. ამისათვის გუნდის თითოეული მოთამაშე გაასმაგებული ენერგიით იბრძოლებს და არა მგონია, ამ შემართებამ უკვალოდ ჩაიაროს — თქვა შუკერმა, რომლის ოპტიმისტური განწყობა იმდენად შთამბეჭდავია, რომ ადვილად შესაძლებელია, კაცმა ხორვატების წარმატება მართლაც საფუძვლიანად ირწმუნოს. ვნახოთ, ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოჩნდება. სწორედ საფრანგეთში ვიხილავთ, ვის რისი უნარი შესწევს. მანამდე კი უნდა მოვიცადოთ. თუმც რაღა დარჩა — ხვალ მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატი იწყება!

### ამხანაგური მატჩები

#### შვეიცარია 1:1 იუგოსლავია

შვეიცარია: ცუბერბიულერი, ფოგელი, ფურნიე, ენჩოსი, ცვაისიგი, იაკინი, სესა (სელესტინი 87), ლონფატი (ჰაასი 46), ჩასო (დე ნაპოლი 61), კომიზეტი (მიულერი 77), შაპუიზა

იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი (კომლიენოვიჩი 46), ჯუკიჩი (პეტროვიჩი 46), ბრნოვიჩი (გოვედარიცა 46), იუგოვიჩი, მიატოვიჩი (კოვაჩევიჩი 46), სტოიკოვიჩი, მილოშევიჩი (სტანკოვიჩი 77)

0:1 ბრნოვიჩი (7), 1:1 მიულერი (84)

#### ხორვატია 7:0 ავსტრალია

ხორვატია: ლადიჩი (მრმიჩი 46), სტანიჩი (მამიჩი 46), იარნი (სერიჩი 46), შტიმაცი (ტიუდორი 46), სოლდო (იურიჩი 50), სიმიჩი, ასანოვიჩი (იურჩიჩი 46), პროსინეჩკი (კრჟანი 59), შუკერი (კოზნიკუ 64), ბობანი, მარიჩი

ავსტრალია: კალაჩი, მუსკეტი, დე ამისი (რისო 61), პოპოვიჩი, ტობინი, ბაბიჩი, ემერტონი, ფოსტერი, ვიდუკა, სკოკო (ა. ალოისი 74), ჯ. ალოისი (სპიტერი 64)

1:0, 2:0 შუკერი (14პ, 37), 3:0 პროსინეჩკი (40), 4:0 ბობანი (47), 5:0 შუკერი (63პ), 6:0 კოზნიკუ (72), 7:0 ბობანი (83)

#### რუმინეთი 5:1 მოლდოვა

რუმინეთი: სტინგაჩუ (პრუნია 62), პოპესკუ, პეტრესკუ, ჩებოტარიუ, ფილიპესკუ, მუნტიანუ (დუმიტრესკუ 46), ჰაჯი (სტინგა 46), გილჩა (დობოში 56), მარინესკუ, მოლდოვანი, ილიე (ნიკულესკუ 46)

მოლდოვა: დინოვი, სტროენკო, ტესტიმიცანუ, პუშკა, გუსინი, ფისტიკანი, გაიდამაშჩუკი (ტაბანოვი 71), უპურენუ, სტრატელატი, კირილოვი (პოპოვიჩი 61), კლეშჩენკო

1:0 პოპესკუ (32პ), 2:0 პეტრესკუ (34), 3:0 დუმიტრესკუ (44), 4:0 მოლდოვანი (72), 5:0 ნიკულესკუ (84), 5:1 ტაბანოვი (88)

#### ტუნისი 4:0 უელსი

ტუნისი: უაიერი, ჰ. ტრაბელსი (ტაბეტი 46), კლეიტონი (ბენ აჰმადი 77), ს. ტრაბელსი, შუშანი (ჯაბალა 46), ბადრა, ჩიჰი, გოდბენი (ბუაზიზი 46), სუია (ბეია 46), ბენ იენეში (სლიმანი 46), სელიმი (მელკი 68)

უელსი: მერიოტი, რედი, კოულმენი, გრინი (ედვარდსი 46), პემბრიჯი, ბელემი (ჰოუარდი 63), ჰარტსონი, სონდერსი (ჯენკინსი 79), სტროლოპი, სევიჯი

1:0 ბენ იენეში (19), 2:0 ბადრა (36), 3:0 ჯაბალა (69), 4:0 ბადრა (83პ)

#### ბელგია 1:0 პარაგვაი

ბელგია: დე ვილდე, კრასონი, სტალენსი (ვან მეირი 70), ვიდოვიჩი, ვან დერ ელსტი, დე ბეკი, ვილმოტსი (შიფო 46), ოლივეირა (მ. მპენზა 85), ნილისი (ლ. მპენზა 46), კლემენტი, ბოფინი

პარაგვაი: დიასი, არსე, რივაროლა, გამარა, აგილერა, აკუნია (იტუასი 75), სარაბია, როხასი (კანისა 46), ბენიტესი, ენკისო (კამპოსი 60), რამირესი (კარდოსო 64)

1:0 შიფო (56)

#### ს. აფრიკა 1:1 ისლანდია

ს. აფრიკა: ვონკი, მნგუნი (მკალელე 46), ნიატი, ისა, ფიში, რადებე (მორულა 87), ფირი, ბაკლი (ფორტუნი 65), ხუმალო (ჯექსონი 46), სიკოსანა (ბარტლეტი 65), მაკართი

ისლანდია: კრისტიანსონი, ვიდარსონი, რეიდარსონი, იანსონი, გუნარლსონი, უონსონი (ინგერმარსონი 69), დანვირსონი (გუდმუნდსონი 58), ტოდარსონი, სვერისონი (ბიარნარსონი 57), გუდანსონი (იოჰანსონი 58)

1:0 მაკართი (37), 1:1 ტოდარსონი (73)

## ფეხბურთის რუკასთან



**სლოვაკეთის** თასის ფინალში ტრნავის „სპარტაკმა" ქვეყნის ჩემპიონ „კოშიცეს" 2:0 სძლია და ჯილდოსაც დაეუფლა.

**სამხრეთ აფრიკული წარმოშობის გერმანელი ფეხბურთელის შონ დანდის ბუნდესლიგიდან გავარდნილი „კარლსრუედან" „ლივერპულში" გადასვლის საკითხი მოგვარდა. გუნდები ყველაფერზე შეთანხმდნენ და საბოლოოდ ინგლისელებმა ფეხბურთელში ორი მილიონი გირვანქა (3,3 მილიონი დოლარი) გადაიხადეს. „ლივერპულის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იან კოტონმა განაცხადა: „დანდი ჩვენმა პირობებმა დააკმაყოფილა და ახლა იგი „ლივერპულის" ფეხბურთელია".**

**რუსეთის** თასის ფინალში, ისევე, როგორც ორი წლის წინ, მოსკოვური კლუბები „ლოკომოტივი" და „სპარტაკი" შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა და ბოლოსწინა წუთზე ანდრეი ტიხონოვის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით „სპარტაკმა" მოიგო. მარცხის მიუხედავად, რკინიგზელები გაისად თასების თასის გათამაშებაში იასპარეზებენ, რადგან მეტოქემ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

**ალბანეთის თასის მფლობელი ფინალში „ლუშნიას" 1:0 ძლევის შემდეგ „აპოლონია" გახდა.**

**ინგლისურმა** „ასტონ ვილამ" 4,5 მილიონ გირვანქად (7,4 მილიონი დოლარი) „ბოლტონ უონდერერსიდან" ნახევარმცველი ალან ტომპსონი გადაიბირა. საამისოდ ბირმინგემელებმა გვარიანად იბრძოლეს, რადგან ფეხბურთელს ბევრი სხვა კლუბი ეპატიჟებოდა, მათ შორის, „ლიდს იუნაიტედი" და „ბლექბერნ როვერსი". ბირმინგემელთა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ განაცხადა: „ამ თანამდებობაზე დამნიშნეს თუ არა, ალანის ჩვენთან გადმოყვანა დავისახე მიზნად. ოთხი მძიმე დღის შემდეგ სურვილი რეალობად ვაქციე და ძალიანაც მიხარია. ტომპსონი ყველა პირობას აკმაყოფილებს, რაც ნახევარმცველს მოეთხოვება. იგი დაუღალავია, მარცხენა ფეხით შესანიშნავად თამაშობს და გოლებიც ხშირად გააქვს". თავად ფეხბურთელიც კმაყოფილია: „ჩემით ბევრი სხვა კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ მე მაინც ეს ვარიანტი ვარჩიე. „ასტონ ვილა" მეტად ამბიციური კლუბია და მსურს, მას ტიტულების მოპოვებაში დავეხმარო, თანაც გაისად უეფას თასზე ვთამაშობთ. ყველანაირად ვეცდები, გუნდიდან წასული სტივ სტონტონის და სავო მილოშევიჩის არყოფნა არავის ვაგრძნობინო. რაც შეეხება ჩემს მთავარ მიზანს, ეს გლენ ჰოდლის გუნდში ადგილის დამკვიდრებაა". კონტრაქტი კლუბსა და ტომპსონს შორის ხუთწლიანია.

**ჰოლანდიის ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" ნახევარმცველის რონალდ დე ბურის ლონდონის „არსენალში" გადასვლა დაბრკოლდა. როგორც აღმოჩნდა, ინგლისელების მიერ შეთავაზებულმა სატრანსფერო თანხამ — 30 მილიონმა გულდენმა (15 მილიონი დოლარი) ჰოლანდიის წლევანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი არ დააკმაყოფილა. თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მას სულ რამდენიმე კლუბში სურს თამაში და უპირველესად „არსენალში". რონალდ დე ბურს, ისევე, როგორც მის ძმას, „აიაქსთან" 2004 წლამდე აქვს კონტრაქტი.**

**გერმანულ** ბუნდესლიგაში გაისად სამი ახალი კლუბი იასპარეზებს: ფრანკფურტის „აინტრახტი", „ნიურნბერგი" და „ფრაიბურგი", სადაც ჩვენებურები — ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილიც თამაშობენ. პირველმა ბოლო ტურში შინ 50 000 გულშემატკივრის თვალწინ 4:2 სძლია „ფორტუნას" და მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა. „ფრაიბურგი" „შტუტგარტ კიკერსის" 2:1 დამარცხებით მეორე ადგილზე დამკვიდრდა. მესამე კი „კოტბუსთან" 3:3 დაზავებული „ნიურნბერგია". ეს გუნდები ლიგიდან გავარდნილ „კიოლნს", „კარლსრუეს" და „არმინიას" შეცვლიან. მეორე ბუნდესლიგის დატოვება „ლაიპციგს" მოუწევს.

**არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განაცხადა, რომ შესაძლოა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ბრაზილიამ და არგენტინამ ერთად უმასპინძლონ. საფეხბურთო გაზეთ „ელ გრაფიკოსთვის" მიცემულ ინტერვიუში მან ისიც აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები ბრაზილიური ფეხბურთის ხელმძღვანელობასთან და სამხრეთ ამერიკის კონფედერაციასთან უკვე მიმდინარეობს და არცთუ ურიგოდ. „ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ოთხჯერ მოიპოვა, არგენტინამ ორჯერ. ასეთმა მიღწევებმა კი ძლიერ შეუწყო ხელი სპორტის ამ სახეობის სწრაფ პოპულარიზაციას. ორივე ქვეყანას აქვს ასეთი ტურნირის მოწყობის გამოცდილება და მერწმუნეთ, თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩვენ გვინდა, ფეხბურთის ისტორია უჩვეულოდ გამდიდრდება" — დაამატა გრონდონამ. შეგახსენებთ, რომ არგენტინამ 1978 წელს უმასპინძლა მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს და იმარჯვა კიდეც, ხოლო ბრაზილიაში გამართული პირველობა მასპინძელთათვის უიღბლო გამოდგა — მათ ფინალში ურუგვაისთან წააგეს. რაც შეეხება 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, მას იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ერთდროულად უმასპინძლებს.**

**ესტონეთის** ჩემპიონის ტიტული ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მესამედ ტალინის „ფლორამ" მოიპოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „ფლორას" უახლოესმა მდევარმა „სადამმა" მესამე ადგილზე მყოფ ნარვის „ტრანსთან" წააგო. ტალინურ გუნდს წლეულს დუბლის გახერხებაც შეუძლია — 20 ივნისს ქვეყნის თასის ფინალში „ფლორა" „ლანტანას" შეხვდება.

**ინგლისელმა ბუკმეიქერებმა გამოაქვეყნეს იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობას უწინასწარმეტყველებენ. ამ ნუსხაში პირველი ბრაზილიელი სუპერფორვარდი რონალდოა — კოეფიციენტი 4-1. მას მიჰყვებიან: გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) 7-1, ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ალან შირერი (ინგლისი) 11-1, ალესანდრო დელ პიერო (იტალია) 12-1, პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია) 16-1, ედმუნდო (ბრაზილია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია) 20-1, ხოლო დანარჩენები 25-1. სხვათა შორის დაშვებულია პატარა ფსონები კოეფიციენტით 1000-1 მათთვის, ვინც ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლედ პარაგვაის ნაკრების მეკარე ხოსე ლუის ჩილავერს მიიჩნევს.**

**ნორვეგიის** ნაკრების ერთ-ერთმა თავგადაკლულმა გულშემატკივარმა ოსლოდან ველოსიპედით 1800 კილომეტრი გაიარა, რათა საფრანგეთის კურორტ სენტ ანდრეში დაბანაკებულ თავისი ქვეყნის გუნდს სწვეოდა. მას გადაუწყვეტია, ყველგან გაჰყვეს ნორვეგიის ნაკრებს, რაღა თქმა უნდა, მონპელიეს, ბორდოსა და მარსელის ჩათვლით, სადაც გუნდი A ჯგუფის შეხვედრებს ჩაატარებს. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე პეტერ გარდენი აუქციონის გამართვას აპირებს, რომელზეც ტურნეს დროს მოპოვებულ სუვენირებს — ავტოგრაფებსა და ნაკრების ფეხბურთელთა მაისურებს გაიტანს. აღებულ თანხას კი, როგორც თავად განაცხადა, ჰუმანიტარული დახმარების შეძენას მოახმარს.

### ნორვეგია

მე-9 ტური: ბრანი — ჰაუგესუნდი 2:2; მოლდე — ვოლერენგენი 4:1; მოსი — ტრომსო 3:2; სოგნდალი — ლილესტრიომი 2:2; ვიკინგი — სტაბეკი 1:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდე | 9 | 7 | 2 | 0 | 29:6 | 23 |
| რუსენბორგი | 8 | 6 | 2 | 0 | 28:6 | 20 |
| ვიკინგი | 9 | 6 | 0 | 3 | 23:14 | 18 |
| სტაბეკი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:10 | 17 |
| მოსი | 9 | 5 | 1 | 3 | 12:19 | 16 |
| ლილესტრიომი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:23 | 13 |
| ტრომსო | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| კონგსვინგერი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:13 | 11 |
| ბოდო გლიმტი | 8 | 2 | 3 | 3 | 15:18 | 9 |
| სტრომგოდსეტი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:16 | 9 |
| ვოლერენგენი | 9 | 2 | 1 | 6 | 15:24 | 7 |
| ჰაუგესუნდი | 9 | 1 | 2 | 6 | 13:19 | 5 |
| ბრანი | 9 | 0 | 4 | 5 | 9:16 | 4 |
| სოგნდალი | 9 | 0 | 4 | 5 | 8:21 | 4 |

### რუსეთი

გამოტოვებული მატჩები. ურალანი — როტორი 2:1; ბალტიკა — ჩერნომორეცი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:7 | 19 |
| ალანია | 10 | 5 | 3 | 2 | 13:9 | 18 |
| როტორი | 10 | 4 | 5 | 1 | 17:11 | 17 |
| ბალტიკა | 10 | 4 | 5 | 1 | 9:6 | 17 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 4 | 2 | 12:8 | 16 |
| ჟემჩუჟინა | 10 | 4 | 3 | 3 | 11:10 | 15 |
| როსტსელმაში | 10 | 3 | 5 | 2 | 17:12 | 14 |
| ცსკა | 10 | 3 | 4 | 3 | 14:11 | 13 |
| სპარტაკი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 12 |
| ურალანი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| კრილია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:13 | 11 |
| ჩერნომორეცი | 11 | 1 | 7 | 3 | 10:13 | 10 |
| შინიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:14 | 10 |
| ტორპედო | 10 | 1 | 5 | 4 | 6:9 | 8 |
| დინამო | 10 | 0 | 8 | 2 | 4:7 | 8 |
| ტიუმენი | 9 | 1 | 1 | 7 | 4:20 | 4 |

### სლოვენია

36-ე ტური: ვევჩე — მარიბორი 4:7; ბელტინჩი — მურა 2:2; კოროტანი — ოლიმპია 1:0; გორიცა — პუბლიკუმი 2:0; რუდარი — აიდოვშინა 1:3.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 36 | 24 | 4 | 8 | 69:34 | 76 |
| მურა | 36 | 19 | 10 | 7 | 63:42 | 67 |
| გორიცა | 36 | 20 | 5 | 11 | 64:36 | 65 |
| აიდოვშინა | 36 | 17 | 6 | 13 | 63:49 | 57 |
| ოლიმპია | 36 | 13 | 12 | 11 | 59:55 | 51 |
| პუბლიკუმი | 36 | 14 | 7 | 15 | 57:57 | 49 |
| რუდარი | 36 | 10 | 13 | 13 | 39:38 | 43 |
| კოროტანი | 36 | 10 | 12 | 17 | 31:59 | 42 |
| ბელტინჩი | 36 | 9 | 7 | 20 | 44:71 | 34 |
| ვევჩე | 36 | 4 | 7 | 25 | 37:83 | 19 |

### იტალია

სერია B

37-ე ტური. ანკონა — კალიარი 4:1; დი სანგრო — ვერონა 0:2; კიევო — პესკარა 2:2; ლუკეზე — ტრევიზო 0:0; პადოვა — რეჯინა 3:1; პერუჯა — ტორინო 2:1; რავენა — ჯენოა 3:0; რეჯანა — მონცა 0:2; სალერნიტანა — ფოჯა 3:2; ვენეცია — ფ.ანრია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 37 | 19 | 14 | 4 | 63:30 | 71 |
| ვენეცია | 37 | 17 | 12 | 8 | 50:30 | 63 |
| კალიარი | 37 | 15 | 17 | 5 | 51:34 | 62 |
| ტორინო | 37 | 16 | 11 | 10 | 48:40 | 59 |
| პერუჯა | 37 | 15 | 14 | 8 | 44:37 | 59 |
| რეჯინა | 37 | 13 | 13 | 11 | 36:40 | 52 |
| ვერონა | 37 | 14 | 8 | 15 | 47:36 | 50 |
| რეჯანა | 37 | 13 | 11 | 13 | 36:33 | 50 |
| ტრევიზო | 37 | 11 | 16 | 10 | 40:40 | 49 |
| კიევო | 37 | 12 | 13 | 12 | 41:44 | 49 |
| ჯენოა | 37 | 13 | 9 | 15 | 49:53 | 48 |
| ფ.ანრია | 37 | 11 | 14 | 12 | 40:41 | 47 |
| რავენა | 37 | 11 | 12 | 14 | 39:39 | 45 |
| მონცა | 37 | 9 | 17 | 11 | 48:54 | 44 |
| პესკარა | 37 | 11 | 11 | 15 | 39:48 | 44 |
| ლუკეზე | 37 | 11 | 11 | 15 | 35:46 | 44 |
| ფოჯა | 37 | 9 | 13 | 15 | 46:53 | 40 |
| ანკონა | 37 | 8 | 15 | 14 | 47:59 | 39 |
| პადოვა | 37 | 8 | 12 | 17 | 30:48 | 36 |
| დი სანგრო | 37 | 5 | 15 | 17 | 36:60 | 30 |

PLASPAN
ლასპანი
მეტალოპლასტიკის
კარ-ფანჯრები,
ტიხრები, ვიტრაჟები
მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ. №1 (სს „ავტომემკვიდრეობის" ტერიტორიაზე)
ტ. 66-21-60
8-77-40-17-01





# FRANCE 98

# სარბიელი წარმოგიდგენთ მონაწილეებს

adidas Canon Coca-Cola FUJIFILM Gillette JVC MasterCard McDonald's OPEL PHILIPS SNICKERS

## H ჯგუფი

**14 ივნისი**

არგენტინა - იაპონია
ტულუზი. $16^{30}$

იამაიკა - ხორვატია
ლანსი. $23^{00}$

**20 ივნისი**

იაპონია - ხორვატია
ნანტი. $16^{30}$

**21 ივნისი**

არგენტინა - იამაიკა
პარიზი. $19^{30}$

**26 ივნისი**

არგენტინა - ხორვატია
ბორდო. $18^{00}$

იაპონია - იამაიკა
ლიონი. $18^{00}$

## არგენტინა

ტერიტორია: 2 780 000 კმ²
მოსახლეობა: 34 995 000
დედაქალაქი: ბუენოს აირესი
ფედერაცია: *Asociacion del Futbol Argentino*
რეზიდენცია: ბუენოს აირესი
დაარსდა: 1893
ფიფა: 1912
კონმებოლი: 1916
პრეზიდენტი: ხულიო გრონდონა

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | II ადგილი | 1958 | ჯგუფი | 1978 | ჩემპიონი |
| 1934 | I ეტაპი | 1962 | ჯგუფი | 1982 | ¼ ფინალი |
| 1938 | —— | 1966 | ¼ ფინალი | 1986 | ჩემპიონი |
| 1950 | შესარჩევი | 1970 | შესარჩევი | 1990 | II ადგილი |
| 1954 | —— | 1974 | ¼ ფინალი | 1994 | ¼ ფინალი |

## იაპონია

ტერიტორია: 377 800 კმ²
მოსახლეობა: 120 000 000
დედაქალაქი: ტოკიო
ფედერაცია: *Football Association of Japan*
რეზიდენცია: ტოკიო
დაარსდა: 1921
ფიფა: 1929
აფკ: 1954
პრეზიდენტი: კენ ნაგანუმა

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | —— | 1958 | —— | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | —— | 1962 | შესარჩევი | 1982 | შესარჩევი |
| 1938 | —— | 1966 | —— | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | —— | 1970 | შესარჩევი | 1990 | შესარჩევი |
| 1954 | შესარჩევი | 1974 | შესარჩევი | 1994 | შესარჩევი |

## იამაიკა

ტერიტორია: 10 991 კმ²
მოსახლეობა: 2 551 000
დედაქალაქი: კინგსტონი
ფედერაცია: *Jamaica Football Federation*
რეზიდენცია: კინგსტონი
დაარსდა: 1910
ფიფა: 1962
კონკაკაფი: 1963
პრეზიდენტი: ჰორეის ბარელი

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | —— | 1958 | —— | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | —— | 1962 | —— | 1982 | —— |
| 1938 | —— | 1966 | შესარჩევი | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | —— | 1970 | შესარჩევი | 1990 | შესარჩევი |
| 1954 | —— | 1974 | შესარჩევი | 1994 | შესარჩევი |

## ხორვატია

ტერიტორია: 56 538 კმ²
მოსახლეობა: 4 780 000
დედაქალაქი: ზაგრები
ფედერაცია: *Croatian Football Federation*
რეზიდენცია: ზაგრები
დაარსდა: 1912
ფიფა: 1992
უეფა: 1992
პრეზიდენტი: ბრანკო მიკსა

**მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | —— | 1958 | —— | 1978 | —— |
| 1934 | —— | 1962 | —— | 1982 | —— |
| 1938 | —— | 1966 | —— | 1986 | —— |
| 1950 | —— | 1970 | —— | 1990 | —— |
| 1954 | —— | 1974 | —— | 1994 | —— |



სტად მუნისიპალი ტულუზი
*37 000 მაყურებელი, აშენდა 1948 წელს*



პარკ დე პრენსი პარიზი
*49 000 მაყურებელი, აშენდა 1972 წელს*



სტად ფელიქს ბოლერი ლანსი
*41 275 მაყურებელი, აშენდა 1932 წელს*



სტად ლესკიური ბორდო
*35 200 მაყურებელი, აშენდა 1938 წელს*



სტად დე ლა ბოჟუარი ნანტი
*39 000 მაყურებელი, აშენდა 1984 წელს*



სტად ჟერლანი ლიონი
*44 000 მაყურებელი, აშენდა 1924 წელს*

ნუთუ ქვეყნად მოიძებნება გულშემატკივარი, რომელიც H ჯგუფის მატჩებს ინტერესით არ მოელის? ცხადია, იამაიკისა და იაპონიის შეხვედრაზე არაა საუბარი. რომელ თამაშებსაც ვგულისხმობთ, გასაგებია. უპირველეს ყოვლისა არგენტინა — ხორვატიაა სანახავი. არგენტინა, გარდა იმისა, რომ ტრადიციულად ძლიერია და თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს, ძალიან ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. აღარ არის მარადონა, მაგრამ არიან ბატისტუტა, ძანეტი, კრესპო, ვერონი, ორტეგა, შამოტი, ბალბო... ხორვატთა გუნდიც ცნობილი ფეხბურთელებისგან შედგება: ბობანი, შუკერი, პროსინეჩკი, იარნი... თან ხორვატები თავდადებული ხალხია, მსოფლიოს პირველობაზე ყველა შეხვედრას ისე ჩაატარებენ, თითქოს ფინალი იყოს.

მე რომ მკითხოთ, არგენტინის მონაწილეობით სხვა თამაშებიც საინტერესო იქნება, თუნდ მეტოქე ლამაზ თამაშში ვერ აჰყვეს ორგზის ჩემპიონს.

რაც შეეხება იაპონიას ვნახოთ რა შვილიც ბრძანდება.

იამაიკელები კი ფეხბურთს თუ ვერ ითამაშებენ, ბობ მარლის მაინც მოგვაგონებენ, ხოლო კაცს რეგის ტაქტი რომ გაგახსენდება, უთუოდ კარგ გუნებაზე დადგები.

*H ჯგუფის გუნდებს გაგაცნობთ*
*ილია ჭაჭყნაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არგენტინა

## ტანგოს მოცეკვავეთა ანსამბლი

ტანგო არგენტინელთა ცეკვაა. ყველას გვინახავს რიტმული მუსიკის თანხლებით როგორ ცდილობს მამაკაცი ქალის დაპყრობას. ესაა ტანგო.

ასე ვფიქრობთ ჩვენ, მაგრამ ვართ კი მართალნი? იქ, არგენტინული სულის წიაღში თურმე სულ სხვა რამ დევს, თურმე ტანგო ორი მამაკაცის ბრძოლაა ქალის ხელში ჩასაგდებად და ცეკვის საიდუმლოც ის გახლავთ, რომ მასში მონაწილეობს ბრძოლის მიზეზი — ქალი, მეორე მამაკაცი კი არ ჩანს.

არგენტინული ფეხბურთიც ტანგოა. მამაკაცი ბურთთან ცეკვავს, მეტოქე არ ჩანს, არადა ფეხბურთელი სწორედ მეტოქეს ებრძვის.

...დიეგო მარადონა ბურთს ცენტრში ეუფლება და ცეკვას იწყებს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არიან ისინი გზიდან რომ მოიშორა. ვიცით, რომ ინგლისელები არიან და თუ ვიდეოკასეტას ერთხელაც გადავახვევთ, მათ ვინაობასაც გავარკვევთ, მაგრამ ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რად გვინდა მათი გვარები? ის, რაც მარადონამ 1986 წლის მსოფლიოს პირველობის მეოთხედფინალში გვიძღვნა ტანგო იყო, ნამდვილი არგენტინული ტანგო. მან ბურთთან იცეკვა, მეტოქე კი არ გამოჩენილა. და ბოლოს, იყო დიდებული გოლი. ისევე როგორც ტანგოში, რაყიფი დამარცხდა. ქალი გამარჯვებული მებრძოლის მკლავებშია,



1978 წელს არგენტინელთა კაპიტანმა დანიელ პასარელამ მსოფლიოს თასი აღმართა. მას მერე მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებს აღარ გაუმარჯვიათ

ბურთი — კარის ბადეში.

...„რივერ პლეიტი“ ქაღალდებითა და ლენტებით რომ დაიფარა დიეგო 16 წლისა იყო. მენოტის იგი ნაკრებში არ წაუყვანია, ერთ-ერთი გახლდათ გულშემატკივართა შორის. მაშინ, 1978 წელს, არგენტინა პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ფინალი დაუვიწყარი გამოდგა. ჰოლანდიის ნაკრებმა ძირითად დროში ვაჟკაცური წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს, დამატებით დროს კი ვეღარ გაუძლო. იმ ჩემპიონატიდან იქნებ კაცს ყველაფერი დაგავიწყდეს, მაგრამ ბოლო 30 წუთის დავიწყება შეუძლებელია. ასეთს ცხოვრებაში ხშირად როდი ნახავ.

— ამის მერე არგენტინულ და მსოფლიო ფეხბურთში მარადონას ეპოქა დაიწყო. დიდი ფეხბურთელი, მწვრთნელი და მოაზროვნე, ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი თავის წიგნში „მე და ჩემი მოთამაშეები“ მარადონაზე, რომელიც მისი მოთამაშე არასდროს ყოფილა, საყვედურს ამბობს. კრუიფი იდეალისტია და ამიტომაც უკმაყოფილოა, რომ გენიალური ნიჭით დაჯილდოვებულმა დიეგო მარადონამ მიუხედავად უდიდესი მიღწევებისა, უფრო მეტი არ მოიწადინა, არ დაისახა მიზნად ღრუბლებს ზევით ასვლა, იქ, სადაც მსოფლიოს ჩემპიონობასაც აღარ აქვს მნიშვნელობა. მარადონამ ამქვეყნად ყველას აჯობა და აღარ ისურვა იმის გამოკვლევა, როგორია თითქმის იდეალური თამაში, სადამდე შეიძლება ამაღლდეს ადამიანი.

ფილოსოფიური საკითხია. ჩვენთვის, მოკვდავთათვის ის, რაც მარადონამ შეძლო საკმარისზე მეტია. ეტყობა, ასე იყო საკუთრივ დიეგოსთვისაც. არავინ ვიცით, როგორ ვიცხოვრებდით განგებას ამა თუ იმ დარგში მისებრი ნიჭით რომ დავეჯილდოვებინეთ.

დიეგო მარადონა გენიალური მოთამაშე, მაგრამ ჩვეულებრივი ბიჭი გამოდგა თავისი ხასიათით, სისუსტეებით, ნაცნობებით და როგორც გაირკვა, კოკაინითაც...

მარადონას მაისური, რომელსაც 10 ნომერი აწერია, დღეს არიელ ორტეგას აცვია. ორტეგას არგენტინელები მეტსახელად „ელ ბურიტოს“ ანუ ჩოჩორს უწოდებენ. ჩოჩორი უთუოდ ტექნიკურია, ისეთი დრიბლინგი ეხერხება, ნებისმიერი მეტოქის დაცვას რომ აურევს გზა-კვალს. ახლა, აპრილში მისი დრიბლინგის ძალა ირლანდიელებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს, როდესაც არგენტინამ მათ 2:0 მოუგო და ორიდან ერთი საუცხოო გოლი ორტეგამ გაიტანა.



არგენტინის ნაკრები. დგანან: სენსინი, ალმეიდა, ჩანეტი, როა, პასი, აიალა; სხედან: ორტეგა, სიმეონე, კრესპო, კლაუდიო ლოპესი, ვერონი

მაგრამ ორტეგას აქვს ისეთი დღეებიც, როდესაც ვერ მიხვდები, არის თუ არა მოედანზე. ამ დღეებში იგი მოედანზე უაზროდ დაცანცარებს და ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან, ნებისმიერ ორთაბრძოლას აგებს.

ორტეგა ესპანური „ვალენსიას“ მოთამაშეა. ისევე როგორც ბევრი არგენტინელი შესარჩევ ციკლში, ნაკრებში სათამაშოდ, იგი ატლანტიკის ოკეანეს სერავდა და რამდენიმე დღით ევროპიდან სამხრეთ ამერიკაში ჩადიოდა. 16-მატჩიან შეჯიბრებაში ყველაზე დიდი სირთულე გუნდისთვის სწორედ ეს გახლდათ, დაუსრულებელი მიმოსვლა უშველებელ მანძილზე.

არგენტინამ მართლაც ცუდად დაიწყო. ეჭვიც კი გაჩნდა, იქნებ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა დამაგვირგვინებელ ეტაპზე გასვლა (ისტორიაში მეთორმეტედ) ვერც შესძლოსო. მწვრთნელმა, დანიელ პასარელამ ხსენებულ 16 შეხვედრაში კარგა ბევრი, 46 მოთამაშე გამოსცადა, რომელთაგან 6 გოლკიპერი გახლდათ. ურუგვაისთან მატჩში, მაგალითად, მოედანზე მხოლოდ ის ფეხბურთელები იყვნენ, რომლებიც ევროპულ კლუბებში თამაშობდნენ, სხვა შეხვედრებში კი სხვა ვარიანტებიც მოსინჯა.

საბოლოოდ მაინც ივარგა არგენტინის ნაკრებმა. პირველი ადგილი დაიკავა, თან მხოლოდ ორი მარცხი იწვნია. თავისებური ახსნა ამ ორ წაგებასაც მოეძებნება. ერთი ეკვადორში, კიტოში მოხდა, ზღვის დონიდან 2800 მეტრზე, მეორე — ბოლივიაში, ლა პასში, საიდანაც ზღვის დონე 36 მეტრით დაბლაა. ამ სიმაღლეზე მოთამაშეებს სირბილი უჭირდათ, ფილტვებს საკმარისი რაოდენობის ჰაერი არ მიეწოდებოდა.

ჩილეს ფეხბურთის ფედერაციამ რომ დაინახა არგენტინელებს მთიანეთში თამაში უჭირთო, ვირეშმაკობას მიმართა, გადაწყვიტა ჩემს გუნდთან ქალაქ კალამაში ვათამაშებ, ეგეც მაღლაა, 2800 მეტრზეაო, მაგრამ ჩაეშალა გეგმები.

ბოლივიაში პასარელას ფეხბურთელებს ჟანგბადის გარდა ნერვების სიმტკიცეც დააკლდათ. რომ შენიშნეს, თამაშს აგებდნენ, 10-წუთიანი ჩხუბი ატეხეს და სამ კაცზე მეტი რომ არ გაუძევეს დღესაც, დიდად მადლობელნი უნდა იყვნენ.

ჩხუბიანმა წარუმატებლობამ გამოაფხიზლა თუ რა იყო, არგენტინამ შემდეგი ხუთი თამაში მოიგო, მათ შორის სტუმრად ჩატარებული მატჩები პარაგვაისა და ჩილესთან. ამ ორ შეხვედრას საგანგებოდ იმიტომ გამოვყოფთ, რომ პარაგვაის, ისევე როგორც ჩილეს, მანამდე შინ არ წაეგო. აღსანიშნავია ისიც, რომ ლა პასის მერე პასარელამ გუნდის სქემაც შეცვალა, სამი მცველით თამაშზე გადავიდა და ასე 3-2-2-3-ით ჩაამთავრა მთელი შესარჩევი ტურნირი. სქემის გარდა, მოწინააღმდეგის თავისებურებათა მიხედვით ყოველ მატჩში იცვლებოდა ტაქტიკაც.

შესამჩნევი სიმკაცრით ეპყრობოდა პასარელა მეკარეებს. საძაგლად თითქოს არც ერთს უთამაშია, მაგრამ მწვრთნელი პატარა შეცდომებსაც არ უხუჭავდა თვალს. მაგალითად ხერმან ბურხოსის ამბავი მოვიგონოთ. ბურხოსმა პერუში საუცხოოდ ითამაშა და არგენტინამ ქულა რომ მოიპოვა, უზარმაზარი ღვაწლი დაიდო, მაგრამ შემდეგ შეხვედრაში დაშვებულმა შეცდომამ სათადარიგოთა სკამზე გადასვა.

ბოლო შვიდ თამაშში არგენტინელთა კარი კარლოს როამ დაიცვა. მას ერთობ გაუმართლა კიდეც, რამეთუ მეტოქეებს მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ, მაგრამ პასარელამ შეცდომა რომ ვერ მოუძებნა, კმაყოფილი დარჩა.

კმაყოფილი და უკმაყოფილო საბოლოოდ მაინც საფრანგეთში გამოჩნდება. რისთვის იბრძოლებს იქ არგენტინის ნაკრები? ცხადია, გვირგვინისთვის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, მეორეც — მისთვის სხვა მიზანი შეურაცხმყოფელია.

და კიდევ, ალბათ, არგენტინელებისთვის მთავარი ბრაზილიაზე წინ ყოფნაა, ხოლო თუ სადმე ერთმანეთს გადაეყრებიან, მოგება. ამას საფეხბურთო წინაპირობაც აქვს და ისტორიულიც. არგენტინაში ხომ ოდითგანვე ასე იყო, გამოჩნდებოდა ვინმე მოჯანყე, შფოთისთავი და ხალხის გულის მოსაგებად ბრაზილიის დალაშქვრას ეშურებოდა. მეზობლობის ამბავი ხომ იცით...



ნეტავ დიეგო მარადონა ძილში მაინც თუ იქცევა ჩვეულებრივი მოკვდავივით? როცა ფხიზლობს, გამორჩეულად კარგს ან ცუდს სჩადის. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, მეოთხედფინალში, მან ენითაუწერელი დრიბლინგით გაირბინა ცენტრიდან მეტოქის კარამდე და ისტორიული გოლი გაიტანა. ზედა ფოტოზე ამ მომენტის ბოლო წამია აღბეჭდილი. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ნიგერიასთან მატჩის შემდეგ იგი დოპინგ-კონტროლის ოთახში შეიყვანეს. მეორე დღეს მსოფლიომ შეიტყო, რომ სისხლში ეფედრინი აღმოაჩნდა. ქვედა ფოტოზე დიეგო საბედისწერო ლაბორატორიისკენ მიმავალ გზას ადგას.



# ოცდაორი რჩეული

## მეკარეები

**კარლოს როა** (მალიორკა, ესპანეთი), 28 წლისაა, ნაკრებში 9-ჯერ უთამაშია. გუნდში შესარჩევი ციკლის შუაში აიყვანეს. ქვეყნის პირველი გოლკიპერი მას მერე გახდა, რაც ქრთ-ერთმა მისმა კონკურენტმა იგნასიო გონსალესმა 1997 წელს, ლა პასში, ბოლივიასთან მატჩში მოწინააღმდეგეს ჩხუბი გაუმართა.

**ხერმან ბურხოსი** (რივერ პლეიტი), 29; 11. ყველაზე კარგად ხალხს თავი ლიმაში, პერუსთან შეხვედრაში დაამახსოვრა. მონაწილეობა მიიღო ახლახანს, 29 აპრილს გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ.

**პაბლო კავალერო** (ველეს სარსფილდი), 24; 4. „ველესში" პარაგვაელი ხოსე ლუის ჩილავერტის სათადარიგოდ ჰყავთ. ნაკრებში პირველად 1996 წელს, ვენესუელას წინააღმდეგ ითამაშა და ორი გოლი გაუშვა.

## მცველები

**რობერტო აიალა** (ნაპოლი, იტალია), 25; 35. პასარელა მწვრთნელად დანიშნეს თუ არა, პირველსავე შეხვედრაში მიაღებინა მონაწილეობა. თავით კარგად თამაშობს.

**ხოსე შამოტი** (ლაციო, იტალია), 29; 35. ფიზიკურად ძლიერია, მონაწილეობდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

**ეკტორ პინედა** (უდინეზე, იტალია), 30; 11. დაცვის ორივე ფრთაზე შეუძლია თამაში. როდესაც მდგომარეობა მოითხოვს, სწრაფად ერთვება შეტევაში.

**ნესტორ სენსინი** (პარმა, იტალია), 31; 42. გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრია. ორთაბრძოლებში უკომპრომისოა. სერია A-ში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება.

**პაბლო პასი** (ტენერიფე, ესპანეთი), 25; 10. ტანმაღალია და ცხადია, სიმაღლეს მოწინააღმდეგის კართან კუთხურებისა და ჯარიმების დროს იყენებს. კარგი მწვრთნელების ხელში ჩინებულად თამაშობს.

**ნელსონ ვივასი** (ლუგანო, შვეიცარია), 28; 11. არგენტინული პრესა ძალიან აკრიტიკებს პერსონალური მეურვეობა არ ეხერხებაო. როდესაც უტევს, უფრო შთამბეჭდავია.

## ნახევარმცველები

**მატიას ალმეიდა** (ლაციო, იტალია), 24; 15. ტექნიკური ნახევარმცველია და რადგანაც მადრიდის „რეალის" მოთამაშეს ფერნანდო რედონდოს ნაკრებისთვის ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, ალბათ, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნება.

**ხავიერ ძანეტი** (ინტერი, იტალია), 24; 29. სწრაფი მცველია, ხშირად ერთვება თავდასხმაში. უნივერსალურია და ტექნიკური.

**დიეგო სიმეონე** (ინტერი, იტალია), 28; 66. მეტსახელად „ინდიელს" უწოდებენ. სანაკრებო კარიერა 1988 წელს სიდნეიში ავსტრალიასთან 1:4 სენსაციური მარცხის დროს დაიწყო. თანაგუნდელებს დიდად აქეზებს.

**არიელ ორტეგა** (ვალენსია, ესპანეთი), 24; 48. საუცხოო დრიბლიორია. ითამაშა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

**ხუან ვერონი** (სამპდორია, იტალია), 23; 15. იქნებ ახალგაზრდობის გამო ცოტა გამოუცდელიც კია, მაგრამ გუნდისთვის მეტისმეტად სასარგებლო ფეხბურთელი გახლავთ. ძლიერია და სულით უტეხი. მარცხენა ფეხით ღონივრად არტყამს კარში. მეტსახელად ალქაჯს უწოდებენ.

**ლეონარდო ასტრადა** (რივერ პლეიტი), 28; 30. ნაკრებში პირველად 1991 წელს, მექსიკის წინააღმდეგ გამოჩნდა. საიმედო ფეხბურთელია, მაგრამ ლამაზად ვერ თამაშობს.

**სერხიო ბერტი** (რივერ პლეიტი), 29; 21. ძალიან სწრაფია და სასარგებლო, მაგრამ სულ მსაჯებთან კამათობს.

**მარსელო გალარდო** (რივერ პლეიტი), 23; 24. მეტსახელად სათამაშოს უწოდებენ. „რივერ პლეიტის" ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელია.

## თავდამსხმელები

**კლაუდიო ლოპესი** (ვალენსია, ესპანეთი), 23; 18. უფრო ხშირად ფორვარდების უკან მოქმედებს. აპრილში ბრაზილიას საუცხოო გოლი გაუტანა.

**გაბრიელ ბატისტუტა** (ფიორენტინა, იტალია), 29; 59. მეტსახელად „ბატიგოლს" უწოდებენ. არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე.

**აბელ ბალბო** (რომა, იტალია), 32; 30. საუცხოო სნაიპერია, თუმცა ლამაზი გოლი იშვიათად გააქვს.

**ერნან კრესპო** (პარმა, იტალია), 23; 14. პასარელას ფავორიტი გახლავთ. ატლანტის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**მარსელო დელგადო** (რასინგი), 25; 4. ატლანტის ოლიმპიადის შესარჩევ ციკლში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

# შუღლიანი ცხოვრება

თუ პასარელა ათამაშებს, გაბრიელ ბატისტუტა გოლების გატანაში თვით ბრაზილიელ რონალდოს შეეჯიბრება.

29 წლის ბატისტუტას არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში 59 შეხვედრაში 38 გოლი აქვს გატანილი. ეს მეტია, ვიდრე ლეგენდარული დიეგო მარადონას მონაგარი.

ბატისტუტა იტალიურ „ფიორენტინაში" თამაშობს და ისე პოპულარულია, რომ ფლორენციელებმა ძეგლიც დაუდგეს და, ამბობენ, ქალაქის მერობაც სთხოვესო.

მაგრამ პასარელა მას არ ათამაშებდა.

მათი ურთიერთობა „რივერ პლეიტში" დაწყო, როდესაც პასარელა წარმატებით ხელმძღვანელობდა კლუბს. სწორედ მაშინ დასვა მწვრთნელმა ფორვარდი სათადარიგოთა სკამზე პირველად, შემდეგ კი მისი გაყიდვის საკითხი რომ დადგა, მყისიერად ყაბული თქვა.

ამრიგად 1991 წელს ბატისტუტა „რივერ პლეიტმა" „ბოკა ხუნიორსს" მიჰყიდა.

ახლა, საიდან მოდის კონფლიქტი: პასარელას გუნდების თამაში პასებზეა აწყობილი, ბატისტუტა კი ის კაცი არ არის, ბურთი გაათამაშოს. „ფიორენტინაში" იგი საჯარიმოსთან ელის ბურთს, არგენტინაში ასე ვერ ითამაშებს.

ბატისტუტა ვარსკლავად „ბოკაში" ჩამოყალიბდა. მაშინ ეროვნულ გუნდს ალფიო ბასილე ედგა სათავეში, რომელმაც დაუყოვნებლივ გამოიძახა. 1991 წელს, ჩილეში გამართულ კოპა ამერიკაზე ფორვარდმა 6 გოლი გაიტანა და „ფიორენტინამაც" იმწამს 2,3 მილიონი დოლარი გაიღო.



დღეს ფლორენციელები ბატისტუტაში 20 მილიონს ითხოვენ. ამიტომაც ვერ იყიდა იგი ვერც „მანჩესტერმა" და ვერც „ბარსელონამ".

1994 წლის ჩემპიონატზე, აშშ-ში, ბატისტუტამ ოთხი გოლი გაიტანა, 1997 წლის იანვარში ურუგვაისთან შესარჩევ შეხვედრაში კი ერთიც ვერ შეაგდო (0:0) და როგორც ამბობენ, სწორედ ამით განარისხა პასარელა. თავდამსხმელის შემდეგი მატჩი ნაკრებში უკვე ნოემბერში იყო.

### არგენტინელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.04.96 | (მშ) | ბუენოს აირესი | ბოლივია | 3:1 | ორტეგა 2, ბატისტუტა |
| 02.06.96 | (მშ) | კიტო | ეკვადორი | 0:2 | |
| 07.07.96 | (ა) | ტუკმანი | პოლონეთი | 2:0 | ბალბო, სიმეონე |
| 01.09.96 | (მშ) | ბუენოს აირესი | პარაგვაი | 1:1 | ბატისტუტა |
| 09.09.96 | (მშ) | სან კრისტობალი | ვენესუელა | 5:2 | ორტეგა, სორინი, სიმეონე, მორალესი, ალბორნოსი |
| 15.12.96 | (მშ) | ბუენოს აირესი | ჩილე | 1:1 | ბატისტუტა |
| 28.12.96 | (ა) | მარ დელ პლატა | იუგოსლავია | 2:3 | ესნაიდერი, მორალესი |
| 12.01.97 | (მშ) | მონტევიდეო | ურუგვაი | 0:0 | |
| 12.02.97 | (მშ) | ბარანკილა | კოლუმბია | 1:0 | ლოპესი |
| 02.04.97 | (მშ) | ლა პასი | ბოლივია | 1:2 | გოროსიტო |
| 30.04.97 | (მშ) | ბუენოს აირესი | ეკვადორი | 2:1 | ორტეგა, კრესპო |
| 08.06.97 | (მშ) | ბუენოს აირესი | პერუ | 2:0 | კრესპო, სიმეონე |
| 11.06.97 | (კა) | კოჩაბამბა | ეკვადორი | 0:0 | |
| 14.06.97 | (კა) | კოჩაბამბა | ჩილე | 2:0 | ბერტი, გალარდო |
| 17.06.97 | (კა) | კოჩაბამბა | პარაგვაი | 1:1 | გალარდო |
| 21.06.97 | (კა) | სუკრე | პერუ | 1:2 | გალარდო |
| 06.07.97 | (მშ) | ასუნსიონი | პარაგვაი | 2:1 | გალარდო, ვერონი |
| 20.07.97 | (მშ) | ბუენოს აირესი | ვენესუელა | 2:0 | კრესპო, პასი |
| 10.09.97 | (მშ) | სანტიაგო | ჩილე | 2:1 | გალარდო, ლოპესი |
| 12.10.97 | (მშ) | ბუენოს აირესი | ურუგვაი | 0:0 | |
| 16.11.97 | (მშ) | ბუენოს აირესი | კოლუმბია | 1:1 | კასერესი |
| 19.02.98 | (ა) | მენდოსა | რუმინეთი | 2:1 | ვივასი, აიალა |
| 24.02.98 | (ა) | მარ დელ პლატა | იუგოსლავია | 3:0 | კრესპო 3 |
| 10.03.98 | (ა) | ბუენოს აირესი | ბულგარეთი | 2:0 | ბატისტუტა, ლოპესი |
| 15.04.98 | (ა) | იერუსალიმი | ისრაელი | 1:2 | კანია |
| 22.04.98 | (ა) | დუბლინი | ირლანდია | 2:0 | ბატისტუტა |
| 29.04.98 | (ა) | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია | 1:0 | ლოპესი |

შემოკლებანი: (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (კა) — კოპა ამერიკა; (ა) — ამხანაგური

### არგენტინა მონაწილეობდა 11 მსოფლიო ჩემპიონატში
ჩემპიონი: 1978, 1986; მეორე ადგილი: 1930, 1990; მასპინძელი 1978

52 +26 =9 −17 90:65

| | | |
|---|---|---|
| 1930 | | |
| საფრანგეთი | 1:0 | მონტი |
| მექსიკა | 6:3 | სტაბილე 3, ვარალო 2, სუმელსუ |
| ჩილე | 3:1 | სტაბილე 2, მ. ევარისტო |
| აშშ | 6:1 | სტაბილე 2, პეუსელე 2, მონტი, სკოპელი |
| ურუგვაი | 2:4 | პეუსელე, სტაბილე |
| 1934 | | |
| შვედეთი | 2:3 | ბელისი, გალატეო |
| 1958 | | |
| გფრ | 1:3 | კორბატა |
| ჩ. ირლანდია | 3:1 | კორბატა, მენდესი, ავიო |
| ჩეხოსლოვაკია | 1:6 | კორბატა |
| 1962 | | |
| ბულგარეთი | 1:0 | ფაკუნდო |
| ინგლისი | 1:3 | სანფილიპო |
| უნგრეთი | 0:0 | |
| 1966 | | |
| ესპანეთი | 2:1 | არტიმე 2 |
| გფრ | 0:0 | |
| შვეიცარია | 2:0 | არტიმე 2 |
| ინგლისი | 0:1 | |
| 1974 | | |
| პოლონეთი | 2:3 | ერედია, ბაბინგტონი |
| იტალია | 1:1 | აუსმანი |
| ჰაიტი | 4:1 | იასალდე 2, აუსმანი, აიალა |
| ჰოლანდია | 0:4 | |
| ბრაზილია | 1:2 | ბრინდისი |
| გდრ | 1:1 | აუსმანი |
| 1978 | | |
| უნგრეთი | 2:1 | ლუკე, ბერტონი |
| საფრანგეთი | 2:1 | პასარელა, ლუკე |
| იტალია | 0:1 | |
| პოლონეთი | 2:0 | კემპესი 2 |
| ბრაზილია | 0:0 | |
| პერუ | 6:0 | აუსმანი, კემპესი 2, ტარანტინი, ლუკე 2, |
| ჰოლანდია | 3:1 | კემპესი 2, ბერტონი |
| 1982 | | |
| ბელგია | 0:1 | |
| უნგრეთი | 4:1 | ბერტონი, მარადონა 2, არდილესი |
| სალვადორი | 2:0 | პასარელა, ბერტონი |
| იტალია | 1:2 | პასარელა |
| ბრაზილია | 1:3 | დიასი |
| 1986 | | |
| კორეა | 3:1 | ვალდანო 2, რუჯერი |
| იტალია | 1:1 | მარადონა |
| ბულგარეთი | 2:0 | ვალდანო, ბურუჩაგა |
| ურუგვაი | 1:0 | პასკული |
| ინგლისი | 2:1 | მარადონა 2 |
| ბელგია | 2:0 | მარადონა 2 |
| გფრ | 3:2 | ბრაუნი, ვალდანო, ბურუჩაგა |
| 1990 | | |
| კამერუნი | 0:1 | |
| სსრკ | 2:0 | ტროლიო, ბურუჩაგა |
| რუმინეთი | 1:1 | მონსონი |
| ბრაზილია | 1:0 | კანიჯა |
| იუგოსლავია | 0:0 | 3:2 პენალტებით |
| იტალია | 1:1 | კანიჯა |
| გფრ | 0:1 | |
| 1994 | | |
| საბერძნეთი | 4:0 | ბატისტუტა 3, მარადონა |
| ნიგერია | 2:1 | კანიჯა 2 |
| ბულგარეთი | 0:2 | |
| რუმინეთი | 2:3 | ბატისტუტა, ბალბო |

# კაცია! ადამიანი!



როდესაც არგენტინის ნაკრებმა 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, დანიელ პასარელამ სახელი გაითქვა. ჩემპიონ გუნდში იგი დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო და უკომპრომისო წევრი იყო. დღეს პასარელა მწვრთნელია, რომელმაც უხიაგი ქცევით მტრებიც შეიძინა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ნაკრებიც ჩამოაყალიბა. ამ ნაკრებს საფრანგეთში მწვერვალთა დაპყრობა ხმალუძს.

1994 წლის ჩემპიონატმა არგენტინელ ხალხს ერთობ დასწყვიტა გული. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ პასარელას ფრიად რთულ დროს მოუწია საჭესთან დადგომა. მას ახალი გუნდი ჰყავდა შესაქმნელი, მშენებლობა თავიდან უნდა დაეწყო.

ის ბევრ სიგარეტს, მუდამ კოსტუმშია და დისციპლინის მოყვარული გახლავთ. პირველი რაც თანამდებობაზე მისვლის მერე გააკეთა, ის იყო, რომ ნაკრებიდან ჰომოსექსუალისტები, გრძელთმიანები და საყურიანები გაყარა. შედეგად ბატისტუტამ თმა შეიჭრა, მადრიდის „რეალის" ვარსკვლავმა ფერნანდო რედონდომ კი ბოიკოტი გამოუცხადა.

კრიტიკამ არც თამაშის გამო დაიგვიანა. 1995 წელს, ურუგვაიში გამართულ „კოპა ამერიკაზე" არგენტინამ 0:3 წააგო აშშ-ის ნაკრებთან და გუნდმა მისთვის სამარცხვინო მეხუთე ადგილი დაიკავა.

არც ბატისტუტასთან ჰქონდა საათივით აწყობილი ურთიერთობა . იგი ქომაგთა აზრით საუკეთესო მოთამაშეს შესარჩევ და ამხანაგურ შეხვედრათა უმრავლესობაში არ იწვევდა, რის გამოც გვარიან წყევლა-კრულვას ისმენდა.

პასარელას პირადმა ტრაგედიამაც ვერ შეაცვლევინა გეზი: მისი 18 წლის ვაჟი სებასტიანი 1995 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ორიოდ სიტყვა დანიელ პასარელას წარსულზე: იგი 1953 წელს დაიბადა, 21 წლისას დებიუტი „რივერ პლეიტში" ჰქონდა. 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ასეთივე მედალი 1986 წელსაც მიიღო, როდესაც ნაკრებში მისთვის სამულველი პიროვნება, დიეგო მარადონა ბრწყინავდა, მაგრამ მაშინ ტრავმამ ერთ შეხვედრაშიც არ ათამაშა.

80-იან წლებში პასარელა იტალიაში, კერძოდ „ფიორენტინასა" და „ინტერში" თამაშობდა, ბოლოს კი მშობლიურ „რივერ პლეიტში" მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი ხელმძღვანელობით „რივერ პლეიტი" სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო ერთხელ, როდესაც მავანი გულშემატკივარი მიეჭრა და ფული სთხოვა, გვარიანად მიბეგვა.

# იაპონია

## მზეო, ამოდი, ამოდი!



იაპონიის ნაკრები. უკანა რიგში: ომურა, ჯო, სომა, კავაგუჩი, მიურა;
წინა რიგში: ნანამი, ნარაჰაში, იამაგუჩი, ნაკატა, მორიშიმა, იჰარა

იაპონურ ტელეკომპანიათა თანამშრომლებმა ფრანგული ქალაქი ნანტი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე დაიპყრეს. მას მერე, რაც გასული წლის 6 დეკემბერს გამართულმა კენჭისყრამ კითხვებზე ვინ, ვის სად და როდის, პასუხები ჩამოარიგა, ფრანგთა სახელმწიფოში უშორესი აღმოსავლეთიდან ჩასულმა ჩვიდმეტმა ბრიგადამ დასცა ბანაკი, ააწყო კამერები, ჩახლართა მავთულები და თანამგზავრმა ერთიმეორის მიყოლებით გადატყორცნა სიუჟეტები ქალაქზე და რასაკვირველია „ბოჟუარის“ სტადიონზე.

„პარკ ოტელ“ — ასე ქვია ბურჟესტბის პირას, ელებენში ჩასმულ სასტუმროს. აქ სიმშვიდეა და სიმწვანე. აქ თავის დროზე საფრანგეთისა და იტალიის პრემიერ მინისტრები, ჟაკ შირაკი და რომანო პროდი შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამჯერად „პარკ ოტელის“ მასპინძლობა პერსონალს ფეხბურთელების მომსახურეობა მოუწევს. სასტუმრო იაპონიის ეროვნულ გუნდს აქვს დაჯავშნული.



გაიაპონელებული ბრაზილიელი
ვაგნერ ლოპესი

ლატარეა კი მოგეხსენებათ გულში იმედებს სახავს. ამომავალი მზის ქვეყანაში 3200 ადამიანი ირჩია ბედმა. 65 ათასი მსურველიდან დაახლოებით ყოველმა მეთორმეტემ მოიგო მსოფლიოს პირველობაზე, თავისი ნაკრების თამაშებზე დასასწრები ბილეთი.

მაშ ასე, პირველად იაპონური და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა. ამ დღეს 44 წლიანი ლოდინის შემდეგ ელირსა „პანასონიკის“, „ტოიოტას“ და სუმოს სამშობლო, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ თლიდა მომავალს. ანკი, ღმერთო ჩემო, ფეხბურთის პირველობაზე მოხვედრა რა ბედენაა, იაპონელები ხომ ის ხალხია, მე-20 საუკუნის დასაწყისში რომ თქვეს, მცირე რიცხოვანი ერი ვართ, თუ ფეხზე მყარად დგომა გვინდა, უნდა გავმრავლდეთო და ასე გახდნენ მრავალმილიონიანნი.

ფეხბურთში სიმაღლეები რომ დაიპყრო პროფესიონალიზმია საჭირო. იაპონიაში პროფესიული ფეხბურთი ხუთი წელიწადია რაც არსებობს. აქაურ ლიგას ჯეი-ლიგა ეწოდება და მას მაყურებელი სწყალობს.

აქამდე ჯეი-ლიგა ორ, ეგრეთწოდებულ სერიად იყო დაყოფილი. თითოეული სერია ორ წრიან შეჯიბრებას მართავდა, რომელთა დამთავრების შემდეგ გამარჯვებულები ორ ფინალურ შეხვედრაში ავლენდნენ ჩემპიონის ვინაობას. 1999 წლიდან სტრუქტურა იცვლება, ჯეი-ლიგა ორ ზედა დ ქვედა დივიზიონად დაიყოფა, მოკლედ ჩვეულებრივი პირველი და მეორე საფეხბური შეიქმნება. პირველში ძველებურად 16 გუნდი ითამაშებს, ოღონდ ამიერიდან მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ადგილებზე გასულები მეორე დივიზიონში დაქვეითდებიან. ქვედა საფეხურზე სულ მცირე 10 გუნდი უნდა გვყავდესო, ამბობენ იაპონური ფეხბურთის ხელმძღვანელები.

ჯეი-ლიგის ბოლო ჩემპიონი „ჯუბილო ივატა“ გახლავთ, რომელმაც გასული წლის დეკემბერში, ფინალურ დუელში „კაშიმა ანთლერსს“ სძლია.

საგულისხმოა, რომ პირველ და მეორე ჩემპიონატებში ტიტული „ვერდი კავასაკიმ“ მოიპოვა, გუნდმა, რომლის სპონსორიც გავლენიანი გაზეთი „იომიური“ გახლავთ. ვგონებთ ნათელია იაპონურ ფეხბურთში პრესის როლი და მონაწილეობა.

ჯეი-ლიგამდე კი იყო „იმპერატორის თასი“, 1921 წელს დაარებული შეჯიბრება, რომელსაც თავდაპირველად ფედერაციის თასი ეწოდებოდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელი შეიცვალა.

„იმპერატორის თასის“ გათამაშება დღესაც ცოცხალია. მასში წაგებული გავარდნილია, ანუ პრინციპი პლეი ოფისაა, ოღონდ არის ერთი დეტალი, მატჩები მხოლოდ ნეიტრალურ მოედნებზე იმართება.

60-იან წლებში „იმპერატორის თასზე“ ალმართს საუნივერსიტეტო გუნდები ხნავდნენ, შემდეგ კი ძალაუფლება მსხვილ კომპანია-კორპორაციათა კლუბებმა იგდეს ხელთ...

ჯეი-ლიგა რომ დაარსდა, მისი პოპულარიზაციის მიზნით იაპონელებმა ცნობილ, მაგრამ სიბერესმიტანებულ ვარსკვლავთა გადაბირებას მიჰყვეს ხელი. ხალხი სტადიონებზე ისეთი ფეხბურთელების სანახავად დადიოდა, როგორებიც იყვნენ თუ არიან ზიკო, ლიტბარსკი, ლინეკერი და სხვანი. ლიტბარსკის გერმანიიდან ბუხვალდი, ორდენევიცი, რანი, ბაინი და მათი ტოლ-სწორნი მიჰყვნენ. ლინეკერმა, მისდა სამწუხაროდ მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი, ზიკომ კი... ო, ზიკოს ძეგლი კი დაუდგეს.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 40 წლისა გახლდათ, ზიკომ იაპონიაში ჩინებულად ითამაშა. თავი დავანებოთ იმას, რომ გრამი რაა, ისიც არ მოუმატებია, თავიდან, პირველსავე წელიწადს რომელიღაც დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მაშინ პროფესიული ლიგა ჯერ არ იყო, ყალიბდებოდა. 1993 წელს, პირველ პროფესიულ ჩემპიონატში იგი, უმეტესობის აზრით საუკეთესო მოთამაშე გახლდათ, ოფიციალურად კი იაპონიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ზიკოს საგანგებო შეხვედრა მოუწყო ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, ხოლო კაშიმას მუნიციპალიტეტმა ქალაქის საპატიო მოქალაქედ გამოაცხადა.

ბრაზილიელმა ამომავალი მზის ქვეყანა 1994 წელს დატოვა. „იაპონური ფეხბურთის წინაშე დიდი დამსახურებისთვის“ საგანგებო ჯილდო პიერ ლიტბარსკისაც გადასცეს.

იმაში, რომ იაპონელები ბრაზილიელებს და მათ ფეხბურთს ეთაყვანებიან ზიკოს დამსახურება ვეებერთელაა, მაგრამ რა ბუნებრივი, თანდაყოლილი სიმპატიის მომენტი უნდა უარვყოთ. და აი, გამოჩნდა ბრაზილიელთაგან პირველი, რომელიც სიყვარულისა და პატივისცემის გარემომ იაპონიის მოქალაქედ აქცია. მან მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ახალი სამშობლოს ნაკრების მაისურა მოირგო და რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა. პირველს მეორე მოჰყვა — ვაგნერ ლოპესი.

უკვე 11 წელიწადია ბრაზილიელი თავდამსხმელი ვაგნერ ლოპესი იაპონიაში ცხოვრობს და თამაშობს, იქაურ ენაზე ლაპარაკობს და როგორც ღირსეულმა ადამიანმა, მოქალაქეობაც შედარებით უპრობლემოდ მიიღო, ვაგნერი 29 წლისაა, ახალი პასპორტი 1997 წლის სექტემბერში გადასცეს და მანაც საფრანგეთის საგზურის მოპოვებაში შეტანილი წვლილით უერთგულა იმპერატორსა და მის ქვეყანას.

ჯეი-ლიგამ მარტო ფეხბურთელები როდი მიიზიდა, მან მწვრთნელებისთვისაც ფართოდ გაალო კარი და შეუშვა სამი ბრაზილიელი, სამი ესპანელი, ორი ჰოლანდიელი, თითო ურუგვაელი, არგენტინელი, ავსტრალიელი და ავსტრიელი. იაპონელი მწვრთნელი სულ ექვსია.

იმიგრაცია ერთია, ემიგრაცია სხვა. პირველი იაპონელი ფეხბურთელი, რომელიც ევროპაში წავიდა სათამაშოდ, გახლდათ იასუსიკო ოკუდერა. 1980-იანი წლების შუაში იგი გერმანულმა კიოლნმა შეიძინა. გერმანიაშივე მოღვაწეობდა იასუხირო ოძაკი — „არმინიას“ და „ზნკტ პაულის“ წევრყოფილი. ის მეორე ემიგრანტი იყო.

იაპონელებს პელეც ჰყავდათ. თავიანთი პელე. ამ პელეს კუნისიგე კამამოტო ჰქვია და გახლდათ ნაკრების ლიდერი 1968 წელს, როდესაც ქვეყანამ ისტორიაში ყველაზე დიდ შედეგს, ოლიმპიადის ბრინჯაოს მიაღწია. მაშინ იაპონიის ნაკრების მწვრთნელი იყო გერმნელი დიტმარ კრამერი, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ კამამოტოს მიუნხენის „ბაიერნში“ ეპატიჟებოდა. არა იაპონელი, არამედ ნამდვილი პელე კი როგორც ყოველთვის პროგნოზებს გამოთქვამს:

„ხალხს მათი წარმატებისა არ სწამს, არადა მინდა შევახსენოთ, რომ მათ გარდა ჯგუფში მეორე ადგილს ერთმანეთს შეეცილებიან ხორვატები და იამაიკელები, რომელთაც იაპონელების მსგავსად მსოფლიოს ჩემპიონატში არასდროს მიუღიათ მონაწილეობა და გამოუცდელნი არიან. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ იაპონიას მეორე ადგილის მოპოვება და შემდგომ ეტაპზე გასვლა დიახაც, რომ ხელეწიფება“.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპისკენ მიმავალ გზაზე ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ამოსუნთქვა ვერ მოახერხა, ბრძოლამ ბოლო წამამდე გასტანა. თავიდან არ გასჭირვებია, ომანი, მაკაო და ნეპალი ის გუნდები არ იყვნენ მისთვის დიდი წინააღმდეგობა რომ გაეწიათ. ვისაც სიტყვისა არ სწამს, რიცხვებისა იწამოს — 31 გატანილი, 1 გაშვებული.

ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შემდეგ, იაპონიას მორიგ საფეხურზე კორეასთან, არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან, უზბეკეთთან და ყაზახეთთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. დასაწყისი აქაც არ იყო ცუდი, მაგრამ უგოლო ფრემ საამიროებთან და მარცხმა პრინციპულ მეტოქესთან, კორეასთან, მდგომარეობა ისე გააუარესა, რომ ბოლოს იაპონელები ალმატაში, ყაზახეთთან ფრემდეც კი დაეშვნენ და ამას მწვრთნელი სიუ კამოც გადაჰყვა — იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, მის ნაცვლად კი დანიშნეს ტაკეში ოკადა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ასისტენტად მომუშავე კაცი.

ოკადას პირველი და მეორე თამაშიც პესიმისტური განწყობის საბაბს იძლეოდა, მაგრამ აი, დადგა პირველი ნოემბერი და სეულში იაპონიამ კორეას 2:0 აჯობა. ვინაიდან იმავე ტურში საამიროებმა უზბეკეთს ვერ მოუგეს...

იაპონიას ირანთან, დამატებით დროში მასაიუკი ოკანოს „ოქროს გოლმა“ მოაგებინა. ირანის ბრაზილიელმა მწვრთნელმა ვალდირ ვიეირამ აღიარა: „მეტოქემ გვჯობა, ჩვენ ჯანი და გამძლეობა არ გვეყო. იაპონიის ნაკრების მსგავსი სწრაფი გუნდი ცხოვრებაში არ მინახავს“.

და ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდნენ. იაპონელები შემდეგ, 2002 წლის პირველობაზეც ითამაშებენ, რადგან კორეელებთან ერთად როგორც მასპინძლები უკონკურსოდ არიან შეჯიბრებაზე დაშვებული. საფრანგეთის საგზური რომ არ მოეპოვებინათ შერცხვებოდნენ, რადგან შეიქნებოდნენ პირველი მასპინძლები, ვისაც არასდროს უგემია ოქროს თასისთვის ბრძოლის ბოლო ეტაპის ეკლები და ვარდი.

იქ, საფრანგეთში კი ვინ იცის, იქნებ შეძლონ კიდეც ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლა, იქნებ სულაც არ მოუხდეთ შინ მალე დაბრუნება, იქნებ სადმე თავიანთ გმირს, ზიკოს გადაეყარონ...

მაგრამ არა, ზიკო ხომ ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელთა-კონსულტანტი და მასთან გადაყრა ტეტრა-კამპიონებთან გადაყრას ნიშნავს. ჯობს ზიკოს ქუჩაში შეხვდნენ.



იაპონელები ირანთან გამარჯვებასა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლას ზეიმობენ

# ოცდაორი რჩეული

## მეკარეები

**იოშიკაცუ კავაგუჩი** (იოკოჰამა მარინოსი). 23 წლისაა, ნაკრებში 24-ჯერ უთამაშია. ნაკრების მთავარი მეკარეა. ცნობილია ძლიერი დარტყმების მოგერიებით. ითამაშა ატლანტის ოლიმპიადაზე.

**სეიგო ნარაზაკი** (იოკოჰამა ფლიუგელზი). 21,2. მაღალ ბურთებზე კარგად გამოდის, ეხერხება თანაგუნდელთა შეტევაში სწრაფად გაგზავნა. დებიუტი თებერვალში, ავსტრალიასთან ჰქონდა.

**ნობუიუკი კოჯიმა** (ბელმარ ჰირაცუკა). 32,5. ძალიან საიმედოა და ბევრის აზრით საუკეთესო. ერთადერთი მინუსი ახლო კუთხეში დარტყმული ბურთების მოგერიებაა.

## მცველები

**მასამი იჰარა** (იოკოჰამა მარინოსი) 30,114. კაპიტანია, ყველაზე მეტი თამაში აქვს ნაკრებში ჩატარებული. ნებისმიერ პირობებში სიმშვიდეს ინარჩუნებს. ლიბეროა.

**ნორიო ომურა** (იოკოჰამა მარინოსი) 28,29. საუცხოოდ არჩევს პოზიციას. თუკი ვინმეს მეურვეობს, როგორც წესი ის გვერდს ვერ უვლის.

**იუტაკა აკიტა** (კაშიმა ანთლერსი) 27.25. ძლიერი მცველია, ირგვლივ ყველაფერს აკონტროლებს. როდესაც ბურთს ფლობს, იშვიათად ჰკარგავს.

**ნაოკი სომა** (კაშიმა ანთლერსი). 26,47. დინამიკური მცველია, შეტევა უყვარს. სეულში კორეის კარში ორივე გოლი მისი პასით გავიდა.

**აკირა ნარაჰაში** (კაშიმა ანთლერსი) 26,26. დინამიკური მარჯვენა მცელია. შეტევაში სახიფათოდ ერთვება.

**ტოშჰიდე სიტო.** (შიმიცუ). 26; 11. ცენტრალური მცველია, იაპონური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს უწოდებენ. 1995 წელს იაპონიის იმ ნაკრების კაპიტანი იყო, რომელმაც უნივერსიადაზე ითამაშა. ლიდერის თვისებები აქვს.

**ისუკე ნაკანიში** (ჯეფ იუნაიტედი). 25. მეტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

## ნახევარმცველები

**მოტოჰირო იამაგუჩი** (იოკოჰამა ფლიუგელსი) 29,53. მარჯვენაფლანგელია. რომელსაც გული უფრო დაცვისკენ უწევს. მცველებს და ფორვარდებს ჩინებულად აკავშირებს. არში შორიდან ძლიერად არტყამს.

**ჰიროაკი მორიშიმა** (სერეზო ოსაკა) 25,35. ნახევარმცველია, რომელსაც გოლები გააქვს. ნკრებში მას მერე აიყვანეს, რაც ჯეი-ლიგაში ოთხი გოლიშეაგდო ორ შეხვედრაში. ორივე ფრთაზე ეხერხება თამაში.

**ჰიროში ნანამი** (ჯუბილო ივატა). 25.41. მარცხენა ნახევარმცველია, ფუტკარივით მუშა. ხშირად იყოლიებს თანაგუნდელებს და შეტევას იწყებს.

**ტოშიჰირო ჰატორი** (ჯუბილო ივატა). 24,5. ძალიან ჩქარია და ორთაბძროლებში ძლიერი. შეუძლი მარცხენა ფრთაზე როგორც მცველის, ასევე ნახევარმცველის ფუნქციის შესრულება. როცა სწრაფ შეტევას იწყებს, ძალიან საშიშია.

**ტაკაში ჰირამო** (ნაგოია გრამპუს ვითი). 23,8. სწრაფია და ტექნიკური, აქვს არგი დრიბლინგი. თავდამსხმელებს საუცხოოდ ეხმარება.

**ჰიდეტოში ნაკატა** (ბელმარ ჰირცუკა). 21,19. იაპონური ფეხბურთის ვარსკვლავია, კარგად ხედავს მოედანს, ბურთს კარგად ფლობს და კარში ძლიერად და ზუსტად არტყამს. ზეწოლისას არ იბნევა.

**შინჯი ონო** (ურავა რედ დაიმონდსი). 18,1. ძალიან ტექნიკური ახალგაზრდაა, მარცხენა ნახევარმცველია. ნებისმიერ მჭიდრო დაცვას არღვევს.

**ტერუიოშ ოტო.** (შიმიცუ). 24. მეტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

## თავდამსხმელები

**მასაში ნაკაიამა** (ჯუბილო ივატა) 30,24. ამ გაზაფხულზე თავისი კლუბის შემადგენლობაში ზედიზედ ოთხი ჰეთ-თრიკი შეასრულა. ფუტკარივით მუშაა, ნებისმიერი პოზიციიდნ შეუძლია გოლის გატანა. გასულ სეზონში 18 გოლით კლუბის მთავარი ბომბარდირი იყო, რისი წყალობითაც გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა.

**შოჯი ჯო** (იოკოშიმა მარინოსი). 22.21. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი-ოფში ირანს ანგარიში გაუთანაბრა. იაპონელ გოგონებში ძალიან პოპულარულია.

**ვაგნერ ლოპესი** (ბელმარ ჰირაცუკა). 29,8. ბრაზილიელია, მიიღო იაპონიის მოქალაქეობა. თავურები ეხერხება. მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბათ ძირითად შემადგენლობაში ათამაშებენ.

**მასაიუკი ოკანო** (ურავა რედ დაიმონდსი). 25,24. ირანს დამატებით დროში ოქროს გოლი გაუტანა და მსოფლიოს ჩემპიონტის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. მას მერე იაპონიაში გმირის სახელი აქვს.

# ირანული კარიერა




ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა თუ არა ტაკეში ოკადა ეროვნული ზეიმის მთავარ გმირად იქცა. იმ დღის მერე ეროვნული გუნდის მწვრთნელის სახელი და ფოტო იაპონური გაზეთების ფურცლებიდან არ ამოუღიათ. დიახ, ოკადას ცხოვრება კუალა ლუმპურის ერთმა საღამომ შემოატრიალა. იმ საღამოს იაპონიამ ირანს 3:2 მოუგო და საფრანგეთის საგზური მოიპოვა.

დღეს ოკადას სიტყვები ციტატებად მოჰყავთ, ტელეკამერები კი გამუდმებით მისჩერებიან კაცს, რომელმაც გასული წლის ოქტომბერში მწვრთნელის თანამდებობაზე სიუ კამო შეცვალა. კამოს შესარჩევ ციკლში ყაზახეთთან 1:1 არ ეპატია.

რაც ოკადა საქმეს შეუდგა, იაპონია პირველ რვა შეხვედრაში ვერავინ დაამარცხა. ამ რვა შეხვედრიდან ხუთი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში გახლდათ ნათამაშევი, შემდეგ კი დაიწყო ექსპერიმენტების ხანა. ახალმა მწვრთნელმა ნიჭიერი ფეხბურთელები აღმოაჩინა.

სანამ თავად თამაშობდა, ოკადა იაპონიის იუნიორთა ნაკრების წევრი იყო. გარდა ამისა იგი ვასედას უნივერსიტეტის გუნდშიც გამოდიოდა. გუნდს ერქვა „ფურუკავა“. მის საფუძველზე მოგვიანებით ჯეი-ლიგის გუნდი „იუნაიტედ იჩიჰ-არა“ შეიქმნა.

„ფურუკავას“ შემადგენლობაში ოკადამ 189 შეხვედრა ჩატარა და იაპონიის საფეხბურთო ლიგის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მას ორჯერ იმავე ლიგის თასიც აქვს მოპოვებული და კიდევ კოლექციას აზიის კლუბთა ჩემპიონის მედალიც უმშვენებს.

რაც შეეხება ეროვნულ გუნდს, აქ ოკადას 26 თამაში აქვს ჩატარებული. იგი მონაწილეობდა ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირსა და მექსიკის 1986 წლის მსოფლიო პირველობის ანალოგიურ შეჯიბრებაში.

1990 წელს ოკადამ თამაშს თავი დაანება და „ფურუკავაში“ სამწვრთნელო საქმეს მიჰყო ხელი. როგორც მწვრთნელმა, მან მცირე დროში დიდი ნაბიჯი გადადგა.

# ბაჯო, რომელიც არდილესს მოსწონს



გამთამაშებელი ჰიდეტოში ნაკატა ის კაცია, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიას სახელს გაუთქვამს — ასე მიაჩნია მრავალს. ნაკატა გასული წლის მაისიდან ცნობილი კაცია. მაშინ, ტოკიოში მას კორეელებთან ამხანაგურ შეხვედრაში უწია სანაკრებო დებიუტმა.

ნაკატას დიდმა ფოტოებმა გაზეთები მოიარა, მის სახელს ტელერეკლამებში იყენებდნენ. „ბელმარ ჰირაცუკას“ გულმემატკივრები კი საშინაო თამაშების დროს განუწყვეტლივ გაიძახიან მის სახელს.

არადა ნაკატა ჯერ მხოლოდ 21 ლისაა. მის გარეშე იაპონელთა ნაკრები საშუალოზე საშუალო გუნდი იქნებოდა, მას არ ეყოლებოდა მოთამაშე, რომელიც შუა მოედანს აკონტროლებს.

ნაკატას ხშირად ეკითხებიან, მისკენ მიმართული მილიონობით იმედიანი მზერა ხომ არ ამძიმებს.

„არა, არასდროს დავუმძიმებივარ. მე ჩემთვის ვთამაშობ და ასეთ რამეებზე არ ვფიქრობ“. — პასუხობს იგი.

ახალგაზრდა ნახევარმცველის აზრ-ით იაპონიის მიერ საფრანგეთის საგზურის მოპოვება შემთხვევითობა არ ყოფილა, მაგრამ მაინც მადლიერია ბედისა, რომელმაც ირანთან გაამარჯვებინა და ორმატჩიანი მძიმე გადათამაშება ავსტრალიის ნაკრებთან, თავიდან ააცილა.

„ბედნიერი ვიყავი, რომ მიზნს ირანთან შეხვედრაში მივაღწიეთ. თამაშის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად მინდოდა სახლში დაბრუნება, მაგრამ პრესკონფერენციისა და სხვა ფორმალობების გამო იძულებული გავხდი დავყოვნებულიყავი. ეს ცოტა მოსაწყენი იყო, მაგრამ რას გავხდებოდი, იაპონიას ხომ საფრანგეთის საგზური ჰქონდა მოპოვებული. და მაინც, ფინალურ ეტაპზე გასვლა ყველაფრის ბოლო არ არის. ახლა მეტისთვის მოგვიხდება ბრძოლა“.

ნაკატას ყველაზე კარგი თვისება საუცხოო კოორდინაცია და მოედნის გადასერვის უნარია. ის რომ თამაშობს იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ყოველთვის აქვს დაფიქრებისა და გონივრული პასის გადაწოდების დრო. გარდა ამისა მას გოლების გატანა ეხერხება, ხშირად შორიდან.

ნაკატას ისეთი ვარცხნილობა აქვს ვერავისში აურევთ. მისი თამაშით ბევრია აღფრთოვანებული, მათ რიცხვში არგენტინის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ოსვალდო არდილესი, რომელიც დღეს „შიმიცუ S - პალსში“ მწვრთნელად მუშაობს.

არდილესს სწამს, რომ ნაკატას შეუძლია მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ვარსკვლავად იქცეს, მაგრამ თავად ფეხბურთელს არ სჯერა, რომ მისი ნაკრების შემდეგ ეტაპზე გასვლას შესძლებს, მითუმეტეს, რომ იაპონელთა ისტორიაში პირველი მატჩი მსოფლიო პირველობაზე არგენტინელების წინააღმდეგ იქნება.

„მათი დამარცხება მეტისმეტად ძნელი იქნება“ — ამბობს ნაკატა, როდესაც გაბრიელ ბატისტუტასა და მისი თანამემამულეების შესახებ ეკითხებიან.

სხვათაშორის ბატისტუტას (და რონალდოს) მხარდამხარ ნაკატას გასული წლის 6 დეკემბერს, მარსელში, მსოფლიოს ვარსკვლავთა შემადგენლობაში უთამაშია.

არგენტინელთა მწვრთნელი დანიელ პასარელა გაფრთხილებულია ნაკატას შესახებ და 14 ივნისს ტულუზში ყველა ღონეს იხმარს, რათა მისი უვნებელსაყოფი ხერხი მოიფიქროს.

ნაკატას ერთ-ერთი ღირსება ჯარიმების დარტყმაც გახლავთ. იოკოჰამაში „დინასტიის თასზე“ მან სწორედ საუცხოოდ შესრულებული ჯარიმით გაუტანა გოლი ჰონკონგის გუნდის მეკარეს. თურმე ნუ იტყვით და იგი ხში-რად უყურებს რობერტო ბაჯოს თამაშის ვიდეოჩანაწერს უყურებს და სწ-ავლობს.

საფრანგეთის სტადიონებზე რამდენიმე კარგი თამაში და ვინძლო ნაკატა ბაჯოს მომავალ სეზონში სერია A-ს რომელიმე თამაშში გადაეყაროს კიდეც.

**იაპონელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.02.96 | (ა) | ვოლონგონგი | ავსტრალია | 4:1 | ტაკაგი 2, იამაგუჩი, მორიასუ |
| 14.02.96 | (ა) | მელბურნი | ავსტრალია | 0:3 | |
| 19.02.96 | (კთ) | ჰონკონგი | პოლონეთი | 5:0 | ტაკაგი 2, იამაგუჩი, ომურა, მიურა |
| 22.02.96 | (კთ) | ჰონკონგი | შვედეთი | 1:1 | ომურა |
| 26.05.96 | (კრთ) | ტოკიო | იუგოსლავია | 1:0 | მიურა |
| 29.05.96 | (კრთ) | ჰაკატა | მექსიკა | 3:2 | მორიშიმა, მიურა |
| 25.08.96 | (ა) | ოსაკა | ურუგვაი | 5:3 | მიურა 2, მაეზონო |
| 11.09.96 | (ა) | ტოკიო | უზბეკეთი | 1:0 | მორიშიმა |
| 13.10.96 | (ა) | კობე | ტუნისი | 1:0 | მაეზონო |
| 06.12.96 | (ათ) | ალ აინი | სირია | 2:1 | საკ. კარში. ტაკაგი |
| 09.12.96 | (ათ) | ალ აინი | უზბეკეთი | 4:0 | ნანამი, მიურა, მაეზონო 2 |
| 12.12.96 | (ათ) | ალ აინი | ჩინეთი | 1:0 | სომა |
| 15.12.96 | (ათ) | ალ აინი | ქუვეითი | 0:2 | |
| 09.02.97 | (მთ) | ბანგკოკი | თაილანდი | 1:1 | ჯო |
| 11.02.97 | (მთ) | ბანგკოკი | რუმინეთი | 1:1 | მიურა |
| 13.02.97 | (მთ) | ბანგკოკი | შვედეთი | 0:1 | |
| 16.02.97 | (მთ) | ბანგკოკი | რუმინეთი | 2:0 | კუროსაკი, ოკანო |
| 15.03.97 | (ა) | ბანგკოკი | თაილანდი | 1:3 | მიურა |
| 23.03.97 | (მშ) | მუსკატი | ომანი | 1:0 | ომურა |
| 25.03.97 | (მშ) | მუსკატი | მაკაო | 10:0 | ტაკაგი 3, მიურა 2, მორიშიმა 3, სომა, ნანამი |
| 27.03.97 | (მშ) | მუსკატი | ნეპალი | 6:0 | ნნამი, ტაკაგი 3, ომურა, ჰონდა |
| 21.05.97 | (ა) | ტოკიო | კორეა | 1:1 | მირა |
| 08.06.97 | (კრთ) | ტოკიო | ხორვატია | 4:3 | მიურა 2, ჰირანო, მორიშიმა |
| 15.06.97 | (კრთ) | ოსაკა | თურქეთი | 1:0 | მორიშიმა |
| 22.06.97 | (მშ) | ტოკიო | მაკაო | 10:0 | მიურა 6, ნაკატა 2, ნანამი, ნაშიზავა |
| 25.06.97 | (მშ) | ტოკიო | ნეპალი | 3:0 | მიურა 2, ნიშიზავა |
| 28.06.97 | (მშ) | ტოკიო | ომანი | 1:1 | ნაკატა |
| 13.08.97 | (ა) | ოსაკა | ბრაზილია | 0:3 | |
| 07.09.97 | (მშ) | ტოკიო | უზბეკეთი | 6:3 | მიურა 4, ნაკატა, ჯო |
| 19.09.97 | (მშ) | აბუ დაბი | აემიროები | 0:0 | |
| 28.09.97 | (მშ) | ტოკიო | კორეა | 1:2 | იამაგუჩი |
| 04.10.97 | (მშ) | ალმაატა | ყაზახეთი | 1:1 | აიტა |
| 11.10.97 | (მშ) | ტაშკენტი | უზბეკეთი | 1:1 | ლოპესი |
| 26.10.97 | (მშ) | ტოკიო | საემიროები | 1:1 | ლოპესი |
| 01.11.97 | (მშ) | სეული | კორეა | 2:0 | ნანამი, ლოპესი |
| 08.11.97 | (მშ) | ტოკიო | ყაზახეთი | 5:1 | აკიტა, ნაკატა, ნაკაიამა, იჰარა, ტაკაგი |
| 16.11.97 | (მშ) | კუალა ლუმპური | ირანი | 3:2 | ნაკაიამა, ჯო, ოკანო |
| 15.02.98 | (ა) | ადელაიდა | ავსტრალია | 3:0 | ნაკატა, ჰირანო 2 |
| 01.03.98 | (დთ) | იოკოჰამა | კორეა | 2:1 | ნააიამა, ჯო |
| 04.03.98 | (დთ) | იოკოჰამა | ჰონკონგი | 5:1 | ნაკატა 2, მასუდა, ნნამი, ლოპესი |
| 07.03.98 | (დთ) | ტოკიო | ჩინეთი | 0:2 | |
| 01.04.98 | (ა) | სეული | კორეა | 1:2 | ნაკაიამა |
| 11.05.98 | (კრთ) | ტოკიო | პარაგვაი | 1:1 | მიურა |
| 24.05.98 | (კრთ) | ტოკიო | ჩეხეთი | 0:0 | |
| 31.05.98 | (ა) | ლოზანა | მექსიკა | 1:2 | |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური; (კთ) — კარლსბერგის თასი; (კრთ) — კირინის თასი; (ათ) — აზიის თასი; (მთ) — მეფის თასი: (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (დთ) — დინასტიის თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხორვატია

## ფინალის ანგარიშიღა დარჩა გასარკვევი



ხორვატიის ნაკრები. დგანან: ჯუკიჩი, იოკანოვიჩი, მილოშევიჩი მიჰაილოვიჩი, კრალი, სტოიკოვიჩი; სხედან: ვიდაკოვიჩი, იუგოვიჩი, საველიჩი, მიატოვიჩი, სავიჩევიჩი

ერთმა იუგოსლაველმა კოლეგამ საუბარი გამიბა. მთისაც ვთქვით და ბარისაც. ცხადია, ბალკანეთში დატრიალებულ სისხლისღვრაზეც ვილაპარაკეთ. როდესაც სერბების და ხორვატების ურთიერთობაზე ვკითხე, ასეთი რამ მიპასუხა, ხორვატები ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის ხალხია (თავად ნახევრად სერბი იყო, ნახევრად ჩერნოგორიელი და ამბობდა, ამ ორს შორის განსხვავება საერთოდ არ არისო), მათი ენა ჩვეულებრივ მესმის, უბრალოდ რელიგია სხვა აქვთო. რელიგიის ამბავი მეც ვიცოდი, სერბები ქართველების მსგავსად, მართლმადიდებლები გახლავან, ხორვატები — კათოლიკები. კიდევ, ჩემმა კოლეგამ ის მითხრა, ხორვატებმა ამ ბოლო დროს დაიწყეს თავიანთ ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრება, რათა ჩვენგან უფრო მეტად განსხვავებულნი გახდნენო და დასძინა, ღმერთმა თავიანთ გზაზე გაუმარჯოთო.

საინტერესოა ადამიანების ამბავი. იმისათვის, რომ ვთქვათ ღმერთმა გაუმარჯოსო, რამდენიმე წლიანი ომი, კვლა, ტყვეთა წამება, სახლ-კარის ბუგვა და სხვა საშინელებები ყოფილა საჭირო. საზიზღრობებში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, ოღონდ, ცხადია, ესენი ამბობდნენ ყველაფერს ისინი სჩადიანო და პირიქით.

ეჰ, საძაგლობები ჩვენიც გვეყოფა. სერბებმა და ხორვატებმა, ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეს ურთიერთობა, ჩვენ ვიკითხოთ.

ვიკითხოთ სპორტული ჟურნალ-გაზეთები და მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს გადავაყოლოთ გული, თორემ შეიძლება ჭკუაზე გადავიდეთ.

საცოდაობა მართლაც ჩვენი გვეყოფა. სერბებმა და ხორვატებმა იომეს კიდეც და მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზეც გაიყვანეს ნაკრებები.

ისე, ხორვატებს სერბები მართლა არასდროს უყვარდათ (ცოლ-ქმრებს არ ვგულისხმობთ). მაგალითად, მსოფლიოს 1930 წლის ჩემპიონატზე იუგოსლავიის ნაკრებში ერთი ფეხბურთელიც არ გაუგზავნიათ, ომის დროს კი სულაც თავიანთი ჩემპიონატი გაახალეს.

საუბარია მეორე მსოფლიო ომზე, როდესაც იუგოსლავიაში შევარდნილმა ჰიტლერმა ქვეყანა რამდენიმე ნაწილად დაჰყო. გერმანელი ოკუპანტების წყალობით 1941-44 წლებში ხორვატია სერბთაგან ცალკე გადგა და ფეხბურთის დამოუკიდებელი ჩემპიონატებიც ჩაატარა. ოთხი სეზონი მოასწრეს ხორვატებმა. აქედან სამჯერ, პირველი ადგილი ზაგრების „გრაჟდანსკიმ“ მოიპოვა, ერთხელ — იმავე ქალაქის „კონკორდიამ“. ორი თამაში ნაკრებმაც ჩაატარა. ორივეჯერ ბერლინში, გერმანიას შეხვდა და ერთი და იმავე ანგარიშით — 1:5 წააგო.

შემდეგ ევროპა ყავისფერი ჭირისგან განთავისუფლდა და ხორვატიამ ისევ იუგოსლავიაში ამოჰყო თავი. ფეხბურთიც ერთიანი, იუგოსლავიური გახდა.

იუგოსლავიის პირველობაზე, როგორც წესი, ოთხი ხორვატიული გუნდი გამოდიოდა. ესენი იყვნენ ზაგრების „დინამო“, სპლიტის „ჰაიდუკი“, „ოსიეკი“ და „რიეკა“. მათი სახელები ნებისმიერი ქომაგისთვის ცნობილია, ისევე, როგორც ცნობილია ის, რომ „დინამო“ და „ჰაიდუკი“ მუდამ ლიდერთა შორის იყვნენ, „ოსიეკი“ და „რიეკა“ კი საშუალო დონეს ვერაფრით ასცდნენ.



ხორვატთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი რობერტ იარნი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავიაში 45 ჩემპიონატი გაიმართა. აქედან 11-ჯერ ოქროს მედალი ხორვატებმა მოიპოვეს. „ჰაიდუკი“ შვიდგზის ჩემპიონი გახლდათ, „დინამომ“ კი ოთხჯერ მიაღწია ტიტულს. აღსანიშნავია, რომ ზაგრებელები უფრო 50-60-იან წლებში იყვნენ ძლიერნი, ხოლო სპლიტის გუნდი 70-80-იან წლებში აღზევდა.

ერთიანი იუგოსლავიის ნაკრებში ხორვატები ყოველთვის საგანგებო როლს თამაშობდნენ. 50-იან წლებში ბრწყინავდნენ მეკარე ვლადიმირ ბეარა და თავდამსხმელი ბერნარდ ვუკასი. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში „ჰაიდუკის“ შვიდმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა, 1982-ში კი ივო შურიაკმა და ზლატკო ვუიოვიჩმა გამოიჩინეს თავი.

1987 წელს იუგოსლავიის იუნიორთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. იმ გუნდში ხორვატიის დღევანდელი ნაკრების ცნობილი მოთამაშეები, შუკერი, ბობანი, პროსინეჩკი, იარნი და სტიმაცი იყვნენ.

1990 წლის მსოფლიო პირველობა სოციალისტური სახელმწიფოს გუნდისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. იმ პირველობაზე კარს ხორვატი ტომისლავ ივკოვიჩი იცავდა, დაცვაში საიმედოდ მოქმედებდა ზორან ვულიჩი, მეორე მცველმა დავორ იოზიჩმა კი თანაგუნდელებს შორის ყველაზე მეტი, ორი გოლი გაიტანა. იუგოსლაველთა კაპიტანიც ხორვატი, თავდამსხმელი ზლატკო ვუიოვიჩი გახლდათ. ჩამოთვლილთა გარდა, ამა თუ იმ თამაშში შემცვლელებად მოედანზე შედიოდნენ რობერტ პროსინეჩკი და რობერტ იარნი, ხოლო ალენ ბოკშიჩი (ტრავმის გამო საფრანგეთში ვერ ითამაშებს) და დავორ შუკერი განაცხადში იყვნენ, მაგრამ არ უთამაშიათ.

„მწამს, რომ რაღაც საგანგებოსთვის ვართ მზად და ეს საგანგებო და ბრწყინვალე რამ საფრანგეთში მოხდება. მე საფრანგეთს და ბევრ ფრანგულ თვისებას უდიდეს პატივს ვცემ. როდესაც „ნანტში“ ვმუშაობდი, რამდენიმე იქაურ ფეხბურთელს ზრდასა და ოსტატობის ამაღლებაში დიდად შევუწყვე ხელი. ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ისინი ფინალში გავლენ. ფინალში გავალთ ჩვენც“ — ეს სიტყვები უკვე დამოუკიდებელი ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა ცოტა ხნის წინ თქვა. ბლაჟევიჩი დასძენს:

„ევროპაში ყველაზე ნიჭიერები ხორვატი ფეხბურთელები არიან. ჩვენ ამ კონტინენტის ბრაზილიელები ვართ“.

სიმართლე რომ ვთქვათ, ევროპელ ბრაზილიელებს შესარჩევ ციკლში უფრო მეტი ოფლის ღვრა მოუხდათ, ვიდრე მათგან ელოდნენ. ჯგუფში ისინი ორი ქულით ჩამორჩნენ დანიელებს, ბერძნებს კი ერთით გაასწრეს და დებულების შესაბამისად, გადათამაშება ერგოთ. კენჭისყრამ ხორვატებს უკრაინის ნაკრები შეახვედრა, რომელთანაც შინ 2:0 მოიგეს, კიევში კი 1:1 დაამთავრეს.

მაგრამ საინტერესო ამბები უკრაინელებთან თამაშამდე მოხდა. ჯგუფური შეჯიბრების ბოლოსწინა ტურში ხორვატია კოპენჰაგენში ეწვია დანიას. მატჩის წინ ბლაჟევიჩი დიდ გულზე იყო. „ამ შეხვედრაში ჩვენს ძალას მთელს მსოფლიოს ვაჩვენებთ“ — ამბობდა მწვრთნელი.

მთელმა მსოფლიომ ნახა, როგორ წააგო ხორვატიამ დანიასთან 1:3. მაგრამ სწორედ შუკერის ამ ერთადერთ გოლს უნდა უმადლოდენ ყველაზე ნიჭიერები, საფრანგეთში თამაშის უფლება რომ მიიღეს.

ეს მერე გაირკვა. თურმე, შუკერს კოპენჰაგენში გოლი რომ არ შეეგდო და შეხვედრა 0:3 დამთავრებულიყო, დანია ბოლო თამაშში, საბერძნეთში წაგების შემთხვევაშიც, არხეინად გადიოდა პირველ ადგილზე, ხოლო მეორეს დაიკავებდა არა ჩვენი წერილის გმირი გუნდი, არამედ ბერძენთა ნაკრები.

მაგრამ ეს ვარიანტი არ გათამაშდა. კოპენჰაგენში შუკერმა ის გოლი გაიტანა და დანიელები აიძულა, ათენში ფრესთვის ებრძოლათ. მათაც იბრძოლეს და საწადელს მიაღწიეს, 0:0-ით ცხრილში პირველ ადგილზე დამკვიდრდნენ. ამასობაში კი ხორვატებმა სლოვენიას სტუმრად 3:1 აჯობეს. ასე გავიდა მეორე ადგილზე მიროსლავ ბლაჟევიჩის ნაკრები.

მაშ ასე, ხორვატია მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვდა და ბლაჟევიჩიც წელში გაიმართა. ისე, მწვრთნელი მაინცდამაინც მოკუზული არც ოდესმე ყოფილა, რადგან ქვეყნის პრეზიდენტ ტუჯმანთან მეგობრობს და, ალბათ, ამიტომაც ამბობს: „სანამ ცოცხალი ვარ, ეროვნული გუნდის მწვრთნელი მე ვიქნები. ეს ვარსკვლავებმა მითხრეს“.

ბლაჟევიჩის გარდა მხრებში ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ბრანკო მიკაშაც გაიმართა. მიკაშა თანამდებობაზე დიდი ხანი არაა, რაც აირჩიეს იოზიპ სოიჩის მაგივრად.



სპლიტის „ჰაიდუკისა“ და იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ივიცა შურიაკი

ხორვატიის ფეხბურთის ახალი ბოსი ზაგრების მერი ბრძანდებოდა, ახლა კი ბიზნესზე გადართულა და დიდძალ ფულსაც შეთამაშებია. მას და ბლაჟევიჩს კარგი ურთიერთობა გაუბამთ და რაკიღა გუნდსაც მოაგებინეს, გულშემატკივარს რაღა უნდა ჰქონდეს საწუწუნო.

სხვათა შორის, უკრაინასთან გადათამაშების წინ ბლაჟევიჩს უთქვამს შინ უთუოდ 2:0-ს მოვიგებთო. ეტყობა, ხორვატთა თავკაცს ტაქტიკა-სტრატეგია-ფსიქოლოგიის გარდა წინასწარმეტყველებაც ეხერხება. აკი ამბობს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთი და ჩვენ შევხვდებითო.

მაგრამ ნამდვილ ასტროლოგს (ისეთს, ნათელმხილველობასთან ერთად მწვრთნელობით რომ არ არის დაკავებული) უთქვამს, ამ ზაფხულზე, საფრანგეთში, მიროსლავ ბლაჟევიჩს შესაძლოა გულმა შეუტიოსო.

ელდისგან თუ სიხარულისგან, ასტროლოგს ზუსტად არ სცოდნია.

# ოცდაორი რჩეული

## მეკარეები

**დრაჟენ ლადიჩი** (კროაცია), 35 წლისაა, ნაკრებში 38-ჯერ უთამაშია. ლადიჩს პენალტების მოგერიება ეხერხება. რაც ხორვატიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყნის მთავარ გოლკიპერად ითვლება, მაგრამ მუდმივად ძლიერად ვერ თამაშობს.

**მარიჯან მრმიჩი** (ბეშიქთაში, თურქეთი), 33; 10. კარიერის უმეტესი ნაწილი ლადიჩის და გაბრიჩის ჩრდილში აქვს გატარებული, მაგრამ გამორიცხული არაა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების მთავარ მეკარედ სწორედ ის მოგვევლინოს.

**ვლადიმირ ვასილი** (ჰრვატსკი დრაგოვილიაჩი), 23; 0. მომავალ სეზონში „კროაციაში" ითამაშებს. იმედოვნებს, რომ ლადიჩს აჯობებს.

## მცველები

**რობერტ იარნი** (რეალ ბეტისი, ესპანეთი), 29; 35. მარცხენა მცველია, რომელსაც შეტევაში ჩართვა უყვარს. სწრაფია, ეხერხება დრიბლინგი და მაღალი პასების ზუსტად ჩაწოდება. სამი სეზონი იტალიაში, კერძოდ „ბარიში", „ტორინოსა" და „იუვენტუსში" გაატარა.

**იგორ შტიმაცი** (დერბი კაუნტი, ინგლისი), 30; 26. ძლიერია ორთაბრძოლებში, მაღლაც ხტება. ხშირად შეტევაში გავარდება ხოლმე. კუთხურებისა და ჯარიმების დროს სასარგებლოა. კარგა ხანს დაშავებული იყო, მაგრამ ჟურნალისტების დიდი ხელშეწყობით ნაკრებში დაიბრუნა ადგილი.

**სლავენ ბილიჩი** (ევერტონი, ინგლისი), 29; 35. ღონიერია და უშიშარი, ხშირად სისხლში ამოთხვრილი გადის მოედნიდან. ორი სეზონი გერმანულ „კარლსრუეში" გაატარა, საიდანაც ინგლისში, „ვესტ ჰემში" გადავიდა, ბოლოს კი ახლანდელ გუნდში ამოჰყო თავი.

**ზვონიმირ სოლდო** (შტუტგარტი, გერმანია), 30; 23. ადრე ისიც „კროაციაში" თამაშობდა. საიმედო მცველია, შეუძლია ლიბეროს, მარჯვენა და ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაში.

**გორან იურიჩი** (კროაცია), 35; 8. ძალიან გამოცდილი მცველია. ადრე ძველი იუგოსლავიის ჩემპიონ, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში" თამაშობდა. მოძრავია, მაგრამ უტექნიკო.

**დარიო სიმიჩი** (კროაცია), 22; 14. სწრაფია, მასზე თვალი „მილანს" აქვს დადგმული.

**იგორ ტუდორი** (ჰაიდუკი), 20; 2. 21 წლამდელთა ნაკრების მუდმივი წევრია. მაღალია და ზუსტი თამაშის შემძლე. უთუოდ მომავლის ვარსკვლავია, რომელიც რამდენიმე გერმანული გუნდის ვაჭრობის ობიექტად იქცა.

**ზორან მაიმჩი** (ბოხუმი, გერმანია), 27; 3. საოცრად მოძრავი ფეხბურთელია, რომელიც თავით ჩინებულად თამსაშობს.

**პეტარ კრპანი** (ოსიეკი), 24. მეტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

**ანტონ სერიჩი** (ჰაიდუკი), 24. მეტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

## ნახევარმცველები

**ზვონიმირ ბობანი** (მილანი, იტალია), 29; 32. ხორვატთა ნაკრების კაპიტანია. ხშირად ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევენ. მასში შერწყმულია ინდივიდუალისტი და გუნდისთვის სასარგებლო მოთამაშე. 1992 წლის შემდეგ „მილანშია".

**რობერტ პროსინეჩკი** (კროაცია), 29; 26. 1991 წელს „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. დიდხანს იყო ესპანეთში, სადაც „რეალში", „ბარსელონასა" და „სევილიაში" გამოდიოდა. კარგი გამთამაშებელია.

**ალიოშა ასანოვიჩი** (ნაპოლი, იტალია), 32; 36. ცაცია გამთამაშებელია, რომელზეც უფრო დიდ იმედებს ამყარებდნენ, ვიდრე გამოვიდა. თამაშობდა საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისსა და იტალიაში.

**მარიო სტანიჩი** (პარმა, იტალია), 26; 9. ბოსნიაში დაბადებული ხორვატია. 1996 წელს ბელგიურ „ბრიუგეში" თავი გოლების გატანით გამოიჩინა. მარჯვენა ფრთაზე წარმატებით თამაშობს, როგორც თავდასხმის ასევე დაცვის დასახმარებლად.

**სილვიო მარიჩი** (კროაცია), 23; 4. კლუბში ყველაზე სწრაფ და იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლება. ეხერხება ფორვარდების ზურგზუკან თამაში. ერთხანს [illegible] გაბზარული.

**კრუნოსლავ იურჩიჩი** (კროაცია), 28; 7. უფრო მეტოქის თამაშის ჩამშლელია, ვიდრე თავისი შემქმნელი.

## თავდამსხმელები

**დავორ შუკერი** (რეალი, ესპანეთი), 30; 33. 26 გოლით დღეისთვის ხორვატიის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია. ეხერხება მარცხენა ფეხით გოლის გატანა, მაგრამ გასულ სეზონში ცუდ ფორმაში იყო და „რეალში" იშვიათად ათამაშებდნენ. ესპანური კარიერა „სევილიაში" დაიწყო, საიდანაც 1996 წელს მადრიდის „რეალმა" 5 მილიონ დოლარად წაიყვანა.

**გორან ვლაოვიჩი** (ვალენსია, ესპანეთი), 25; 25. ბოკშიჩს ვერ ჯობია და უფრო შეცვლაზე შეჰყავთ. ერთიხანობა იტალიურ „პადოვაში" იყო, სადაც კლუბის ბომბარდირი გახდა.

**იგორ ცვიტანოვიჩი** (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), 27; 22. ცაცია ცენტრფორვარდია. ხორვატიაში, „ოსიეკში" თამაშობდა, სადაც ჯერჯერობით სარეკორდო რაოდენობის გოლები გაიტანა.



# პოლიციელის ცემა სანაქებო საქმეა

ათ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ხორვატიის ეროვნული გუნდის კაპიტანმა, ზვონიმირ ბობანმა იუგოსლავიის 20 წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ახლა ეს გონიერი და წინამძღოლად დაბადებული კაცი, რომელიც თითქმის ყველგან, სადაც კი თამაშობდა, კაპიტნად ჰყავდათ, ისევ მსოფლიოში პირველობას შეეცდება. ოღონდ ახლა ბობანი იუნიორი აღარ არის, ის ვარსკვლავია. აღარც მსოფლიოს ჩემპიონატია ასაკობრივი. ოქროს თასი ნაღდია, ის თასია.

მაშინ, 20 წლამდელთა ჩემპიონატზე მის მხარდამხარ რობერტ იარნი, დავორ შუკერი და რობერტ პროსინეჩკი თამაშობდნენ. ბიჭები ახლაც ერთად არიან.

1990 წელს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ ზაგრების „დინამოს" შემადგენლობაში რომ თამაშობდა, ზაგრებელთა ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანმა გულშემატკივრის დაცვის მიზნით პოლიციელს მუცელში ჩაარტყა. ის მატჩი ჩაიშალა და იმდროინდელი იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის დაშლასაც დასაბამი დაუდო.

ტელევიზია წარამარა იმეორებდა, როგორ ეჩხუბება ბობანი წესრიგის დამცველს. ბობანი დასაჯეს, იმ წელიწადს იტალიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, მაგრამ ხორვატიაში იგი გმირი გახდა.

1991 წელს ხორვატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ახალშობილი ნაკრების კაპიტანსაც დიდი ძებნა არ დასჭირვებია.

იმავე წელიწადს ბობანი „მილანში" გადადის. მილანელები მასში 2 მილიონ დოლარს იხდიან, მაგრამ თავისთან არ აჩერებენ და „ბარის" აძლევენ დროებით. პირველი სეზონი ხორვატმა იქ გაატარა, მერე კი ფაბიო კაპელოსეულ დიდ „მილანში" მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა.

ბობანი უპირატესად დაცვის მაკონტროლებელი ნახევარმცველია, მაგრამ ნაკრებში, თუ ბლაჟევიჩს დასჭირდა, თავდამსხმელადაც გვევლინება და მაშინ მეტოქეთა უკანა ხაზს მისი პასები, ჯარიმები თუ ორივე ფეხით შესრულებული შორეული დარტყმები აკრთობს.

| ხორვატთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.02.96 | (ა) | რეიკა | პოლონეთი | 2:1 | ბრაიკოვიჩი, ცვიტანოვიჩი |
| 13.03.96 | (ა) | ზაგრები | კორეა | 3:0 | ვლაოვიჩი 3 |
| 26.03.96 | (ა) | ვარაძინი | ისრაელი | 2:0 | შტიმაცი, ვლაოვიჩი |
| 10.04.96 | (ა) | ოსიეკი | უნგრეთი | 4:1 | ბრაიკოვიჩი, პამიჩი, შუკერი, სტანიჩი |
| 24.04.96 | (ა) | ლონდონი | ინგლისი | 0:0 | |
| 02.06.96 | (ა) | დუბლინი | ირლანდია | 2:2 | შუკერი, ბობიჩი |
| 11.06.96 | (ეჩ) | ნოტინგემი | თურქეთი | 1:0 | ვლაოვიჩი |
| 16.06.96 | (ეჩ) | შეფილდი | დანია | 3:0 | შუკერი 2, ბობანი |
| 19.06.96 | (ეჩ) | ნოტინგემი | პორტუგალია | 0:3 | |
| 23.06.96 | (ეჩ) | მანჩესტერი | გერმანია | 1:2 | შუკერი |
| 10.09.96 | (მშ) | ბოლონია | ბოსნია | 4:1 | ბილიჩი, ვლაოვიჩი, ბოკშიჩი 2 |
| 11.10.96 | (მშ) | ზაგრები | საბერძნეთი | 1:1 | შუკერი |
| 11.12.96 | (ჰტ) | კასაბლანკა | მაროკო | 2:2 | ვლაოვიჩი 2, პენალტებით 7:6 |
| 12.12.96 | (ჰტ) | კასაბლანკა | ჩეხეთი | 1:1 | პრალია, პენალტებით 4:1 |
| 29.03.97 | (მშ) | სპლიტი | დანია | 1:1 | შუკერი |
| 02.04.97 | (მშ) | სპლიტი | სლოვენია | 3:3 | პროსინეჩკი, ბობანი 2 |
| 30.04.97 | (მშ) | სალონიკი | საბერძნეთი | 1:0 | შუკერი |
| 08.06.97 | (კთ) | ტოკიო | იაპონია | 3:4 | ასანოვიჩი 2, ვლაოვიჩი |
| 12.06.97 | (კთ) | სენდაი | თურქეთი | 1:1 | ერსეგი |
| 06.09.97 | (მშ) | ზაგრები | ბოსნია | 3:2 | ბილიჩი, მარიჩი, ბობანი |
| 09.09.97 | (მშ) | კოპენჰაგენი | დანია | 1:3 | შუკერი |
| 11.10.97 | (მშ) | ლუბლიანა | სლოვენია | 3:1 | სოლდო, შუკერი, ბოკშიჩი |
| 29.10.97 | (მშ) | ზაგრები | უკრაინა | 2:0 | ბილიჩი, ვლაოვიჩი |
| 15.11.97 | (მშ) | კიევი | უკრაინა | 1:1 | ბოკშიჩი |
| 22.04.98 | (ა) | ოსერი | პოლონეთი | 4:1 | ბობანი, სტანიჩი 2, ბოკშიჩი |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური; (ეჩ) — ეროვნული ჩემპიონატი; (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (ჰტ) — ჰასან ტროფი; (კთ) — კირინის თასი

# უფრო ფსიქოლოგი, ვიდრე მწვრთნელი



ხალხი დაჟინებით ითხოვდა მის გადაყენებას, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლამ უშველა.

მიროსლავ ბლაჟევიჩი კოხტად ჩაცმისა და თამბაქოს მოყვარულია, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ იგი წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებაა.

1996 წელს ბლაჟევიჩმა ხორვატია ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა და გმირად იქცა, მაგრამ იქ, ინგლისში, მეოთხედფინალში გერმანიასთან წააგო და ტაქტიკის უცოდინარ კაცად მონათლეს.

„ხომ გეუბნებოდით გუნდს საფრანგეთში წავიყვან-მეთქი. თანაც ეს გაცილებით უფრო ლამაზად გავაკეთე, ვიდრე ყველა ელოდა" — თქვა ბლაჟევიჩმა და რაოდენ გასაოცარი გეჩვენოთ, ლამაზად გასვლაში უკრაინასთან გადათამაშების მოგება იგულისხმა. გამოვიდა, რომ მას ჯგუფში პირველი ადგილის მოპოვებასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ავტომატურად გასვლას, ემოციური გადათამაშება ერჩივნა.

ბლაჟევიჩმა, როგორც მწვრთნელმა, მოღვაწეობა შვეიცარიულ „გრასჰოპერში" დაიწყო. შემდეგ იგი იუგოსლავიაში დაბრუნდა და 1982 წელს ზაგრების „დინამო" ჩემპიონი გახადა. 1989-91 წლებში ბლაჟევიჩი საფრანგეთში, კერძოდ „ნანტში" მოღვაწეობდა, სადაც თამაშების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია, თუმცა მოგვიანებით მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება გაბათილდა.

1991 წელს ხორვატია იუგოსლავიას გამოეყო და მწვრთნელი დაუყოვნებლივ „დინამოში" ანუ იმავე „კროაციაში" დაბრუნდა. 1994 წელს „კროაცია" ხორვატიის ჩემპიონი გახდა.

პრეზიდენტ ტუჯმანის ჩარევით ბლაჟევიჩს ეროვნული გუნდის მწვრთნელად ნიშნავენ.

ბლაჟევიჩის სამწვრთნელო მეთოდი მირითადად ფეხბურთელების შეგულიანებას ეყრდნობა. მისი სტრატეგია რთულია, საყრდენად კი მოთამაშეთა ნიჭი აქვს ქცეული. ამისთვის აკრიტიკებენ კიდეც. უწუნებენ იმას, რომ გუნდის სტრუქტურის შექმნის ნაცვლად ცალკეული ფეხბურთელების წაქეზების იმედადაა.

ის ამბობს, რომ ხაუცხოო ფეხბურთელები ჰყავს, რომელთაც სადაცაა დიდების გვირგვინი უნდა დაიდგან.


დავორ შუკერი — ხორვატთა ამოსული ვარსკვლავი

# იამაიკა ადექი!

ადექი! — ასე ჰქვია საფრანგეთის საგზურის მოპოვების გამო შექმნილ ჰიმნს. მის შეთხზვაში მონაწილეობდნენ ზიგი მარლი, შეგი, მაქსი პრისტი, ინი კამოზე, ბაჯუ ბენტონი, დაიანა კინგი და სხვები. ის შევა ალბომში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ოცდათორმეტივე ქვეყნის ნაკრებთა ჰიმნები იქნება თავმოყრილი.

მუსიკოსები, რომელთა გვარებიც ზემოთაა ჩამოთვლილი, რეგის სტილში მოღვაწეობენ. ნაკრებს, რომელზეც ამ წერილშია საუბარი, „რეგი ბოიზ" ანუ რეგის ბიჭები ჰქვია.

ბობ მარლი იამაიკელთა ლეგენდაა. მათ სწამთ, რომ მარლი იმ ქვეყნიდანაც ხელმძღვანელობს, ეხმარება და ჭკუას არიგებს, ფეხბურთელთა გუნდის მიღწევაც უთუოდ საიქიოში გამოჩენილი მონდომების შედეგია, მონდომებას კი რეგის გარდაცვლილი ვარსკვლავი არასდროს დაიშურებს თანამემამულეთათვის.

იამაიკა კარიბეთში მდებარეობს. ეს ის რეგიონია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, ფინალურ ეტაპზე უკვე მესამე გუნდი წარგზავნა. პირველი გახლდათ კუბა, რომელმაც 1938 წელს რუმინეთსაც კი მოუგო, მეორე — ჰაიტი, 1974-ში პოლონეთთან 0:7 რომ წააგო, იტალიელთა მეკარეს დინო ძოფს კი უგოლო თამაშთა სარეკორდო სვლა შეუჩერა. მესამე იამაიკაა.

1997 წლის 16 ნოემბერს მექსიკელებთან ნათამაშევმა ფრემ იამაიკას საფრანგეთის საგზური მოუტანა. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ასულმა ქვეყნის პრემიერ მინისტრმა პი ჯეი პეტერსონმა 17 ნოემბერი უქმედ გამოაცხადა, „რეგი ბოიზის" თითოეულმა ფეხბურთელმა კი საჩუქრად მიწის ნაკვეთი და სახლის აშენებისთვის შეღავათები მიიღო.

იცით თუ არა რომ იამაიკის ნაკრებში ინგლისში დაბადებულ-გაზრდილი ოთხი მოთამაშე გამოდიოდა? ისინი არიან „უიმბლდონის" რობი ერლი, „დერბის" დეონ ბარტონი და წყვილი „პორტსმუთიდან" ფიცროი სიმპსონი და პოლ ჰოლი. შესარჩევი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გუნდის ბრაზილიელმა მწვრთნელმა რენე სიმოეშმა კვლავ ალბიონს ჩააკითხა და იამაიკური წარმოშობის ფეხბურთელთა ძიება განაგრძო. სიმოეშმა სამს მიაგნო, „ჩელსის" ფრენკ სინკლერს, „დერბის" დინ სტარიჯს და „უიმბლდონის" მარკუს გეილს. სინკლერი და გეილი მიჰყავს კიდეც მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ინგლისელ-იამაიკელთა გამოჩენამ წესითა და რიგით „რეგი ბოიზს" ძალა უნდა შემატოს, მაგრამ არის საპირისპირო დინებაც, გუნდში ორმა დაჯგუფებამ იჩინა თავი. მართალია, იამაიკელი ონსტატობით ჩამოუვარდებიან მოხდურთ, მაგრამ თავმოყვარეობა ელახებათ და უკმაყოფილების გრძნობაც მეტად და მეტად უსივებთ გულს.



იამაიკის ნაკრები. დგანან: ბარეტი, კარჯილი, სიუელი, გარდნერი, უაიტმორი, ბრაუნი, სიმპსონი; სხედან: დიქსონი, ბარტონი, გუდისონი, ჰოლი

ქვეყნის არმიის კაპიტანმა, იმავდროულად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰორკის ბარელმა ცეცხლზე ნავთი დაასხა: „უკვე უამრავი წერილი მივიღე. ადგილობრივი ფეხბურთელები ნაკრებში აყვანას ითხოვენ. ისინი იმდენნი არიან, რომ სამი გუნდიც კი შეიქმნებოდა".

ერთადერთი იამაიკელი, რომლის გარშემო აჟიოტაჟი არ ამტყდარა, ცნობილი ჯონ ბარნსია. დიახ, სწორედ ის, ინგლისის ნაკრებში თამაშით რომაა ცნობილი.

„ჩემი ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ" — არც აცია, არც აცხელა ამასობაში სიმოეშმა — „ამიტომაც, იამაიკის ნაკრები ჯგუფიდან რომ გავა და მერვედფინალში ითამაშებს, გთხოვთ ნურავის გაუკვირდება".



## ზარმაცი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იამაიკის ნაკრების მთავარმა ფორვარდმა დეონ ბარტონმა ზღაპრული პროგრესი განიცადა.

დეონი ინგლისურ ქალაქ რედინგში დაიბადა. მამა იამაიკელი ჰყავს, დედა — ინგლისელი.

„დეონი ტიპიური კარიბელია, რომელსაც წარამარა უნდა უჩიჩინო: იმუშავე, იმუშავე — ამბობს ინგლისში, „დერბიში" მასთან ერთად მოთამაშე ჰოლანდიელი ნახევარმცველი რობი ვან დერ ლაანი, რომელზეც ამბობენ ბარტონის მასწავლებელიაო — „როცა შრომას აიძულებ, უნდა იცოდე, რომ განწყობა სულ 15 წუთს გაჰყვება და ისევ სიზარმაცე სძლევს".

„ნაკრებში თამაში სხვანაირია. აქ ინგლისთან შედარებით ნელა თამაშობენ და ამიტომ რაღაცის მოსაფიქრებლად დრო ყოველთვის მაქვს, მაგრამ იამაიკელები ტექნიკურად უთუოდ ძლიერები არიან. ბურთით მუშაობის კულტურა მაღალ დონეზე აქვთ" — ამბობს თავად ბარტონი.

## ქადაგი

ბრაზილიელი მწვრთნელი რენე სიმოეში მორწმუნე კაცია და იამაიკის ნაკრებში საოცრებებს ახდენს. მან განა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა გუნდი, არამედ, ამბობენ ქვეყანაში დამნაშავეობა შეამცირაო. გახარებულმა იამაიკელებმა ხულიგნობას მოუკლეს და მუშაობას უმატეს.

1994 წლიდან მოღვაწე 44 წლის სიმოეში იამაიკის ფეხბურთის განვითარების ეროვნული პროგრამის ტექნიკური დირექტორია.

სიმოეშის წარმატება დისციპლინასა და მუხლჩაუხრელ შრომაზეა დაფუძნებული. მაგალითად, ხალხის საყვარელი მოთამაშე, „შავი მარგალიტი" უოლტერ ბოიდი ცუდი ქცევისთვის ერთხანს გუნდიდან ჰყავდა გამევებული.

სიმოეში ეკლესიური კაცია, რომელიც მეტაფორებით მეტყველებს. იგი ამბობს, რომ ფეხბურთი რეგის და სამბას ჰგავს, ფეხბურთელებს ბურთთან ცეკვისკენ მოუწოდებს და ამბობს, რომ კარი ისევე უნდა დაიცვან, როგორც შეყვარებული, როდესაც მას ვიღაც აეკიდება.

უწინ სიმოეში ბრაზილიის 17, 20 და 23 წლამდელთა ნაკრებებს ედგა სათავეში. 20 წლამდელებთან ერთად მსოფლიოს პირველობაზე მესამე ადგილიც კი აქვს მოპოვებული.

### იამაიკელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.03.96* | (ა) | კინგსტონი | გვატემალა | 2:0 | გუდისონი, პალმერი |
| 31.03.96 | (მშ) | პარამარიბო | სურინამი | 1:0 | უიტმორი |
| 21.04.96 | (მშ) | კინგსტონი | სურინამი | 1:0 | დევისი |
| 24.04.96 | (ა) | კინგსტონი | ბარბადოსი | 2:0 | იანგი, დევისი |
| 28.04.96 | (ა) | ბრიჯთაუნი | ბარბადოსი | 0:2 | |
| 24.05.96 | (ა) | პორტ ოფ სპეინი | ტრინიდადი | 0:1 | |
| 26.05.96 | (ა) | ბასეტერე | სენტ კიტსი | 4:1 | რაიტი, დევისი 2, პალმერი |
| 28.05.96 | (ა) | პარამარიბო | სურინამი | 1:3 | ლოუი |
| 23.06.96 | (მშ) | ბრიჯთაური | ბარბადოსი | 1:0 | ბოიდი |
| 30.06.96 | (მშ) | კინგსტონი | ბარბადოსი | 2:0 | უიტმორი, ბოიდი |
| 04.09.96 | (ა) | კინგსტონი | კოსტა რიკა | 2:0 | რაიტი, ლოუი |
| 15.09.96 | (მშ) | კინგსტონი | ჰონდურასი | 3:0 | ბოიდი 2, უიტმორი |
| 22.09.96 | (მშ) | კინგსტონი | სენტ ვინსენტი | 2:1 | იანგი 2 |
| 04.10.96 | (ა) | კიტო | ეკვადორი | 1:2 | ლოუი |
| 09.10.96 | (ა) | სან ხოსე | კოსტა რიკა | 0:0 | |
| 16.10.96 | (მშ) | მეხიკო | მექსიკა | 1:2 | ბოიდი |
| 26.10.96 | (მშ) | სან პედრო სულა | ჰონდურასი | 0:0 | |
| 10.11.96 | (მშ) | კინგსტონი | სენტ ვინსენტი | 5:0 | უიტმორი 2, იანგი, კერგილი, ლოუი |
| 17.11.96 | (მშ) | კინგსტონი | მექსიკა | 1:0 | გუდისონი |
| 12.02.97 | (ა) | კინგსტონი | ვენესუელა | 0:0 | |
| 02.03.97 | (მშ) | კინგსტონი | აშშ | 0:0 | |
| 23.03.97 | (ა) | ლა პასი | ბოლივია | 0:6 | |
| 13.04.97 | (მშ) | მეხიკო | მექსიკა | 0:6 | |
| 27.04.97 | (მშ) | ვანკუვერი | კანადა | 0:0 | |
| 11.05.97 | (მშ) | სან ხოსე | კოსტა რიკა | 1:3 | უილიამსი |
| 18.05.97 | (მშ) | კინგსტონი | სალვადორი | 1:0 | უილიამსი |
| 04.07.97 | (ა) | სენტ ჯორჯი | გრენადა | 1:1 | ჰოლი |
| 08.07.97 | (ა) | სენტ ჯონი | ანტიგუა | 2:0 | სიმპსონი, უიტმორი |
| 10.07.97 | (ა) | პორტ ოფ სპეინი | ტრინიდადი | 1:1 | ჰოლი |
| 13.07.97 | (ა) | კინგსტონი | გრენადა | 4:1 | ჰოლი 2, გარდნერი |
| 07.09.97 | (მშ) | კინგსტონი | კანადა | 1:0 | ბარტონი |
| 14.09.97 | (მშ) | კინგსტონი | კოსტა რიკა | 1:0 | ბარტონი |
| 03.10.97 | (მშ) | ვაშინგტონი | აშშ | 1:1 | ბარტონი |
| 18.10.97 | (ა) | პორტ ო პრენსი | ჰაიტი | 1:0 | სტიუარტი |
| 09.11.97 | (მშ) | სან სალვადორი | სალვადორი | 2:2 | ბარტონი, სტიუარტი |
| 16.11.97 | (მშ) | კინგსტონი | მექსიკა | 0:0 | |
| 07.01.98 | (ა) | პორტ ოფ სპეინი | ტრინიდადი | 0:0 | |
| 29.01.98 | (ა) | კინგსტონი | შვედეთი | 0:0 | |
| 03.02.98 | (ოთ) | მაიამი | ბრაზილია | 0:0 | |
| 08.02.98 | (ოთ) | ლოს ანჯერესი | გვატემალა | 3:2 | ჰოლი 2, უილიამსი |
| 09.02.98 | (ოთ) | ლოს ანჯელესი | სალვადორი | 2:0 | გეილი, სიმპსონი |
| 12.02.98 | (ოთ) | ლოს ანჯელესი | მექსიკა | 0:1 | |
| 15.02.98 | (ოთ) | ლოს ანჯელესი | ბრაზილია | 0:1 | |
| 22.02.98 | (ა) | კინგსტონი | ნიგერია | 2:2 | გუდისონი, უილიამსი |
| 25.03.98 | (ა) | კარდიფი | უელსი | 0:0 | |
| 20.04.98 | (ა) | თეირანი | მაკედონია | 1:2 | ჰოლი |
| 22.04.98 | (ა) | თეირანი | ირანი | 0:1 | |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური; (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (ოთ) — ოქროს თასი

## ოცდაორი რჩეული

### მეკარეები

უორენ „ბუპი" ბარეტი (ვაიოლეტ კიკერსი) 28 წლისაა, ნაკრებში 128-ჯერ უთამაშია. იამაიკის ფეხბურთის ისტორიაში ეროვნული გუნდის მაისურა ყველაზე ხშირად მას ჩაუცვამს. მისი კერპია საფრანგეთის ნაკრების მეკარე ბერნარ ლამა.

არონ „ველური" ლოურენსი (რენო). 26;14. საოცრად აკრობატულია. ხელფასით, ნელ-ნელა იშენებს სახლს და მეგობრების თქმით თუ გასამრჯელოს აგურებითა და საშენი მასალით გადაუხდიან, ბედნიერი იქნება.

### მცველები

სტივენ „შორტი" მალკოლმი (სება იუნაიტედი). 28;60. უშიშარი მცველია, რომელიც აქამდე ნახევარდაცვაში გამოდიოდა. ფეხბურთის გარდა ტაქსის ბიზნესში მოღვაწეობს.

რიკარდო „ბიბი" გარდნერი (ჰარბორ ვიუ). 19;31. ნაკრებში პირველად რომ ათამაშეს, ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა. ეხერხება დრიბლინგი.

იან „პეპე" გუდისონი (ოლიმპიკ გარდენსი). 25;52. სისულელეს არასდროს სჩადის. იამაიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მექსიკის კარში გატანილმა მისმა თავურმა გაიყვანა. მისი კერპები მაიკლ ჯეკსონი და იურგენ კლინსმანი არიან.

ლინვალ „რუდი" დიქსონი (ვიზარდი). 26;103. ღონიერი და საიმედო მცველია, როცა ფეხბურთს არ თამაშობს, კრიკეტითაა გატაცებული.

დარენ „ტეტი" ბრაუნი (ვადადა). 34;123. ვეტერანი მცველია, ძლიერია ორთაბრძოლებში. მინუსად სიდაბლეს უთვლიან.

ფრენკ სინკლერი (ჩელსი, ინგლისი). 26;5. შემტევი მცველია, კუთხურების დროს გოლის გასატანად ჩადის მოწინააღმდეგის საჯარიმოში.

### ნახევარმცველები

თეოდორ „ტეპერ" უაიტმორი (სება). 25;74. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოთამაშეა. ცნობილია, როგორც გამთამაშებელი. ნაკლად არათანამიმდევრულობას უთვლიან. უყვარს მუსიკა, კერპად კი კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი ჰყავს.

პიტერ „ჯეირ" ჯერჯილი (ჰარბურ ვიუ). 34;74. სისწრაფე აკლია, მაგრამ თავურები ეხერხება.

კრისტოფერ დევისი (გალაქსი). 24;37. სოლიდურია როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში.

რობი ერლი (უიმბლდონი, ინგლისი). 33;8. დაბადებულია ნიუკასლში და 1997 წელს გლენ ჰოდლმა კინაღამ ინგლისის ნაკრებში მიიწვია. იგი რადიოკომენტატორადაც მუშაობს და საგაზეთო მესვეტედაც.

ფიცროი „სიმპო" სიმპსონი (პორტსმუთი, ინგლისი). 22;20. ინგლისშია დაბადებული. ორთაბრძოლებში უშელავათოა. იამაიკაში ილბლის მომტანად თვლიან.

დერილ პაუელი (დერბი, ინგლისი). 26;1. ლონდონელია. გასულ სეზონში ერთხანს მუხლი სტკიოდა.

### თავდამსხმელები

ენდრიუ „ბომბდამშენი" უილიამსი (რეალ მონა). 20;22. გასულ წლებში იამაიკის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდად ითვლებოდა. ბურთს საუცხოოდ ფლობს.

დეონ ბარტონი (დერბი, ინგლისი). 21;16. დაბადებულია ინგლისურ ქალაქ რედინგში. იამაიკის ნაკრებს 1997 წლის შუაში შეუერთდა.

პოლ ჰოლი (პორტსმუთი, ინგლისი). 26;20. ინგლისშია დაბადებული. სიმოეში გუნდის „დი ჯეის" უწოდებს.

მარკუს გეილი (უიმბლდონი, ინგლისი). 27;5. ნიჭიერი ფორვარდია. შეუძლია ბრწყინვალე მომენტები შექმნას.

ორანდი ლოუი (ჰარბურ ვიუ). 24;30. ძალიან კარგი თავდამსხმელია, მაგრამ ბოლო დროს ინგლისიდან ჩაყვანილმა ბარტონმა დაჩაგრა.

უოლტერ „შავი მარგალიტი" ბოიდი (არნეტ გარდენსი). 26;57. სანამ ინგლისში გაზრდილი ფეხბურთელებით გაივსებოდა გუნდი, ის ყველაზე მაღალ ანაზღაურებიანი ფეხბურთელი იყო.

დინ სიუელი (კონსტანტი). 27;22. მუდმივად ნაკრებშია, მაგრამ სულ სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. უფრო მცველია, თუმცა ნახევარდაცვაშიც ეხერხება თამაში.

დონოვან რიკეტსი (ვადადა). 20. ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

# კვაზიმოდო ჰერკულესად იქცა და საქართველოს ჩემპიონი გახდა

ქართული საციგურაო სკოლის მეტნაკლებად ყველა მნიშვნელოვან წარმატება ისტორიის კუთვნილებაა და არა დღევანდელობა. ეს სახეობა ჩვენში დიდი პოპულარობით ვერასოდეს დაიკვეხნიდა, მით უფრო, თბილისის გარეთ, ბოლო წლების მოვლენებმა კი თუ საერთოდ მივიწყების ბურუსში არ გახვია იგი, გერის როლში ნამდვილად ჩააყენა. ფიგურული სრიალის ამ დღეში ყოფნას თავად ამ სახეობის მესვეურები არ ურიგდებიან, რისი დასტურიც შაბათს თბილისის საციგურაო სკოლაში გამართული საქართველოს ჩემპიონატი იყო.



ირაკლი ჯაფარიძე

ეს ჩემპიონატი სახეობის პოპულარობის ხარისხის შესატყვისი იყო: ვერც მონაწილეთა სიმრავლით დაიკვეხნიდა, ვერც მაყურებლის. ყინულის „ხალიჩის“ სიმცირის გამო წყვილთა შეჯიბრი საერთოდ არ გამართულა, ერთეულთა შორის კი ქალებში 10 მონაწილე იყო, კაცებში მხოლოდ 5. მაყურებლებსაც სწორედ ამ თხუთმეტის მშობლები და ახლობლები შეადგენდნენ. ვამბობთ, კაცები და ქალებიო, მაგრამ მონაწილეთა შორის სასკოლო ასაკს გაცილებული მხოლოდ ორი იყო სალომე ჩიგოგიძე და ბესო ცინცაძე, დანარჩენები კი 11-15 წლის ბავშვები იყვნენ. და მაინც, ჩემპიონატის დონითა და მონაწილეთა ოდენობით საციგურაო სკოლის დირექტორი და ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ჯაფარიძე კმაყოფილი იყო. ცხადია, ჩვენში არსებული პირობების გათვალისწინებით. ისე, ცოტა ძნელიც კია, 11-12 წლის ან თუნდაც ცოტა უფროს ბავშვებს იმ დონესთან თუნდაც მიახლოება მოსთხოვო, როგორსაც ტელეეკრანებზე ვხედავთ უცხოელთა შესრულებით, მაგრამ მათი იმდღევანდელი სითამამე, სიკისკასე, და მოხდენილობა მათი ოსტატებად დაფრთიანების იმედს მაინც გვიტოვებს. მერე რა, რომ ტარა



ბესო ცინცაძე

ლიპინსკი არ აღმოგვიჩენია; მერე რა, რომ ამ ცეროდენების პროგრამა არც ისე მრავალფეროვანი და არც ისე რთულილეთოვანია; მერე რა, რომ ბევრ მათგანს მეტნაკლებად რთული ილეთების შესრულებისას, მეტი რომ არ ვთქვათ, მუხლებიც ღალატობდა, რაც, არა მგონია, მხოლოდ მღელვარების ბრალი იყოს. ეს ჩემპიონატი, ჩემი აზრით, მაინც მომავლისკენ გადადგმული ნაბიჯია. ჩემი სიტყვების დასტურად ისიც გამოდგება, რომ შეჯიბრების ყველაზე პატარა მონაწილე — 11 წლის ნინო მანჯავიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვისიც სპორტის ამ სახეობის მესვეურებს სამომავლოდ ყველაზე მეტად ეიმედებათ.

რაც შეეხება თავად ასპარეზობას, სარბიელი ჯერ ქალებს დაეთმოთ, გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა სალომე ჩიგოგიძემ, რომელიც ერთი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე. მეორე ადგილზე გავიდა მარიკა ჯაფარიძე, მესამეზე — ნინო აბაშიძე.

ქალების შემდეგ ასპარეზი ვაჟებს დაეთმოთ. ნათქვამია, გემრიელი ლუკმა ბოლოსთვისო და, ეტყობა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა ჩემპიონატის გალამაზებისა და მაჟორული აკორდით დამთავრების სურვილით ბესო ცინცაძის გამოსვლა ბოლოსთვის შემოინახეს. საერთოდ, წინასწარვე იგრძნობოდა ბესოს გამოსვლის მოლოდინი. მანაც, გადაუჭარბებლად ითქმის, სრულად გაამართლა იმედიც და საავანსო ინტერესიც. მისი ასპარეზობა იყო ნატიფი, უშეცდომო, ილეთები — რთული, შესრულების დონე — მაღალი. ექსტაზში შესულმა ბესომ მაყურებლები ისე მოაჯადოვა და „აიყვანა“, რომ მისი ასპარეზობის თავბრუდამხვევ რიტმს აყოლილებმა და ბესოსავით გრძნობამოძალებულებმა ოვაციებით ლამის დარბაზის ჭერი ჩამოანგრიეს. ერთი სიტყვით, ბესომ, ფაქტობრივად, უკონკურენციოდ მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. ან კი რა გასაკვირია: მისი გამოცდილების პატრონს 14-15 წლის ახალშეღერებული ბიჭები ტოლ-სწორად რას გაეჯიბრებოდნენ? მეორე ადგილზე საქართველოს წყალბურთელთა მთავარი მწვრთნელის გელა ტუკვაძის 14 წლის ვაჟი თორნიკე გავიდა და ოჯახის სპორტულ ბიოგრაფიაში (დედამისი — მაია ნადიბაიძე ყოფილი ტანმოვარჯიშეა) ახალი ფურცელი გადაშალა. მესამე ადგილი ვანო ჯანჯალაშვილმა დაიკავა. ტყუპი ძმების — ლერი და გიორგი კენჭაძეებს სამეულს მიღმა დარჩენილი ორი ადგილი დარჩათ.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ბესო ცინცაძეს გავესაუბრე. „სარბიელის“ მკითხველებმა იციან, რომ იგი უკვე სამი წელია ნიუ იორკში ცხოვრობს და ერთ იქაურ საციგურაო თეატრში ახალგაზრდა ჰერკულესის როლს ასრულებს. ეს დღევანდელობაა, ხოლო რაც შეეხება მის სამომავლო გეგმებს, გაისად მას კონტრაქტი უმთავრდება ნიუ იორკის ამ დასთან და აპირებს, პროფესიონალთა მსოფლიოს ჩემპიონატსა და აშშ-ის ღია პირველობაზე იასპარეზოს. სურს გამოვიდეს ჰელსინკში მოყვარულთა მსოფლიოს ჩემპიონატზეც. ვარჯიშს შემდგომაც გააგრძელებს სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე მოსახვედრად, რაც მისი და ფიგურული სრიალის ჩვენი ფედერაციის უპირველესი მიზანია. მართალია, ამ ოლიმპიადისთვის ანუ 4 წლის შემდეგ ბესო 32 წლისა იქნება, მაგრამ მას წელთა სიმრავლე არ აშინებს და თვლის, რომ ასაკი მას ვერაფერს დააკლებს. რაც შეეხება მისი ოსტატობის დონეს, საკუთარი შესაძლებლობები თავად ბესომ ასე შეაფასა: „არ მინდა, თავის ქებაში ჩამომართვათ, მაგრამ რასაც სხვა ცნობილი ფიგურისტები აკეთებენ, იმას მეც ვაკეთებ, ზოგჯერ უფრო დახვეწილადაც. რაც მთავარაი, ვგრძნობ ძალას მათთან საბრძოლველად“.

ჩემპიონატის შედეგების შეფასებაში **ირაკლი ჯაფარიძე** სიტყვაძუნწი ნამდვილად არ ყოფილა...

— ვთვლი, რომ ჩემპიონატის დონე დამაკმაყოფილებელია. უდავოდ ნიჭიერი გუნდი გვყავს. ყველა, ვინც კი დღეს ყინულზე გამოვიდა, პერსპექტიულია. თუ ასაკს გავითვალისწინებთ, ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გვექნება. ვინც კი დღეს ყინულზე გამოვიდა, ყველამ საკმაოდ კარგი ტექნიკა და მუსიკალური სრულყოფა გვიჩვენა.

**— კონკრეტულ სამომავლო გეგმებზე რას იტყოდით?**

— სამომავლო გეგმებზე საუბრამდე ეს მინდა ვთქვა: ძალიან გვეხმარება თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს სპორტული გაერთიანება — ყინულის შენახვა იქნება, მუდმივი დენი, კომუნალური გადასახადები, ტურნირების დაფინანსება, ხელფასებისთვის თანხების გამოყოფა და სხვა. თუ სპორტის ეს სახეობა დღეს არსებობს, ეს მათი დამსახურებაცაა.

აგვისტოში ბულგარეთში მივდივართ შეკრებაზე. გარდა ამისა, საქართველოში ველოდებით ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ოტავიო ჩიკუანტოს. მას ამერიკაში შევხვდი და საქართველოში დავპატიჟე, ამ დღეებში კი სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასაც შევუთახმდი და მალე ისინი ოფიციალურადაც მოიწვევენ მას. ჩიკუანტო სიხარულით დაგვთანხმდა სტუმრობაზე, რადგან თურმე ბევრი სმენია საქართველოზე, და დახმარების დიდი სურვილი აქვს. მისი ჩამოსვლის მიზანი აქაური სიტუაციის გაცნობა და კონკრეტული დახმარება იქნება. 15-20 ივნისს შვეციაში გაიმართება საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი და პრეზიდენტის არჩევნები. ეროვნულ ფედერაციებს, ჩიკუანტოს ხელახლა არჩევა გვსურს, რადგან მან ჩვენს სახეობაში რევოლუციური გარდაქმნები განახორციელა და ეჭვი არ არის, იგი შეინარჩუნებს თავის ადგილს. სწორედ ამ კონგრესზე შევხვდები მას და მისი საქართველოში ჩამოსვლის ზუსტ თარიღსაც მაშინ დავადგენთ.

**ირაკლი თავაძე**

## ჰოკეი

'98 NHL Playoffs

კონფერენციების ფინალი. დასავლეთი

**დეტროიტი 4 დალასი 2**

5 ივნისი

**დეტროიტი — დალასი 2:0 (1:0, 1:0, 0:0)**

შაიბები: მერფი 2 (მაკარტი, აიზერმანი 7) (1:0), ფიოდოროვი 9 (მერფი 22) (2:0)

მოსახდენი მოხდა: დეტროიტმა მე-6 მატჩში დამსახურებულად გაიმარჯვა და ზედიზედ მეორედ გავიდა თასის ფინალში, რაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე ვერავის მოეხერხებინა.

„წითელფრთიანებმა“ თავიდანვე მონდომებით შეუტიეს და სოლიდური უპირატესობაც იგდეს ხელთ. მათ, თავის მხრივ, დალასელებიც დაეხმარნენ, რომლებმაც რამდენჯერმე დაარღვიეს წესი. დეტროიტელებმა არაერთი მომენტი ვერ გამოიყენეს რიცხვმრავლობაში, სამაგიეროდ, როცა უმცირესობაში დარჩნენ, მცველმა ლარი მერფიმ ჩინებული კონტრიერიში დაასრულა გოლით.

ამის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო უმატეს ტემპს და თუ პირველ პერიოდში სამი-ოთხი საუცხოო საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან, მეორე მესამედში ფიოდოროვმა საშუალო მანძილიდან დალაშქრა სტუმართა კარი. მართალია, დეტროიტმა ამის მერე ტერიტორიული უპირატესობა დათმო, მაგრამ ჩინებულად გაისარჯა დაცვაში.

**სამველ ღარიბიანი**

## კალათბურთი

ფინალი

5 ივნისი

**იუტა 1 ჩიკაგო 1**

**იუტა 88 ჩიკაგო 95**

იუტა: სტოქტონი (9), ჰორნაჩეკი (20), რასელი (11), მელოუნი (16), ფოსტერი, ანდერსონი (12), ეისლი (9), ოსტერტაგი (7), კარი (2), მორისი (2), კიფი

ჩიკაგო: ჰარპერი (3), ჯორდანი (37), პიპენი (21), კუკოჩი (13), ლონგლი (4), კერი (7), ბარელი (5), როდმანი (3), უენინგტონი, ბუჰლერი

7 ივნისი

**ჩიკაგო 2 იუტა 1**

**ჩიკაგო 96 იუტა 54**

ჩიკაგო: ჰარპერი (8), ჯორდანი (24), პიპენი (10), კუკოჩი (16), ლონგლი (8), ბარელი (10), კერი (6), ბიუჰლერი (6), როდმანი (2), ბრაუნი (2), სიმპკინსი (2), უენინგტონი (2)

იუტა: სტოქტონი (2), ჰორნაჩეკი (6), რასელი (5), მელოუნი (22), ფოსტერი (2), ანდერსონი (8), მორისი (5), კიფი (4), ეისლი, ფოსტერი, კარი, ვონი

საშვილიშვილოდ შერცხვა „იუტა ჯაზი“. აწი იგი ჩემპიონიც რომ გახდეს (რაც ძალიან საეჭვოა), ამ სამარცხვინო ლაქას მაინც ვერ ჩამოირეცხავს. „იუტას“ მიერ 48 წუთში გაკეთებული 54 ქულა უმცირესია NBA-ს ფინალებისთვის. სარეკორდოა 42 ქულით წაგებაც.

**ირაკლი ფირაშვილი**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ივნისი | | | |
| ბრაზილია — შოტლანდია | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მაროკო — ნორვეგია | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 1:0 | 2,3 | 3,2 | 2,0 |
| 11 ივნისი | | | |
| იტალია — ჩილე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| კამერუნი — ავსტრია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 12 ივნისი | | | |
| პარაგვაი — ბულგარეთი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| საუდეთი — დანია | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 1:0 | 2,3 | 3,2 | 2,0 |
| საფრანგეთი — ს. აფრიკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| 13 ივნისი | | | |
| ესპანეთი — ნიგერია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კორეა — მექსიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ჰოლანდია — ბელგია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 14 ივნისი | | | |
| იუგოსლავია — ირანი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| არგენტინა — იაპონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| იამაიკა — ხორვატია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 1:0 | 2,9 | 3,2 | 1,8 |
| 15 ივნისი | | | |
| ინგლისი — ტუნისი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| რუმინეთი — კოლუმბია | | | |
| გერმანია — აშშ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,5 | 3,4 |

**ჩემპიონი**
(ფინალში გასვლა)

| | | |
|---|---|---|
| ბრაზილია | 4,0 | (2,0) |
| გერმანია | 4,0 | (2,0) |
| საფრანგეთი | 5,0 | (3,0) |
| იტალია | 5,0 | (3,0) |
| ინგლისი | 6,0 | (3,0) |
| არგენტინა | 10,0 | (5,0) |
| ჰოლანდია | 15,0 | (7,0) |
| ესპანეთი | 15,0 | (7,0) |
| იუგოსლავია | 25,0 | (15,0) |
| ნორვეგია | 25,0 | (15,0) |
| ნიგერია | 50,0 | (25,0) |
| ხორვატია | 50,0 | (25,0) |
| რუმინეთი | 50,0 | (25,0) |
| დანია | 50,0 | (25,0) |
| კოლუმბია | 50,0 | (25,0) |
| ბელგია | 75,0 | (40,0) |
| ჩილე | 75,0 | (40,0) |
| შოტლანდია | 75,0 | (40,0) |
| მექსიკა | 75,0 | (40,0) |
| ბულგარეთი | 75,0 | (40,0) |
| ავსტრია | 100,0 | (50,0) |
| აშშ | 100,0 | (50,0) |
| პარაგვაი | 100,0 | (50,0) |
| კამერუნი | 200,0 | (100,0) |
| ს. აფრიკა | 200,0 | (100,0) |
| მაროკო | 200,0 | (100,0) |
| ტუნისი | 500,0 | (250,0) |
| კორეა | 500,0 | (250,0) |
| იამაიკა | 500,0 | (250,0) |
| საუდეთი | 1000,0 | (500,0) |
| ირანი | 1000,0 | (500,0) |
| იაპონია | 1000,0 | (500,0) |

ფინალში გასვლაზე შეიძლება გადამრავლდეს ორი გუნდის კოეფიციენტი

| | |
|---|---|
| ბომბარდირი | 5,0 |
| ანგარიში | 5,0 |

**ჯგუფში I ადგილი**
(ფრჩხილებში ჯგუფიდან გასვლა)

| | | |
|---|---|---|
| A ჯგუფი | | |
| ბრაზილია | 1,1 | (1,01) |
| ნორვეგია | 5,0 | (1,6) |
| შოტლანდია | 12,0 | (2,2) |
| მაროკო | 40,0 | (6,0) |
| B ჯგუფი | | |
| იტალია | 1,15 | (1,01) |
| ჩილე | 8,0 | (1,8) |
| ავსტრია | 9,0 | (2,0) |
| კამერუნი | 10,0 | (2,5) |
| C ჯგუფი | | |
| საფრანგეთი | 1,15 | (1,01) |
| დანია | 5,0 | (1,5) |
| ს. აფრიკა | 20,0 | (2,5) |
| საუდეთი | 75,0 | (6,0) |
| D ჯგუფი | | |
| ესპანეთი | 1,5 | (1,05) |
| ნიგერია | 3,5 | (1,6) |
| ბულგარეთი | 6,0 | (2,3) |
| პარაგვაი | 20,0 | (3,5) |
| E ჯგუფი | | |
| ჰოლანდია | 1,3 | (1,05) |
| ბელგია | 4,5 | (1,4) |
| მექსიკა | 6,0 | (2,0) |
| კორეა | 50,0 | (5,0) |
| F ჯგუფი | | |
| გერმანია | 1,15 | (1,01) |
| იუგოსლავია | 4,0 | (1,05) |
| აშშ | 50,0 | (3,5) |
| ირანი | 100,0 | (10,0) |
| G ჯგუფი | | |
| ინგლისი | 1,3 | (1,01) |
| რუმინეთი | 4,0 | (1,5) |
| კოლუმბია | 7,0 | (1,8) |
| ტუნისი | 75,0 | (8,0) |
| H ჯგუფი | | |
| არგენტინა | 1,4 | (1,01) |
| ხორვატია | 2,5 | (1,1) |
| იამაიკა | 75,0 | (6,0) |
| იაპონია | 75,0 | (6,0) |

**ბურთების რაოდენობა I ტურში:**

| 31 და ნაკლები | 32-36 | 37-41 | 42-46 | 47-51 | 52-56 | 57-61 | 61 და მეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8,0 | 5,0 | 3,0 | 1,8 | 1,8 | 3,0 | 5,0 | 8,0 |

**რამდენ ქულას დააგროვებს ჯგუფში?**

| | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 25,0 | 12,0 | 6,0 | 5,0 | 1,8 | 1,6 |
| იტალია | 500,0 | 250,0 | 50,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 | 3,0 | 1,8 | 1,8 |
| საფრანგეთი | 1000,0 | 500,0 | 75,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,8 |
| ესპანეთი | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 2,0 | 2,0 |
| ჰოლანდია | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 2,0 | 2,0 |
| გერმანია | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 50,0 | 15,0 | 8,0 | 4,0 | 1,8 | 1,6 |
| ინგლისი | 500,0 | 100,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,8 |
| არგენტინა | 1000,0 | 500,0 | 100,0 | 25,0 | 10,0 | 4,0 | 4,0 | 1,8 | 1,6 |

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

ფორმულა 1
VII ეტაპი
კანადის დიდი პრიზი

# რა უნდა შუმახერს საწყალი ფრენცენისგან?

კვირას მონრეალში გამართული „კანადის დიდი პრიზი“ მეტად დრამატულად წარიმართა და მიხაელ შუმახერის გამარჯვებით დასრულდა.

კვალიფიკაციაზე „მაკლარენის“ უპირატესობა აშკარა იყო. ამჯერად კულჰარდმა თანაგუნდელზე უკეთესი დრო 1.18,213 აჩვენა და კარიერაში მე-8 პოული მოიპოვა, გუნდმა კი კვლავ პირველ რიგში დაიმკვიდრა ადგილი. მათ უკან შუმი და ფიზიკელა განლაგდნენ, მეხუთეზე კი რალფ შუმახერი აღმოჩნდა. „უილიამსმა“ ტრასაზე ახალი ბოლიდი გამოიყვანა, რომელსაც დაგრძელებული ბაზა აქვს და ჟაკ ვილნევმაც მე-6 სასტარტო პოზიცია დაისაკუთრა. „ტირელის“ ბრაზილიელმა რიკარდო როსეტმა კი, როგორც იქნა, გადალახა საკვალიფიკაციო 107%-იანი ბარიერი და ჩემპიონატის მონაწილენიც სრული შემადგენლობით განლაგდნენ სტარტზე.



კანადაში ვურცმა თავდაყირა რბოლაც მოსინჯა

რბოლა მოღრუბლულ ამინდში დაიწყო. სტარტიდანვე კულჰარდი დაწინაურდა. შუმიმ ჰაკინენი ჩამოიტოვა, მათ კი ფიზიკელა და უილიამსელები მიჰყვნენ, ხოლო რალფ შუმახერი სტარტზევე ჩამორჩა. ლიდერთა ექვსეულს პირველი მოსახვევიც არ გაევლო, რომ მათ უკან გრანდიოზული ავარია მოხდა. ალეზიმ და ვურცმა კარგად აიღეს სტარტი და მას შემდეგ, რაც რალფ შუმახერის გაჩერებულ ბოლიდს გვერდი აუარეს, ფრენცენს წამოეწივნენ. ალეზიმ შიგა მხრიდან სცადა მისი გასწრება, მაგრამ გერმანელმა არ დაუთმო, ვურცმა კი, რომელიც ტრასის კიდეზე აღმოჩნდა, ისლა მოახერხა, რომ ბალახზე გადავიდა, მერე ალეზის ბორბალს წამოედო, ჰაერში აიჭრა, თავდაყირა დაეცა, გასრიალდა, ტრასის მეორე მხარეს ბორდიურს წამოედო, კვლავ ამოტრიალდა და ხრეშში ჩაემხო. ამ ავარიაში ჰერბერტი, პანი და ტრულიც მოჰყვნენ. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. მსაჯებმა წითელი ალმები გამოფინეს და რბოლაც შეწყდა. ავარიის მონაწილეებმა ბოლიდები შეაკეთეს, ზოგი კი სათადარიგო მანქანით გამოვიდა ხელმეორე სტარტზე. მხოლოდ ჰერბერტი დაიჩაგრა, რომლის მანქანის მომზადებასაც კარგა ხანი დასჭირდა და მასაც ბოქსებიდან მოუხდა რბოლის დაწყება.

არც მეორე სტარტს ჩაუვლია მშვიდობიანად. კულჰარდი და ჰაკინენი დაწინაურდნენ, ფიზიკელამ კი შუმი ჩამოიტოვა. ფინელმა რამდენიმე მეტრის შემდეგ შეანელა და მეტოქეები გაატარა. რალფ შუმახერმა კვლავ „გამოიჩინა თავი“: პირველი მოსახვევის წინ მოცურდა, ტრასის მიღმა აღმოჩნდა, უკან დაბრუნებისას ორ „უილიამსს“ შორის ჩაიქროლა, შეჯახებას ბეწვზე გადაურჩა, ტრასის მეორე მხარეს ხრეშში გაინავარდა და კვლავ ტრასაზე დაბრუნებული მალევე გაჩერდა. რამდენიმე წამში ამავე მოსახვევში ტრულის მეტოქემ უკნიდან ისე უთავაზა, რომ იტალიელი ჰაერში აიჭრა და ალეზის „ზაუბერს“ მოექცა ზემოდან. ორივე პილოტმა მშვიდობიანად დატოვა კოკპიტები. პირველივე წრეზე მიხაილ შუმახერმა მოახერხა ფიზიკელას გასწრება. მისი თანაგუნდელი კი დაზიანებული საბურავით ეწვია ბოქსებს, სადაც მალე ჰაკინენიც გამოჩნდა და მაყურებლებში გადაინაცვლა. ტრასაზე პეის-კარი გამოვიდა, მის უკან კი პილოტები ასე განლაგდნენ: კულჰარდი, მიხაილ შუმახერი, ფიზიკელა, ვილნევი, ფრენცენი, ბარიჩელო. რე-სტარტის შემდეგ კულჰარდი ნელ-ნელა დაწინაურდა, ბარიჩელო კი ფრენცენს მიუახლოვდა და შეტევაზეც გადავიდა, მალე ერთნაირი მანევრით ჯერ ფრენცენი, შემდეგ კი იმავე მოსახვევში ვილნევიც ჩამოიტოვა და ფიზიკელას აედევნა. მისი „სტიუარტი“ შესანიშნავად იყო მომზადებული და ბრაზილიელმა სწორი მონაკვეთი 326 კმ/სთ სიჩქარით განვლო, ფიზიკელასაც მიუახლოვდა, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში ვერ მოზომა, გვიან დაამუხრუჭა, ტრასის მიღმა აღმოჩნდა და რამდენიმე მეტოქის გატარებაც მოუხდა. მე-8 ადგილისთვის ბრძოლაში კი დინიცი მაგნუსენს უტევდა, მაგრამ გასწრების ნაცვლად მასაც ხრეშში მოუწია გასეირნებამ, უკან დაბრუნებისას კი ტრასაზე იმდენი ნაგავი — ბალახი და მიწის ბელტები გაიტანა, რომ ორგანიზატორებმა კვლავ პეის-კარი გამოუშვეს. რე-სტარტის შემდეგ პილოტებმა ორიოდე წრის გავლა ძლივს მოასწრეს, რომ სალო ბარიერს შეეჯახა და ისევ პეის-კარი გაუძღვა ქარავანს. ამავე მომენტში ჰერბერტმა ტრასის მიღმა ამოყო თავი, ხოლო კულჰარდის „მაკლარენი“ დაზიანდა. შუმიმ ყვითელი ალმებით ისარგებლა და ბოქსებს ესტუმრა. პირველობა ფიზიკელას დარჩა. ტრასაზე მიხაელი ფრენცენის გვერდით გამოვიდა და თანამემამულე ხრეშში გაისტუმრა, რბოლაც იქვე დაამთავრებინა, თავად კი დაწინაურებულთა დევნა განაგრძო. რე-სტარტის შემდეგ ვილნევმა ფიზიკელას შეუტია, გაასწრო კიდეც, მაგრამ ვერ მოზომა და ტრასის მიღმა მოხვდა, იქიდან დაბრუნებულს კი ტუერომ უკანა ფრთა წააცალა. ვილნევი ბოქსებში 5 წრით შეყოვნდა, მაგრამ ტრასას მაინც დაუბრუნდა და რბოლა მშვიდ ტემპში განაგრძო. შუმახერი კი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ფიზიკელას, მაგრამ ამ დროს მსაჯებმა გერმანელი 10 წამით დააჯარიმეს და სასჯელის მოხდის შემდეგ იგი მესამეზე, ჰილის უკან აღმოჩნდა. მალე გაასწრო კიდეც ძველ მეტოქეს, რომელმაც პოზიციის დაბრუნება სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო — შუმი და მისი „ფერარი“ საუცხოო ფორმაში იყვნენ. ფიზიკელას პიტ-სტოპის შემდეგ პირველობა მიხაელს დარჩა და მანაც ზედიზედ განვლო სწრაფი წრეები, საბურავების მეორედ შესაცვლელადაც შეიქმნა მარაგი და ბოქსებიდანაც კვლავ პირველ პოზიციაზე დაბრუნდა. მესამე ადგილს კარგა ხანს ბარიჩელო ინარჩუნებდა, მაგრამ პიტ-სტოპის შემდეგ მეხუთეზე აღმოჩნდა. მის უკან მაგნუსენს ნაკანო უტევდა, მაგრამ დანიელმა ოსტატურად შეინარჩუნა პოზიცია და ორივე „სტიუარტმა“ ჩასათვლელ ადგილებზე დაასრულა რბოლა.

შუმიმ ამ სეზონში მეორედ გაიმარჯვა, მისმა თანაგუნდელმა ირვინმაც კარგად იასპარეზა და მესამე ადგილზე გავიდა. მე-2 და მე-4 კი ბენეტონელები — ფიზიკელა და ვურცი იყვნენ.

ალეკო ჭაბუკიანი



**მიხაელ შუმახერი**

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს კერპენში (გერმანია)

სიმაღლე 174 სმ; წონა 71 კგ

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი

ცხოვრობს შვეიცარიაში

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991 წელი, „ბელგიის დიდი პრიზი“, „ჯორდანი“

109 რბოლა, 29 გამარჯვება, 17 პოული, 27 სწრაფი წრე; 474 ქულა

1994 და 1995 წლების მსოფლიოს ჩემპიონი, „ბენეტონი“

წლეულს „მაკლარენის“ ძირითადი მეტოქე მიხაელ შუმახერი გახლავთ, რომელმაც კანადაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რბოლის ის მონაკვეთი, როდესაც შუმი ფიზიკელას პიტ-სტოპის შემდეგ დაწინაურდა. იგი მარაგის შექმნას ცდილობდა ბოქსებში შესასვლელად, უსწრაფეს წრეებს გადიოდა, ჩამორჩენილთა გასწრების დროსაც რისკავდა, ბორდიურებსაც საკმაოდ იოლად სძლევდა და თან ბოლიდზე კონტროლის შენარჩუნებასაც ახერხებდა. აკი გაიმარჯვა კიდეც — ეს „ფერარის“ 115-ე წარმატებაა. მიხაელი ერთადერთხელ შეცდა — ფრენცენთან ინციდენტი მას 10-წამიან ჯარიმად დაუჯდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შუმიმ პირველად როდი ატკინა გული თანამემამულეს. რამდენიმე წლის წინ მან „ჰა-ჰას“ მეგობარი გოგონა წაართვა და დღეს ეს ქალბატონი მისი მეუღლე გახლავთ.

## რბოლის შედეგები

7 ივნისი. მონრეალი. ჟილ ვილნევის სახელობის ტრასა

დისტანცია — 69 წრე — 305.049 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 10 ქულა 1:40.57,355 (181,296 კმ/სთ)
2. ფიზიკელა (ბენეტონ-პლეილაიფი) ჩამორჩა 16,662 წამით 6
3. ირვინი (ფერარი) 1.00,058 4
4. ვურცი (ბენეტონ-პლეილაიფი) 1.03,232 3
5. ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 1.21,512 2
6. მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) 1 წრით 1
7. ნაკანო (მინარდი-ფორდი) 1 წრით
8. როსეტი (ტირელ-ფორდი) 1 წრით
9. დინიცი (ეროუსი) 1 წრით
10. ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 6 წრით

### საუკეთესო წრე

მ. შუმახერი (ფერარი) 1.19,379 (200,501 კმ/სთ) — 48 წრე

### ლიდერები

კულჰარდი 1-18; ფიზიკელა 20-44; მ. შუმახერი 19, 45-69

### რბოლას გამოეთიშნენ

ტუერო (მინარდი-ფორდი) გაიარა 53 წრე (ელექტროობა)
ჰილი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 43 წრე (მექანიკური პრობლემები)
პანი (პროსტ-პეჟო) 39 წრე (მოცურდა)
ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი) 20 წრე (ტრასიდან გადავიდა)
ჰერბერტი (ზაუბერი) 18 წრე (მოცურდა)
სალო (ეროუსი) 18 წრე (ავარია)
კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 18 წრე (აქსელერატორი)
ტაკაჯი (ტირელ-ფორდი) 0 წრე (მიზეზი უცნობია)
ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 0 წრე (გადაცემათა კოლოფი)
რ. შუმახერი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 0 წრე (მოცურდა)
ალეზი (ზაუბერი) 0 წრე (ავარია)
ტრული (პროსტ-პეჟო) 0 წრე (ავარია)

## განლაგება სტარტზე

20 როსეტი 1.21,824 ტირელი
23 ტუერო 1.21,822 მინარდი
19 მაგნუსენი 1.21,629 სტიუარტი
16 დინიცი 1.21,301 ეროუსი
22 ნაკანო 1.21,230 მინარდი
17 სალო 1.20,536 ეროუსი
21 ტაკაჯი 1.20,328 ტირელი
11 პანი 1.20,303 პროსტი
12 ტრული 1.20,188 პროსტი
18 ბარიჩელო 1.19,953 სტიუარტი
15 ჰერბერტი 1.19,845 ზაუბერი
6 ვურცი 1.19,765 ბენეტონი
9 ჰილი 1.19,717 ჯორდანი
14 ალეზი 1.19,693 ზაუბერი
4 ირვინი 1.19,616 ფერარი
2 ფრენცენი 1.19,614 უილიამსი
1 ვილნევი 1.19,588 უილიამსი
10 რ. შუმახერი 1.19,242 ჯორდანი
5 ფიზიკელა 1.18,826 ბენეტონი
3 მ. შუმახერი 1.18,497 ფერარი
8 ჰაკინენი 1.18,282 მაკლარენი
7 კულჰარდი 1.18,213 მაკლარენი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი | ესპანეთი 10 მაისი | მონაკო 24 მაისი | კანადა 7 ივნისი | საფრანგეთი 28 ივნისი, 16:00 | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი, 17:00 | ავსტრია 26 ივლისი, 16:00 | გერმანია 2 აგვისტო, 16:00 | უნგრეთი 16 აგვისტო, 16:00 | ბელგია 30 აგვისტო, 16:00 | იტალია 13 სექტემბერი, 16:00 | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | – | 10 | 10 | – | | | | | | | | | | 46 |
| 2 | **მ. შუმახერი** (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | 6 | 4 | – | 10 | | | | | | | | | | 34 |
| 3 | **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | 10 | 6 | – | – | | | | | | | | | | 29 |
| 4 | **ირვინი** (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | 4 | – | 4 | 4 | | | | | | | | | | 19 |
| 5 | **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | – | – | 6 | 6 | | | | | | | | | | 13 |
| 6 | **ვურცი** (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | – | 3 | – | 3 | | | | | | | | | | 12 |
| 7 | **ფრენცენი** (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | 2 | – | – | – | | | | | | | | | | 8 |
| 8 | **ვილნევი** (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | | | | | | | | | | 8 |
| 9 | **ბარიჩელო** (ბრაზილია) სტიურტ-ფორდი | – | – | – | – | 2 | – | 2 | | | | | | | | | | 4 |
| 10 | **ალეზი** (საფრანგეთი) ზაუბერი | – | – | 2 | 1 | – | – | – | | | | | | | | | | 3 |
| 1 | მაკლარენ-მერსედესი | 16 | 16 | 7 | 10 | 16 | 10 | – | | | | | | | | | | 75 |
| 2 | ფერარი | 3 | 4 | 14 | 10 | 4 | 4 | 14 | | | | | | | | | | 53 |
| 3 | ბენეტონ-მეკაქრომი | – | 4 | 3 | – | 3 | 6 | 9 | | | | | | | | | | 25 |
| 4 | უილიამს-მეკაქრომი | 6 | 2 | – | 5 | 1 | 2 | – | | | | | | | | | | 16 |
| 5 | სტიუარტი | – | – | – | – | 2 | – | 3 | | | | | | | | | | 5 |

*შენიშვნა:* სტარტი ჩვენი დროით

# ახალი კონკისტადორები



**არანჩა სანჩეს ვიკარიო**

დაბადების თარიღი — 1971 წლის 18 დეკემბერი
დაბადების ადგილი — ბარსელონა
ცხოვრობს — ანდორაში
სიმაღლე — 1,68 მ
წონა — 56,5 კგ
მემარჯვენე
პროფესიონალი 1985 წლიდან
მოგებული ტურნირები — 26
კარიერის საპრიზოები — 13 152 000 დოლარი

გზა გამარჯვებისკენ

I წრე — იანა კანდარი 6:2, 7:5
II წრე — კატალინა კრისტეა 6:2, 6:3
III წრე — ალესანდრა ფუზაი 6:2, 6:1
მერვედფინალი — სერენა უილიამსი 4:6, 7:5, 6:3
მეოთხედფინალი — პატი შნიდერი 6:2, 6:7(5:7), 6:0
ნახევარფინალი — ლინდსი დევენპორტი (2) 6:3, 7:6(7:5)
ფინალი — მონიკა სელეში (6) 7:6(7:5), 0:6, 6:2

## ROLAND GARROS 98

**ფინალი: არანჩა სანჩეს ვიკარიო (4, ესპანეთი) — მონიკა სელეში (6, აშშ) 7:6 (7:5), 0:6, 6:2**

წლევანდელი როლან გაროსი თითქოს უეჭველად მონიკა სელეშს უნდა მოეგო: 14 მაისს კიბოთი დაავადებული მამისა და მწვრთნელის, კაროლის გარდაცვალება; მტკივნეული მოგონებებისგან საყვარელ ქალაქში, საყვარელ ტურნირზე გაქცევა; თითქმის სრულიად მოუმზადებლად ფინალში გასვლა, თანაც გზად მსოფლიოს პირველი ჩოგნისა და მთავარი ფავორიტის დამარცხება; და ეს ყველაფერი გადარეული ფანატის დანით მიყენებული ჭრილობიდან მთელი ხუთი წლის შემდეგ — მოკლედ, ტიპიური ჰოლივუდური ისტორიის ტიპიური ჰეფი-ენდით დასრულება ერთი შეხედვით გარდაუვალიც კი ჩანდა. ფილმის ბოლო კადრის წარმოდგენაც არ იყო ძნელი — შავ სამოსში გამოწყობილი მონიკა გამარჯვების ნიშნად ხელებს მაღლა სწევს, ძეწკვზე ჩამოკიდებულ მამის ბეჭედს კოცნის, ცრემლიანი თვალებით ზევით იყურება და რაღაც ამდაგვარს ამბობს: ეს შენთვის იყო, მამა, რის შემდეგაც რომელიმე გულჩვილ და ნაკლებად ცინიკოს მაყურებელს შეიძლება თვალები მოწყლიანებოდა კიდეც.

ზემოთქმულის ნაცვლად მთელი მატჩის განმავლობაში „მონიკას" მოღრიალე გულშემატკივრებმა როლან გაროს 98-ის სრულიად სხვაგვარი ფინალი იხილა: ხელები დაბალმა და ფეხკუნთა შავმა ესპანელმა გაშალა, ტრიბუნებზე დიდი გაჭირვებით აბობღდა (აძერომას ამას ვერაფრით დაარქმევდი), ცხვირ-პირი პატარა ჩასუქებულ ფინიას აალოკინა (როგორ ჰგვანან შინაური ცხოველები პატრონებს) და ოჯახის წევრები და ბოიფრენდი (ასეთიც არსებულა) ჩაკოცნა.

მართალია, მონიკა სელეშისა და არანჩა სანჩეს ვიკარიოს შეხვედრა ისე არ დასრულებულა, როგორც ბევრი ელოდა, მაგრამ ამით ფინალს ნაღდად არაფერი დაკლებია. წვიმის გამო ნახევარი საათით გვიან დაწყებული შეხვედრა ჩვეულად წარიმართა, ესე იგი, გაამერიკელებული ექსიუგოსლაველი ყოველ დარტყმას გულისგამგმირავ ჭყვიტინს აყოლებდა და თავის ორხელა ფორჰენდ-ბექჰენდებს ხაზებს აქეთ-იქით ოციოდ სანტიმეტრში უშვებდა, ბადის მეორე მხარეს კი გამრჯე ესპანელი ენაგადმოგდებული დარბოდა მათ დასაწევად და დიდი გაჭირვებით, მაგრამ როგორღაც ყოველთვის ახერხებდა ბურთის უკან გადაგდებას.

სელეშს მთელი მატჩის განმავლობაში თითქმის ყოველ გათამაშებაში მოსაგები პოზიცია ეჭირა, მაგრამ ქულებს იოლად მაინც ვერ ითვლიდა, რაც მეტოქესთან ერთად მისი დამსახურებაც იყო: ამერიკელი ხან ზედმეტად ჩქარობდა, ხან ყოვლად აუხსნელ შემოკლებულს გამოურევდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალიან იშვიათად გადიოდა ბადესთან, რითაც ტრიბუნების პირთან მყოფ სანჩესს უკან დაბრუნების შესაძლებლობას აძლევდა.

მონიკას პირველი სეტიც უნდა მოეგო, მაგრამ 5:3-ზე ვერ ივარგა, საკუთარი მოწოდება დათმო და საქმე სატაიბრეიკოდ გაიხადა, სადაც 1:5 ჩამორჩენიდან ანგარიშის გათანაბრების მიუხედავად, საკუთარი შეცდომების გამო მაინც გაწბილება ელოდა. სამაგიეროდ, მომდევნო 24 წუთი, ანუ მთელი მეორე სეტი, მხოლოდ სელეშს ეკუთვნოდა: მისი ზუსტი დარტყმები მეტოქეს ყოველგვარ შანსს უსპობდა და სანჩესმაც ნაწვიმარ კორტზე წაქცევა-ამოგანგვლისა და სამოსის გამოცვლის შემდეგ ძალების გადამწყვეტი პარტიისთვის შემონახვა არჩია.

მატჩის ბედი სწორედ მესამე ხელის დასაწყისში გაირკვა — სელეშმა პირველ, მერე კი მეხუთე გეიმში ორ-ორი ბრეიკპოინტი ვერ გამოიყენა, ანგარიში 1:4 გახდა და ნათელი შეიქნა, რომ არანჩა სანჩეს ვიკარიო მესამე როლანგაროსულ ტიტულს (1989 და 1994-ის შემდეგ) ხელიდან არასგზით არ გაუშვებდა.

არანჩამ გამარჯვება როგორც აღნიშნა, უკვე მოგახსენეთ, გამარჯვებულის სიტყვაში კი თავისი ახლობელ-მეგობრები რომ მოიხსენია, სელეშსაც მოუბოდიშა დამარცხებისთვის, თანაგიგრძნობ და პატივს გცემ იმისთვის, რაც თავს გადაგხდა, დღეს წაგებას არავინ იმსახურებდა, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა მოეგოო. გამარჯვებულს მისი თამაშის სანახავად მოსულთა აღნიშვნა გვიანღა გაახსენდა და ესპანეთის მეფე ხუან კარლოსს სელეშის გამოსვლის მერეღა უთხრა მადლობა. ფინალისტებს არც გათავხედებული ახალგაზრდა თაობა დავიწყებიათ. „ვეტერანებს კი გვიწოდებენ, მაგრამ ჯერაც ბევრი გამარჯვება გველის წინ" — დაიქადნა სანჩესმა. „ჩვენ მუდამ ახალგაზრდებად ვრჩებით" — განაცხადა სელეშმა.



პელემ და მოიამ იბურთავეს კიდეც

**წყვილების ფინალი ქალებში: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და იანა ნოვოტნა (აშშ, 2) — ლინდსი დევენპორტი (აშშ) და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) (1) 6:1, 7:6 (7:4)**

**იუნიორები: ნადეჟდა პეტროვა (12, რუსეთი) — ელენა დოკიჩი (6, ავსტრალია) 6:3, 6:3.**

**შერეული წყვილების ფინალი: ვინუს უილიამსი და ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — სერენა უილიამსი (აშშ) და ლუის ლობო (არგენტინა) 6:3, 6:4.**

**კაცების ფინალი: კარლოს მოია (12, ესპანეთი) — ალექს კორეტხა (14, ესპანეთი) 6:3, 7:5, 6:3**

კაცების როლანგაროსული ფინალი მეტად უცნაური რამ გამოდგა. აბა, სად ყოფილა აქამდე, რომ მსაჯის მიერ აცდენილ ბურთს წარამარა ხან ერთი ჩოგბურთელი უთვლიდეს მეტოქეს და ხან მეორე, მატჩის დამთავრების შემდეგ კი დამარცხებული ბადეს გადახტომოდეს და კარიერის უმნიშვნელოვანეს თამაშში წაგებით განაწყენების ნაცვლად გამარჯვებულს გადახვეოდეს.

საქმე ისაა, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებისგან განსხვავებით ესპანელები შურსა და მტრობას ერთად ვარჯიშსა და მეგობრობას ამჯობინებენ და გამონაკლისი არც ალექს კორეჩა და კარლოს მოია არიან. „ცხადია, არცთუ სასიამოვნოა ისეთ პირობებში ყოფნა, როდესაც ყველას სურს, მოგიგოს. რა სჯობს იმას, რომ თუ ცუდ ხასიათზე ხარ, ან ესესაა წააგე, სასტუმროში ეულად და მოწყენილად ჯდომა არ მოგიწევს, ამ დროს მეგობრები მოვლენ და გაგამხნევებენ. ეს ჩოგბურთშიც გეხმარება და მენტალიტეტსაც გაიუმჯობესებს, თუმცა კორტზე ჩვენ ნამდვილი პროფესიონალები ვართ" — ფიქრობს ალექს კორეტხა.

ფინალში ფავორიტად თავიდანვე მოია ითვლებოდა, რომელსაც საქმე იმანაც გაუადვილა, რომ კვირას პარიზში ძლიერი ქარი ქროდა (50 კმ-სთ-მდე), რაც კორეტხას თამაშის სტილს — უკანა ხაზზე დგომას და მაღალი მოჭრილი ბურთების გდებას შეუძლებელს თუ არა, გაცილებით ნაკლებ ეფექტურს მაინც ხდიდა.

მატჩში უპირატესობას თავიდანვე 21 წლის მალიორკელი ფლობდა, რომელმაც გვარიანად აღელვებულ მეტოქეს პირველ ხელში სამჯერ აართვა მოწოდება — კორეტხასთვის ხომ ეს დიდი სლემის ტურნირის პირველი ფინალი იყო, მოიას კი მსგავსი წარმატებისთვის შარშან, ავსტრალიის ღია პირველობაზეც მიეღწია (სადაც ბეკერისა და ჩანგის მძლეველი გადამწყვეტ შეხვედრაში პიტ სამპრასთან დამარცხდა).

მეორე სეტის დასაწყისში კორეტხა თითქოს დაწყნარდა და ერთი-ორი მშვენიერი გათამაშებაც მოიგო, მაგრამ მოპოვებული ბრეიკი მალევე დათმო და საკუთარი მოწოდების შენარჩუნება სულ უფრო და უფრო გაუჭირდა — ჯერ ორი ბრეიკ-პოინტის გადარჩენა მოუხდა, მერე უკვე სამი სეტ-პოინტისა, მაგრამ საბოლოოდ მეტოქის ზეწოლას მაინც ვერ გაუძლო, მეთორმეტე გეიმში მოწოდების დაკარგვას ხელის წაგება მოჰყვა და ნათელი გახდა, რომ ისეც საკმაოდ უფერული თამაში დიდხანს ველარ გასტანდა.

მაყურებლებმა კორეტხას გასამხნევებლად თავი გადადეს და ყოველი შესვენების შემდეგ ტალღების მოწყობას მიჰყვეს ხელი, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა — მოია თავისი სწრაფი მოწოდებებისა და საფირმო ფორჰენდების შეწევნით სტაბილურად ითვლიდა სუფთა ქულებს, უკვე აღარც ბადესთან გასვლასა და მეტოქის შემოვლებულებს უშინდებოდა და 2 საათისა და 18 წუთის შემდეგ როლან გაროსს ახალი ჩემპიონი მოევლინა.

ფინალისტების დასაჯილდოვებლად ორგანიზატორებს დიდი სლემის (ესე იგი, ოთხივე ბობოლა ტურნირის მომგები) პატრონი პირველი ჩოგბურთელი კაცი — ამერიკელი დონალდ ბაჯი და ფეხბურთის მეფე პელე მოეწვიათ და ყველაზე დიდი აპლოდისმენტები სწორედ ამ უკანასკნელს ერგო. მაყურებლებმა განსაკუთრებით მაშინ გაიხარეს, ჩოგბურთელები პელესთან ბურთის თავით კენწვლას რომ შეუდგნენ, რასაც კორეტხას საფეხბურთო ნიჭის გამოვლინება და ბრაზილიელის მიერ მთავარი ჯილდოს ხელში შეთამაშება მოჰყვა. სამადლობელი სიტყვის დროს ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა, ფრანგულად მოსაუბრე დამარცხებულს პარიზელებმა ალტაცებული ყიჟინა შეაგებეს, სამაგიეროდ, მოიას ბოდიშს, თქვენებურად გაისად შევეცდები, ახლა კი ინგლისურად ვისაუბრებო, სტვენა-ყვირილით შეხვდნენ.



**კარლოს მოია**

დაბადების თარიღი: 1976 წლის 27 აგვისტო
დაბადების ადგილი — პალმა დე მალიორკა
ცხოვრობს — ბარსელონაში
სიმაღლე — 1,90 მ
წონა — 80 კგ
მემარჯვენე
პროფესიონალი 1995 წლიდან
მოგებული ტურნირები — 5
კარიერის საპრიზოები — 2 900 708 დოლარი

გზა გამარჯვებისკენ

I წრე — სებასტიან გროსჟანი 7:5, 6:1, 6:4
II წრე — პეპე იმასი 6:4, 7:6(16:14), 6:2
III წრე — ენდრიუ ილიე 6:2, 7:6(7:1), 6:3
მერვედფინალი — იენს ნიპშილდი 6:3, 7:5, 3:6, 6:4
მეოთხედფინალი — მარსელო რიოსი (3), 6:1, 2:6, 6:2, 6:4
ნახევარფინალი — ფელიქს მანტია (15) 5:7, 6:2, 6:4, 6:2
ფინალი — ალექს კორეტხა 6:3, 7:5, 6:3

გთავაზობთ **კარლოს მოიას** მატჩისშემდგომ ინტერვიუს ნაწყვეტს:

**— ახალი კლასიფიკაციის გამოსვლის შემდეგ თქვენ მეხუთე ადგილზე იქნებით. როგორ გგონიათ, მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომაც ძალგიძთ?**

— არც კი ვიცი, ამ მოგებით რამდენი ქულა მომემატება, ან რამდენი ფული ვიშოვე (650 ათასი). მე, უბრალოდ, ჩოგბურთს ვთამაშობდი და ეს ძალიან მსიამოვნებდა, ახალ კლასიფიკაციას კი გულდასმით შევათვალიერებ. გამორიცხული არაფერია, მე ხომ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლით უკვე დავამტკიცე, რომ თიხნარის გარდა ჰარდზეც არანაკლებ მეხერხება თამაში. უიმბლდონზე არაფრის იმედი არ მაქვს, ალბათ, აშშ-ის ღია პირველობისთვის დაცდა მომიწევს.

**— პელეზე რას იტყვით?**

— ძალიან ბედნიერი ვარ, პრიზი თვით ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა გადმომცა. ვიცოდი, რომ იგი მხოლოდ გამარჯვებულს დააჯილდოებდა, ასე რომ, ეს დამატებითი სტიმულიც კი იყო.

**— როგორ აღნიშნავთ გამარჯვებას?**

— რესტორანში წავალ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, რომელთა შორის ალექსიც იქნება. ასე, 25-30 კაცი მოვიყრით თავს. მერე, ალბათ, დისკოთეკაზე გავაგრძელებთ. იმედი მაქვს, თქვენ იქ არ იქნებით.

**წყვილების ფინალი კაცებში: იაკო ელტინგი და პოლ ჰაარჰიუსი (1, ჰოლანდია) — მარკ ნოულსი (ბაჰამები) და დანიელ დესტორი (კანადა) 6:3, 3:6, 6:3.**

**იუნიორების ფინალი: ფერნანდო გონსალესი (3, ჩილე) — ხუან კარლოს ფერერო (6, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:3 (სწორედ ფერეროსთან დამარცხდა პირველ წრეში ირაკლი ლაბაძე).**

**ავთანდილ სვანიძე**

| არანჩა სანჩეს ვიკარიო — მონიკა სელეში 7:6 (7:5), 0:6, 6:2 | სანჩესი | სელეში |
|---|---|---|
| პირველი მოწოდების % | 71 | 73 |
| ეისები | 0 | 1 |
| ორმაგი შეცდომები | 2 | 0 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 40/68-დან — 58% | 35/57-დან — 61% |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 11/27-დან — 40% | 13/21-დან — 61% |
| სუფთად მოგებული ქულები | 34 | 61 |
| უნებლიე შეცდომები | 31 | 47 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 3/8-დან | 5/14-დან |
| სულ მოგებული ქულები | 81 | 92 |
| მატჩის დრო | 1 საათი და 52 წუთი | |

| კარლოს მოია — ალექს კორეტხა 6:3, 7:5, 6:3 | მოია | კორეტხა |
|---|---|---|
| პირველი მოწოდების % | 55 | 52 |
| ეისები | 5 | 1 |
| ორმაგი შეცდომები | 0 | 3 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 37/49-დან — 75% | 36/56-დან — 64% |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 21/39-დან — 53% | 22/50-დან — 44% |
| სუფთად მოგებული ქულები | 65 | 43 |
| უნებლიე შეცდომები | 45 | 41 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 6/19-დან | 2/9-დან |
| სულ მოგებული ქულები | 106 | 88 |
| მატჩის დრო | 2 საათი და 18 წუთი | |



## GIRO D'ITALIA 98

21-ე ეტაპი. სიჩაუქის გამოცდა. მენდრიზიოდან ლუგანომდე. 34 კმ

სიჩაუქის გამოცდა უკანასკნელი ეტაპი იყო წლევანდელ ჯიროზე რომელსაც საერთო ჩათვლაში რაიმეს შეცვლა შეეძლო. სწორედ აქ ჰქონდა მეორე ადგილზე მყოფ რუს პაველ ტონკოვს ვარდისფერმაისურიან მარკო პანტანისთან წუთნახევრიანი ჩამორჩენის ანაზღაურების იმედი, მაგრამ იტალიელმა, რომლისთვისაც სიჩაუქის გამოცდა ყოველთვის აქილევსის ქუსლად ითვლებოდა, მოულოდნელად, შესანიშნავად ირბოლა და უშუალო კონკურენტს 5 წამით აჯობა კიდეც.

**21-ე ეტაპი: 1. სერგეი გონჩარი (უკრაინა) 39:54; 2. მასიმო პოდენცანა (იტალია) +29; 38 პანტანი +30; 4. მარკო ველო (იტალია) +31; 5. ტონკოვი +35**

22-ე ეტაპი. ლუგანოდან მილანამდე. 157 კმ

მარკო პანტანის გამარჯვებით მთელმა იტალიამ გაიხარა — თავგადაპარსულ და ძვალტყავა (55 კგ-იან) მრბოლს, რომელსაც აქამდე კარიერაში რამდენიმე უმძიმესი ტრავმის გადატანა მოესწრო, მოგება თვით რობერტო ბაჯომ და პრემიერ მინისტრმა რომანო პროდიმ მიულოცეს. ამიერიდან იგი გუნდის ერთადერთი ხოტორა წევრიც აღარ იქნება, თანაგუნდელები მის პატივსაცემად საკუთარ თმებსაც იოლად შეელიენ. „ეს ნამდვილი სასწაულია" — განაცხადა გამარჯვებულმა, რომელიც მოგების აღსანიშნავად ყველასათვის უცნობ ადგილას გაემგზავრა.

**22-ე ეტაპი: 1. ჯან მატეო ფანინი (იტალია) — 4:40; 12; 2. მასიმო შტრასერი (იტალია); 3. ზბიგნევ შპრუხი (პოლონეთი) — იგივე დრო.**

**საერთო ჩათვლა: 1. პანტანი — 98:48, 32; 2. ტონკოვი +1,33; 3. ჯუზეპე მერინი (იტალია) +6,51; 4. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) +12,16;.. 14. ალექს ცულე (შვეიცარია) +33,26.**

**ლაშა ლომჯარია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:** ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29